სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 ივნისი 1999 №115 (888) | ფასი 50 თეთრი

ქართველები მშვიდად იყავით, რაც მოხდა, ლატვიელების პრობლემაა

ლატვიის ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ჰარის ჩებრიკოვის თქმით, ქართველებმა პატიოსნად გაიმარჯვეს

ლატვიელი და ქართველი ხელბურთელების 26 მაისის რიგული შეხვედრის გამო ატეხილ სკანდალს ისეთი პირი უჩანს, ლატვიელთა მთავარმა მწვრთნელმა დინტას კურმისმა თავისიანებთანაც და ქართველებთანაც აშკარად შესცოდა.

შაბათის „სარბიელში" გაცნობეთ, რომ ორშაბათს ლატვიის ხელბურთის ფედერაციაში განიხილავდნენ დინტას კურმისის საგანგებო პრესკონფერენციაზე გაცხადებულს: ლატვიელთა აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა თავისი ხელბურთელები ქართველების სასარგებლოდ თამაშში დაადანაშაულა. იმავე „სარბიელში" ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაზა დოლიძის, ფედერაციის გენერალური მდივნის თამაზ თევზაძის და რიგაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის ალეკო კიკაბიძის ნაუბარიც შემოგთავაზეთ. ცხადია, გუშინ ჩვენი ყურადღება რიგისკენ იყო მიპყრობილი. უპირველესად ლატვიის ხელბურთის ფედერაციას დავუკავშირდით. გენერალური მდივანი ჰარის ჩებრიკოვი საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— ბატონო ჰარის, ლატვიურ პრესაში დინტას კურმისის პრესკონფერენციაზე ბევრი დაიწერა. ჩვენც, გულშემატკივრებიც და ქართული ხელბურთის თავკაცებიც გაოცებულნი დავრჩით. იქნებ გაგვარკვიოთ ვითარებაში და ფედერაციის პოზიციაზეც გვითხრათ. ვიცით, რომ ახლა სწორედ ამის თაობაზე უნდა იმსჯელოთ.

— თავიდანვე გეტყვით, რომ ლატვია—საქართველოს 26 მაისის მატჩმა პატიოსან, ვაჟკაცურ ბრძოლაში ჩაიარა. ქართველმა ხელბურთელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და ზაზა დოლიძეს და მის მოთამაშეებს კიდევ ერთხელ ვულოცავ წარმატებას. ასეთია ლატვიის ხელბურთის ფედერაციის პოზიციაც.

დინტას კურმისმა პრესკონფერენციაზე ორ განსხვავებულ ტაიმზე ისაუბრა — კარგად ჩატარებული პირველი ნახევრის მერე ჩემს ხელბურთელებს ვეღარ ვცნობდი, რამაც ძალიან დამაეჭვაო, თუმცა მას ხელბურთელთა გვარები არ დაუსახელებია. თანაც, კურმისს ის აღარ დაუკონკრეტებია, კერძოდ რას გულისხმობდა... ამის მერე ხელბურთელებმაც უპასუხეს, პრესამაც თავისი სიტყვა თქვა და სწორედ ამიტომ დღეს ფედერაციის პრეზიდენტმა ჟურნალისტები და ნაკრების წევრები მოიწვია, დავსხდებით, ვისაუბრებთ და ყველაფერში გავერკვევით. რაც მოხდა, ჩვენი პრობლემაა, ქართველებს შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. ვიმეორებ: თქვენ დამსახურებულად მოიგეთ.

— დინტას კურმისს არ უხმეთ?

— კურმისი ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარაა, მას კონტრაქტი დაუმთავრდა და ამჟამად ახალ მწვრთნელს ვეძებთ. კურმისი დღეს აქ არ მოვა. ასე ვიყავით შეთანხმებულნი. მას მოგვიანებით დაველაპარაკებით...

საუბრის ბოლოს ბატონი ჩებრიკოვი დაგვპირდა, მოგვიანებით შეგვეხმიანეთ და შეხვედრის შედეგებსაც გაცნობებთო. ლატვიის ხელბურთის ფედერაციაში მოგვიანებით მართლაც დავრეკეთ, მაგრამ არავინ გვიპასუხა. მერე ჩვენი რიგელი კოლეგებისგან შევიტყვეთ — პრეზიდენტის მოუცლელობის გამო შეხვედრა გადაუტანიათ, ბალტიისპირელ ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანმა კი გუნდის სახელით დინტას კურმისის ბრალდება უარყო.

სოსო კოტორეიშვილი



აზოტი—ვითა 85:75. ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილის ფარზე გარჯა ამაო გამოდგა

გუშინ სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატის ფინალი დაიწყო. პირველ მატჩში რუსთავის „აზოტმა" 85:75 მოუგო თბილისის „ვითას" და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

ჩეხეთმა ლიტვა საბრონისიანად დაიბრიყვა

EUROBASKET 99 FRANCE

გუშინ დაწყებულ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთი სენსაცია მოხდა: გერმანიამ ერთი ქულით აჯობა საბერძნეთს. ხორვატია იტალიასთან 19 ქულას აგებდა, საბოლოოდ კი ორი ქულით მოიგო.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ჩეხეთი—ლიტვა 78:62. ლიტველ საულიუს შტომბერგასს ლუბოშ ბარტონი (№11) და პეტრ ტრემლი უფარებენ

AP დიუნიდან

ბადრი კეთილაძის ფოტო

დრო იყო, არც გაყოჩებული ხამაშურიძე იყო თბილისელი, არც გადათვებული ემზარ ძაგნიძე (მარჯვნივ) და კახა მაჩიტიძე (შუაში) იყვნენ ბათუმელები — სამივე აწ ბედკრული ქუთაისის „აიას" წევრები იყვნენ

ყოჩები 27:30 დათვები

აი, თამაში!

ეს რა ჩიტი ყოფილა მაჩიტიძე?

გაუკვირდა კლოდ სორელს

„ყოჩები"—„დათვების" კვირადღის მატჩით მორაგბეთა ჩემპიონატის პირველი წრეც დასრულდა. „ლოკომოტივი 1"-თან დამარცხებულმა ჩემპიონმა კვირას მეორედ წააგო ჩემპიონობის კიდევ ერთ მაძიებელთან — ბათუმელ „დათვებთან", მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც: გადათვებულმა ყოჩყოფილმა კახა მაჩიტიძემ ბრწყინვალე თამაშით ბათუმელებს მატჩის ბოლო ოც წუთში ანგარიშში 17 ქულიანი სხვაობაც გააბათილებინა და მერე თავისიანებს სასწაულებრივადაც მოაგებინა, რითაც დათვებს ჩემპიონატში ჯერაც წაუგებელთა სახელი შეუნარჩუნა.

იხილეთ მეცხრე გვერდი

ვინ ჩქარობს, ვინ ვარჯიშობს, ვინ ვერ იცლის

ფოტოს ფარგლის ქუთაისიდან

საღორიის საწვრთნელი ბაზა: ტორპედოელები საევროპოდ სამზადისს შეუდგნენ. გუნდში ბევრი ნაცნობია, რამდენიმე ახალწვეულიც

კლუბის ახალი ემბლემა

დანამდვილებით არის ცნობილი, რომ პირველი საფეხბურთო მატჩი ქუთაისში 1909 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა, თუმცა, მატჩიც არის და მატჩიც. უბრალოდ, მაშინ თბილისის პირველი და მეორე გიმნაზიის მოსწავლეებმა, გელათის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად რომ ესტუმრნენ იმერეთს, ექსკურსიის დროს მოიცალეს და ეგრეთ წოდებული ჰოპერ — კაზაკთა პოლკის მოედანზე (დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა სასტუმრო „თბილისი“ მდებარეობს) ბურთაობა გააჩაღეს. ეს ამბავი თავის დროზე კარგად აღწერა ქართული ფეხბურთის მემატიანემ ვახტანგ ცამცაშვილმა. ქუთაისელთათვის უზვეულო სანახაობას ბევრი მოსიერე ჰყოლია — ბავშვი, კაცი თუ ქალი. ეგ კი არა, თვით გენერალ — გუბერნატორიც კი დაინტერესებულა თამაშით.

ეჰ, ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ რიონში. 90 წელი გასულა... ჩვენში უყვართ „მრგვალი“ თარიღების აღნიშვნა და ამ შემოდგომაზე იმერეთის სამხარეო ფეხბურთის ფედერაცია (ბევრს მიაჩნია, რომ დღესდღეობით ეს არაფორმალური ორგანიზაციაა) ქუთაისური ფეხბურთის „დაბადების დღესთან“ დაკავშირებულ დიდ ზარზეიმს თაოსნობს. არადა, ვფიქრობთ უმჯობესი იქნებოდა, ამ დალოცვილს (იმერეთის ფფ-ს) ორი წელი კიდევ მოეთმინა და მაშინ მართლა გამართლებული იქნებოდა 90-ე წლის იუბილეს გამართვა. ქუთაისში პირველი საფეხბურთო გუნდი ხომ 1911 წელს ჩამოყალიბდა რეალურ სასწავლებელში ტანვარჯიშის მასწავლებლის იასონ გაბაშვილის ძალისხმევით. ისე, იუბილეს ორგანიზატორები ამ ფაქტს არ უარყოფენ, მაგრამ რატომღაც მაინც ჩქარობენ... ჩვენ მათ უბრალოდ შევახსენებთ, რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში, რამდენადაც ცნობილია, პირველად ფოთში დაიწყეს. ფოთმა კი 1984 წელს აღნიშნა თავისი ფეხბურთის 75-ე წლისთავი. თბილისელებიც კი არ უარყოფენ ამ საქმეში ფოთელთა პირველობას, ქუთაისელებისათვის კი დედაქალაქელებს უსწავლებიათ თამაში და, რა გამოდის...

ზეიმი ვახსენეთ და გუშინ ქუთაისმა მართლა იზეიმა. ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ქალაქის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მეათე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს და ქვეყნის თასის მფლობელ „ტორპედოს“.

ეს ორმაგი წარმატება შემთხვევით



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

დავით ყიფიანი და ზურაბ მაისურაძე. ახალი სამსახურის პირველი დღე

არ ყოფილა. იგი დიდი ოფლისღვრის ფასად იგემეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა. ტორპედოელებმა ალალად დამსახურეს ის თბილი სიტყვები, რაც გუშინ მთელი საათნახევარის განმავლობაში ისმინეს კეთილმოსურნეთაგან. ყველას, როგორც სჩვევია, იმერეთის გუბერნატორმა გადააჭარბა: 2000 წელს ჩემპიონი „ტორპედო“ იქნება — ბრძანა თეიმურაზ შაშიაშვილმა. ბოლოს „ტორპედოს“ პრეზიდენტს მიხეილ ქორქიას მისცეს სიტყვა და მანაც, ფაქტობრივად, გუბერნატორის ნათქვამი გაიმეორა: მეც მგონია, ჩემპიონები გავხდებითო. თუმცა მიხეილ ქორქიამ მანამდე არაორაზროვნად განაცხადა: ჯემალ ხერხაძეს ძალიან უჭირდა ჩემთან ურთიერთობა. რა მექნა, მაქსიმალისტი ვარ, პირველ ადგილს ვითხოვდი. გვქონდა კიდევაც შანსი...

ჰოდა, ის რაც ქორქიას ხერხაძემ ვერ შეუსრულა, იქნებ „ტორპედოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა შესძლოს.

დავით ყიფიანს ჯერ კიდევ 17 ივნისს ელოდნენ საღორიის ბაზაზე, მაგრამ, იცით, ამ დღეს სფფ-მ დედაქალაქში მეათე ჩემპიონატის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონია გამართა და ყიფიანის ქუთაისში ჩამოსვლა ორი დღით გადაიდო.

ახალმა მთავარმა მწვრთნელმა შაბათს, ნაშუადღევს ჩაიბარა „ტორპედო“. ჩაიბარა და საღამოს პირველი საათნახევრიანი ვარჯიშიც ჩაატარა. სავარჯიშოდ მხოლოდ ეროვნული ნაკრების წევრები ახვლედიანი და იმედაძე არ გასულან. პირველს მცირე ტრავმა აქვს, მეორეს კი და გაუთხოვდა, შაბათს ქორწილი იყო.

გუნდში რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მოვიწვევო — განუცხადა ამას წინათ „სარბიელს“ ყიფიანმა. თქვა და შეასრულა. პირველ ვარჯიშზე 7 ასეთი მოთამაშე იახლა, მათგან ორის წარდგენა ზედმეტი იქნება. საუბარია ზაზა ზირაქიშვილზე და კახა სიდამონიძეზე. ყოველი შემთხვევისათვის ვიტყვით, რომ ზაზა ბოლოხანს „არსენალისთვის“ ირჯებოდა, ხოლო კახა „ტორპედოს“ მიერ გასულ სეზონში ოთხჯერ ძლეული და, ამასთან 20 ბურთით „დასაჩუქრებული“ „გორდას“ ღირსებას იცავდა. დანარჩენი ხუთი ახალწვეულის ვინაობაზეც მოგახსენებთ. ჭაბუკური ასაკისანი გახლავან. მიშიკო ბობოხიძემ, თორნიკე მაისურაძემ და ლექსო ამისულაშვილმა გასული სეზონი მეორეჯგუფელ თელავის „კახეთში“ დაასრულეს, გიორგი სომხიშვილმა „ყვარელში“ ითამაშა, ხოლო ჯაბა თავბერიძემ ჯერ „დინამო-2“-ში, მერე „დინამო-3“-ში. ჩანს, ეს კვინტეტი უფრო გასინჯვაზეა გუნდში. მოაწონებენ ბიჭები თავს ყიფიანს — ძირითადში ჩაირიცხებიან, თუ არადა, ყიფიანის აზრია, „ტორპედოს“ ძლიერი ფარმ-კლუბი ჰყავდეს და დროებით იქ მაინც დაიჯავშნიან ადგილს. კიდევ 4-5, ოღონდ გამოცდილი ფეხბურთელის მოწვევაზეა საუბარი. გუნდის მესვეურები მათი გვარების დასახელებისაგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ, თუმც მოარული ხმებით გატორპედოელება „ემუქრებათ“ ექს დინამოელ-ლოკომოტიველ დავით მუჯირს, მერანელ გიორგი კვეტენაძეს, „ტორპედო“ გამოვლილ რკინიგზელ შალვა ხუჯაძეს...

ყიფიანის თქმით, ძირითადში 22 ფეხბურთელი ეყოლება. ყველამ კეთილი ინებოს და ამ სიაში მოსახვედრად იბრძოლოს. შეღავათი არავის მიეცემა. ყიფიანმა მკაცრი დისციპლინის მომხრე ვარო და წესრიგის დამრღვევთ მკაცრი სანქციები არ ასცდებათო.

ფეხბურთელებთან პირველი გასაუბრებისას მთავარ მწვრთნელს უახლოეს გეგმებზე მოკლედ უთქვამს. კოვერჩანოდან 27 ივნისს დავბრუნდებიო. შემდეგ ადგილზე გავაგრძელებთ წვრთნასო. 1 ივლისს „დინამოს“ უნდა გავეჯიბროთ ამხანაგურადო. მერე ჰოლანდიაში მოვაწყობთ შეკრებას და იქ სულ მცირე ოთხ საკონტროლო შეხვედრას გავმართავთო. კიდევ ყიფიანმა ის დაიბარა, ჩემს არყოფნაში გუნდს ჯემალ ხერხაძე და ზურაბ მაისურაძე თანაბარი უფლებებით გაწვრთნიანო. ხერხაძეზე მოგეხსენებათ, ის „ტორპედოს“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი გახლავთ. მაისურაძეც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. ადრე ყიფიანს „დინამოში“ ეხმარებოდა, „ტორპედოში“ მოსვლამდე კი „კახეთს“ უძღვებოდა და, უნარიანადაც. ზურაბ მაისურაძე იმითაც არის ცნობილი, რომ ომარ თეთრაძე, მიხეილ ყაველაშვილი და ბევრი სხვაც დააფრთიანა.

საღორიის ბაზაზე დავით ყიფიანის პირველ ვარჯიშს რამდენიმე ჟურნალისტი ვესწრებოდით და, რაღა თქმა უნდა, მთავარ მწვრთნელთან ინტერვიუს ვლამობდით. მაგრამ არ გაგვიმართლა. ყიფიანმა, ახლა არ მცალია, კოვერჩანოდან დავბრუნდები და მერე რაზეც გინდათ, იმაზე ვისაუბროთო, დროებით ფეხბურთელებსაც ვუკრძალავ ჩემი ნებართვის გარეშე ჟურნალისტებთან საუბარსო.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია. ცოტა მოვითმინოთ. ყიფიანმა „ტორპედო“ მეორეჯერ 28 ივნისს უნდა ავარჯიშოს.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 000 000 — აჩიკოში!

არჩილ არველაძე

6 მილიონი ჰოლანდიური გულდენი და არჩილ არველაძე თქვენიაო — ასეთი წინადადებით მიმართავს ჰოლანდიური „ბრედა“ იმ კლუბებს, რომელთაც ქართველი თვალში მოუვიდათ. ასეთები კი ამ დროისთვის ერთდროულად შვიდია: ფრანგული „ნანტი“, ბელგიური „ანდერლეხტი“, ესპანური „რეალ სოსიედადი“, ჰოლანდიური „ტილბურგი“ და „უტრეხტი“, თურქული „ბეშიქთაში“ და „გალათასარაი“.

„ზუსტი მონაცემები არ მაქვს, თუ რომელი გუნდის ინტერესი უფრო რეალურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი დანიელი აგენტი ყველა პრობლემას მომიგვარებს „ბრედასთან“ და სეზონს ახალ კლუბში დავიწყებ“ — ამბობს არველაძე. თუმცა აჩიკო მაინც შიშობს, რომ ივივე ისტორია არ განმეორდეს, რაც სეზონის შუაგულში „გლაზგო რეინჯერსთან“ დაკავშირებით მოხდა. ქართველს ძალიან სურს იმ ფეხბურთელთა სიაში მოხვდეს, რომლებმაც „ბრედა“ უკვე დატოვეს. მათ შორისაა რუსი შუკოვი, რომელიც „ტილბურგში“-ში გადავიდა.

გოგა გახოკიძე, რომელსაც „ეინდჰოვენთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, კლუბის დატოვებაზე ფიქრობს. „ბობი რობსონი თითქოს ჩემით ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ ძირითადში თამაში ბოლოსღა მელირსა. მანამდე კი მეორე გუნდში ყოველ მატჩში გამქონდა გოლები“ — გაბრაზებულია გახოკიძე. მან ძირითადში ბოლო ტურის მატჩი ითამაშა და „უტრეხტს“ გოლიც გაუტანა. სწორედ ამ კლუბში გადასვლაზე ფიქრობს ქართველი. „უტრეხტის“ ახალი მწვრთნელი, ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელი ერიკ გერეტსი სერიოზულად ყოფილა გახოკიძით დაინტერესებული. იგი ასევე ბრედელ არველაძესაც აკვირდება.

ისრაელში აშდოდის „ირონთან“ აგრძელებს კონტრაქტს **აპაკი დევაძე**, რომელმაც კლუბის ლიგაში დარჩენაში ლომის წილი დიდო. დევაძემ 22 მატჩში ითამაშა, 35 გოლი გაუშვა და საბოლოოდ „ირონს“ მე-12 ადგილი მოუპოვა. ეს „წარმატება“ მას ეროვნულ ნაკრებში კარიერის დასრულებად დაუჯდა.

ამჟამად ფოთის „კოლხეთში“ ინტერტოტოს თასზე მოსაპარეზე **გიორგი დარასელიათი** კი, რომლის „ზაფრირიმი“ ისრაელის მთავარი ლიგიდან გავარდა, ერთდროულად სამი ებრაული ელიტარული კლუბია დაინტერესებული: იერუსალიმის „ბეითარი“, ხაიფას „ჰაპოელი“ და იერუსალიმის „ჰაპოელი“.

სიმონ მენაგდე

ბადრი კვირკველიას ფოტო

შოთას ბევრი ვარჯიში მოუწევს, ქინქლაძე კი „აიაქსიდან“ მიდის

შვედები არ გვიშვებენ

19 **ივლისს** ქართველი გულშემატკივრის ყურადღება შვედეთის ქალაქ მუტალასკენ იქნება მიპყრობილი. ამ დღეს საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველ შეხვედრას გამართავს იტალიის ნაკრებთან.

19 ივლისამდე ჯერაც საკმაო დროა დარჩენილი, დრო, რომელიც თვრამეტწლამდელებმა საჩემპიონოდ მოსამზადებლად უნდა გამოიყენონ. ჰოდა, ამ დღეებში ნაკრების ხელმძღვანელობამ უახლოესი სამი კვირის გეგმა დეტალურადაც შეიმუშავა. ერთი რამ აღსანიშნავია, ჩვენებურებს ასობით კილომეტრების გავლა ავტობუსით აღარ მოუწევთ.



ვახტანგ კოპალეიშვილი

რაც შეეხება თვრამეტწლამდელთა გეგმას, იგი ასეთია: ივნისის ბოლომდე ნაკრები თბილისში მოემზადება. 3 ივლისს ამხანაგურ შეხვედრას გამართავს თბილისის „ლოკომოტივთან“. ორი დღის შემდეგ კი მოსამზადებლად გერმანიაში გაემგზავრება.

ვახტანგ კოპალეიშვილი:

— გერმანიაში ქალაქ ლევერკუზენში გავჩერდებით. როგორც ვიცი, აქ საწვრთნელად მშვენიერი პირობები დაგვხვდება, დაგეგმილი გვაქვს, საკონტროლო შეხვედრის გამართვა „ბაიერის“ სათადარიგო გუნდთან. ვფიქრობ, რვაღღიანი შეკრება გუნდს სასიკეთოდ წაადგება.

13 ივლისს კი (ლევერკუზენში გუნდი ზუსტად ამ დღემდე დარჩება) ქართველები შვედეთისკენ აიღებენ გეზს. ვახტანგ კოპალეიშვილი აკლიმატიზაციის გასავლელად სკანდინავიაში პირველ მატჩამდე ექვსი დღით ადრე ჩასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და არც გაემტყუნება. მსგავსი ტურნირების დროს ადგილზე მომზადებას სხვა ეფექტი აქვს. მოკლედ, ჩვენებურებს შვედეთში 13 ივლისს ჩასვლის დიდი სურვილი კი აქვთ და საამისოდ ჩვენი მხრიდან ყველაფერიც მოგვარებულია, მაგრამ პრობლემა მოულოდნელად სხვა მხრიდან წარმოიშვა.

— შვედებმა მოულოდნელად პრობლემები შეგვიქმნეს ვიზების მიღებასთან დაკავშირებით. ისინი მოითხოვენ, რომ ჩვენ მატჩამდე ორი დღით ადრე (17 ივლისს) ჩავიდეთ მუტალაში, ეს კი არ გვსურს. წარმოდგენაც კი მიჭირს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას, ადგილზე მომზადებას დიდ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ვანიჭებ.

შვედებთან ურთიერთობის მოგვარება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ითავა და იქნებ ამ უახლოეს დღეებში ეს პრობლემაც მოგვარდეს, მაგრამ ვახტანგ კოპალეიშვილს საუხარი სხვაცა აქვს. საშვედეთოდ თვრამეტწლამდელებს ლევან გვაზავა გამოაკლდება. ამ ფეხბურთელმა რამდენიმე დღის წინ საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებში ითამაშა...

ვახტანგ კოპალეიშვილი: — არ შეიძლება ახალგაზრდა, ჯერაც ჩამოუყალიბებელი ფეხბურთელის ლიმონივით გამოწურვა, გვაზავა გადაწვეს, ბიჭს გული სტკივა, არითმიის ნიშნები აქვს.

აი, ასეთი სიტუაციაა დღეისათვის თვრამეტწლამდელთა ნაკრებში. ორიოდე დღის წინ ჩვენებმა შვედეთში 30-კაციანი სია გააგზავნეს. ამათგან კოპალეიშვილს 18 კაცის შერჩევა მოუწევს. საბოლოო შემადგენლობა კი გერმანიაში წასვლის წინ გაირკვევა.

და კიდევ ერთი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯუანო ბაგრატიონს გულისხმიერება გამოუჩენია და მისი მეცადინეობით ჩეხეთის მძლეველ ჩვენს ფეხბურთელებს ფულადი პრემიებიც მიუღიათ.

პაატა კვანტალიანი

ზოთას მარათონული მოსამზადებელი ელის

გუშინ ამსტერდამის „აიაქსის“ თავკაცმა პრესისთვის ხელმისაწვდომი გახადა ის კალენდარი, რომლის მიხედვითაც ჰოლანდიური კლუბი ახალი სეზონისთვის მოემზადება.

ამ კალენდარში ჩაითვალა ის ორი მატჩიც, რომელიც „აიაქსმა“ ივნისის დასაწყისში გამართა. „აიაქსი“ ახლა მძიმე კრიზისს განიცდის.

ხოშიმინში სიბონის გოლით მოუგო ვიეტნამის ნაკრებს, შემდეგ კი გამანადგურებელი მარცხი იწვინია ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროსაგან“ — 0:3.

მოსამზადებელი ციკლი 10 ივლისს, „ტახანდრიასთან“ შეხვედრით გაიხსნება. 13-ში „აიაქსი“ KVV ქუიკ 20“-ს შეხვდება. 15-ში პორტუგალიურ „გიმარაეშს“. 17-ში ჰოლანდიელებს დანიაში „ელბურგთან“ ელით მატჩი 21-ში კი ამერიკაში გაფრინდებიან და ნიუ ჰემპშირში „ნიუ ინგლენდ რევოლუშენს“ ეთამაშებიან.

23 ივლისს ვოუტერსის გუნდი ნიუ ჰემპშირიდან ნიუ იორჩში გადაინაცვლებს და „გოტმარის თასის“ გათამაშებაში ჩაებმება. აქ „აიაქსის“ გარდა იტალიის „მილანი“, პორტუგალიის „ბენფიკა“ და საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ ითამაშებენ. „გოტმარის თასი“ 25 ივლისამდე გასტანს.

27-ში „აიაქსი“ მშობლიურ ამსტერდამს დაუბრუნდება და „ამსტერდამის“ ოთხთა ტურნირში“ ითამაშებს, რომელიც 31 ივლისს დაიწყება. „აიაქსის“ მეტოქენი ესპანური მადრიდის „ატლეტიკო“, რომის „ლაციო“ და ბრაზილიური „სანტოსი“ იქნებიან. ფინალი 1 აგვისტოსაა დანიშნული.

„ამსტერდამის ტურნირიდან“ სამ დღეში „აიაქსი“ „ირაკლისს“ შეხვდება. 6 აგვისტოს კი კვლავ დანიაში ითამაშებს „სოუბურგთან“.

მოსამზადებელი ტური, 8 აგვისტოს „ამსტერდამ არენაზე“, დასრულდება, „აიაქსისა“ და ჰოლანდიის წლევანდელი ჩემპიონის, როტერდამის „ფეიენოორდის“ თამაშით.

ვაუტერსი ალბათ სულ მალე დაასახელებს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „აიაქსში“ მოსამზადებელ მატჩებში ითამაშებენ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ სიაში არ იქნება გიორგი ქინქლაძე და აუცილებლად ვიხილავთ შოთა არველაძეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი შთამბეჭდავი მომზადების შემდეგ 18 აგვისტოს ტალინში ესტონეთის წინააღმდეგ იოჰან ბოსკამპის განკარგულებაში ისევ „ის ძველი შოთა“ იქნება.

სიმონ მენაგდე

ყაველაშვილის ახალი მსურველი

ალექსეი ეფიმოვიჩ ბოგატიშევი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ციურიხის „გრასჰოპერის“ ქართველი ლეგიონერის მიხეილ ყაველაშვილის შეძენის სურვილი კიდევ ერთმა კლუბმა გამოთქვა. შვეიცარიულ „ბაზელს“ ჩვენებურისთვის დიდი ხნის წინ დაუდგამს თვალი, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი ჩანაფიქრის რეალურად განხორციელება განიზრახა და „გრასჰოპერსა“ და ფეხბურთელს შესაბამისი წინადადებებითაც მიმართა. თუმც საეჭვოა, „ბაზელმა“ საწადელი აისრულოს, რადგან, როგორც პარასკევს გაცნობეთ, ყაველაშვილით თვით გერმანიის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ლევერკუზენის „ბაიერია“ დაინტერესებული. ლევერკუზენელები ამის თაობაზე ერთი თვეა, „კალიების“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ და ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში უნდა დაასრულონ კიდეც.

ისე, არ არის გამორიცხული, ყაველაშვილს ორივე შესაძლო ტრანსფერი ჩაეშალოს და კვლავ „გრასჰოპერში“ დარჩეს, რადგან წლეულს ციურიხული კლუბის ხელმძღვანელებმა დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის გუნდის ლიდერი კუბილაი თურქილმაზი დაითხოვეს, რის შემდეგაც ქართველი ფეხბურთელი „კალიების“ მთავარ თავდამსხმელად იქცა. მწვრთნელებსაც მაინცდამაინც არ სურთ მისი გაყიდვა. გერმანული ვარიანტის ჩაშლის შემთხვევაში, ალბათ, უკეთესიც იქნება, თუ ჩვენებური „გრასჰოპერში“ დარჩება, რადგან იგი, სხვა შვეიცარიულ კლუბებს გაცილებით სჯობს, მათ შორის „ბაზელსაც“, რომელმაც გასულ სეზონში მეხუთე ადგილი დაიკავა და „ინტერტოტოს“ თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

იმედია, მიხეილ ყაველაშვილი, რომელსაც ივლისში 28 წელი უსრულდება, ლევერკუზენელებს ყველა დეტალზე შეუთანხმდება და მომავალ სეზონში „ბაიერის“ წითელ მაისურასაც მოირგებს.

ვანო ოძროპირიძე

საფეხბურთო კლუბი თბილისის „მრეტები“ ღრმა მწუხარებით
იუწყება კლუბის ყოფილი ფეხბურთელის
ჯუბა ჩუხუას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა
მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუბა
თბილისის „მერანის“ ფეხბურთელი
ჯუბა ჩუხუა
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

INTERTOTO CUP

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი. I მატჩი

მოხსნიან ფოთელებს მაცკოვს?

სკოპიე
19 ივნისი
21 საათი
ვარდარი
2 000 (ტევადობა 30 000)

ცემენტარნიცა 4:2 კოლხეთი

1:0 სერაფიმოვსკი (13), 1:1 დარასელია (20), 1:2 ხუჭუა (26), 2:2 რისტოვსკი (35), 3:2 სერაფიმოვსკი (45), 4:2 ვუიოვიჩი (89)

ცემენტარნიცა: ზეკირი, დიმიტროვსკი, ხრისტოვსკი, ბ. მილევსკი, სერაფიმოვსკი, რისტოვსკი, სავოვი (ვუიოვიჩი 69), იაკიმოვსკი, ი. მილევსკი (ცვეტკოვსკი 65), ლაზარევსკი (ტრაკოვსკი 82), ვასოსკი

სათადარიგონი: დიმოვი; ფრანგოვსკი, ანჩევსკი, სეტინოვი

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (შავგულიძე 46), შალამბერიძე, ღაღანიძე, ტრაპაიძე (ჩადუნელი 34), ე. გვასალია, ხუჭუა, ამაშუკელი (ჩომახიძე 73), დარასელია

სათადარიგონი: ჩემი; ანჯაფარიძე, ჯუღელი, ბულუხია

გაფრთხილება: სერაფიმოვსკი (32), ხუჭუა (62), ბ. მილევსკი (65), ცვეტკოვსკი (68)

მსაჯები: ვ. ანტონოვი; ვ. სოროჩინი, ვ. რობუ (ყველა მოლდოვა)

უეფას დელეგატი: ა. სილკოვი (რუსეთი)

ბიძინა დარჩია სკოპიედან

მატჩამდე

ფოთის „კოლხეთი 1913“ პარასკევს დილით ჩავიდა მაკედონიას. ოხრიდიდან 160-კილომეტრიანი მთაგორიანი ტრასა გაიარა და სკოპიეში, სასტუმრო „ამბასადორში“ დაბინავდა. სასტუმროს შესახებ წინა ნომერში გესაუბრეთ და თავი რომ არ შეგაწყინოთ, მხოლოდ ერთს დავამატებ: საქმე სასტუმროს ნომრების ავკარგიანობაზე მეტად არაორგანიზებულობაში გახლავთ, რომელსაც მასპინძელთაგან არა და არ მოველოდით.

აქ საკმაო პოპულარობით სარგებლობს ტიტე კალანდაძე და ქართული ჩაი, ხოლო საქართველოს შესახებ წარმოდგენა ძირითადად პოლიტიკოსებით აქვთ შექმნილი.

მაკედონიელები საფეხბურთო ტრადიციებით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა ჯერაც ინარჩუნებენ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს. „ცემენტარნიცა“ ევროპულ ტურნირებზე დებიუტანტი გახლავთ. პოპულარობით იგი აშკარად ჩამორჩება სკოპიეს სხვა გუნდებს, რომელთაგან „ვარდარია“ პირველი.

მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე ფოთელებმა ნუგზარ მიქაბერიძე მოისაკლისეს, დანარჩენები ჯანზე იყვნენ, თუმცა საეჭვო იყო ლევან შავგულიძის თამაშიც, რომელიც მიკროტრავმისგან სრულად ვერ განიკურნა. მატჩის წინ საკმაო ინტერესი გამოიჩინეს ჩვენმა მაკედონიელმა კოლეგებმა, მაგრამ ისინი უფრო ფოთელთა „ცრვენა ზვეზდასთან“ წაგებას იხსენებდნენ. უფრო რეალურად მეტოქეს „ცემენტარნიცას“ მთავარი მწვრთნელი ალექს მაცკოვი აფასებდა და თავისიანებს მძიმე და ხისტი თამაშისთვის განაწყობდა. მაკედონიის ტელევიზიამ, რომელმაც ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი მოაწყო, დიდი ყურადღება დაუთმო მატჩისწინა პერიპეტიებს და კოლხთა თავკაცს გია ტყებუჩავას ვრცელი ინტერვიუც ჩამოართვა.

მატჩი

ფოთელებმა პირველივე წუთებიდან უპირატესობა მოიპოვეს. დარასელია და ღაღანიძე მოედნის ცენტრს დაეუფლნენ და განაპირა ნახევარმცველები გვარიანად დაასაქმეს. ხუჭუამაც და გვასალიამაც საკმაოდ ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მასპინძელთა მცველებს.

ექსიუგთა მოსალოდნელი ფიზიკური უპირატესობა არ ჩანს. პირიქით, „კოლხეთი“ უკეთ გამოიყურება. უპირატესობა ნელ-ნელა გოლადაც უნდა ქცეულიყო და... მართლაც იქცა, ოღონდ ჩვენს კარში. მარჯვენა ფლანგზე თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი სავოღი ბურთს აწვდის სერაფიმოვსკის და მასაც აუღელვებლად გააქვს.

მცველები გვერდით მსაჯს მისჩერებოდნენ, რომელსაც, წესით და რიგით, უნდა დაეფიქსირებინა თამაშგარე, მაგრამ ამაოდ.

ეს ყოველივე მე-13 წუთზე მოხდა, მაგრამ ფოთელებმა ყბადაღებული პირველი გოლის ფაქტორი და თარსი 13 არად ჩააგდეს და მე-20 წუთზე კოლხთა მე-20 ნომერმა, გიორგი დარასელიამ — ოთხ მცველს დააღწია თავი, საჯარიმოს ხაზიდან მატჩის მონაწილე ერთადერთ მუსლიმს, მეკარე ჯუმაილ ზუკირს აუღებელი დაურტყა და კოლხეთის პირველი ევროპული გოლი გაიტანა.

რამდენიმე წუთში ისევ დარასელია, ისევ ინდივიდუალური ოსტატობა — ისევ რამდენიმე კაცის გაპამპულავება, ბრწყინვალე პასი ხუჭუას და მანაც ივარგა.

ხუჭუას თავის გამოჩენა მერეც შეეძლო, როცა მეორე ნახევარში იმავე დარასელიას ჩინებული პასის შემდეგ მეკარეც მოატყუა, მაგრამ ბურთი ბოლომდე ვეღარ მოათვინიერა და კარის ბადე გარედან შეარხა.

გამოუყენებელ მომენტებზე თუ ვილაპარაკებთ, მაშინ რამდენჯერმე რისტოვსკის შეეძლო და ვალდებულიც იყო, გოლი გაეტანა, მაგრამ...

მასპინძლებს უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ და მათაც შეუტიეს. ასეთ დროს ყველაფერი უკანა ხაზზეა დამოკიდებული, მაგრამ ფოთელებმა მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს და მატჩი, რომელიც შეიძლებოდა მათ სასარგებლოდ დასრულებულიყო, ორბურთიანი სხვაობით დათმეს.

შაბათს ფაზის-ქალაქს სტუმრები სხვა განწყობით ეწვევიან. სხვა ხასიათზე დახვდებიან მათ კოლხებიც. ფოთელთა წინაშე მდგარი ამოცანა მძიმეა, მაგრამ არა შეუძლებელი. თუმცა საქმის გართულებაში თავად არიან დამნაშავენი.

პრესკონფერენცია

ალექს მაცკოვი, „ცემენტარნიცას“ მთავარი მწვრთნელი:

— მატჩი მაღალ დონეზე წარიმართა, თუმცა მეორე ნახევარში ორივე გუნდს დაღლა დაეტყო. ჩვენ რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი გვაკლდა, რომლებიც საპასუხო მატჩისთვის დაგვემატებიან. საკუთარი გუნდიდან არავის გამორჩევა არ მსურს. მეტოქეებიდან კი დარასელიას, თავდამსხმელ გვასალიას, გიორგაძეს და ტორჩინავას გამოვყოფ. ფოთში მძიმე მატჩი მოგველის. თუ მომდევნო ეტაპზე ვერ გავედით, კლუბს ახალი მწვრთნელი ეყოლება საძებარი.

გია ტყებუჩავა, „კოლხეთი 1913“-ის მთავარი მწვრთნელი:

— მატჩი საინტერესო გამოდგა. რამდენიმე დასანანმა შეცდომამ არასასურველ ანგარიშამდე მიგვიყვანა. ბიჭებს მადლობა მინდა გადავუხადო, რაც შეეძლოთ, გააკეთეს. მეორე ეტაპზე გასვლა სავსებით რეალურად მიმაჩნია. ძნელი მატჩი გველის. რეზერვში ჩვენც ბევრი რამ გაგვაჩნია, რასაც ფოთის „ფაზისზე“ იხილავთ. მსაჯობაზე ჩივილს აზრი არა აქვს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

„კოლხეთის“ მუდმივი მშველელი: გიორგი დარასელიამ ფოთელებს შანსი შეუნარჩუნა

INTERTOTO CUP

ინტერტოტოს თასი

პირველი ეტაპი

პირველი მატჩები — 19-20 ივნისი

ჰერფოლგე (შვედეთი) — ჟილინა (სლოვაკეთი) 0:2
0:1, 0:2 მინტალი (48, 89)

აკრანესი (ისლანდია) — ტეუტა (ალბანეთი) 5:1
0:1 ბაბამუსტა (16), 1:1 ჰარალდსონი (23), 2:1, 3:1 ჰაუკსონი (27, 45), 4:1, 5:1 კენტტი (77, 83)

ვალერენგა (ნორვეგია) — ვენტსპილსი (ლატვია) 1:0
1:0 კარეუ (53)

პოლონია (პოლონეთი) — ტილიგული (მოლდოვა) 4:0
1:0 დაბროვსკი (50), 2:0 ოლისადებე (54), 3:0 მოსკალი (61), 4:0 ვენჩევიჩიუსი (67)

სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) — სენტ ტრუიდენი (ბელგია) 1:2
1:0 ტიმნევი (45), 1:1 ვან ოეკელენი (54), 1:2 მერტენსი (66)

ბაკეუ (რუმინეთი) — არარატი (სომხეთი) 0:1
0:1 ანტონიანი (69)

ლოკომოტივ 96 (ბელარუსი) — ვარტექსი (ხორვატია) 1:2
0:1 ნუნჩეკი (19), 1:1 ალეჩენკო (51), 1:2 ნუნჩეკი (65)

დრაგოვილიაცი (ხორვატია) — ნური თაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1:0
1:0 მილეტიჩი (53)

იედინსტვო (ბოსნია) — გი გოტუ (ფარერები) 3:0
1:0 ტულიჩი (47), 2:0, 3:0 დუიმოვიჩი (75, 90)

უნიონი (ლუქსემბურგი) — ვაშაში (უნგრეთი) 1:3
0:1 ზომბორი (12), 0:2 სოვუნმი (30), 1:2 ლოუერი (58ჯ), 1:3 სოვუნმი (67)

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ყარაბახი (აზერბაიჯანი) 1:2
0:1 გუსეინოვი (27), 1:1 მასიკა (78), 1:2 გუსეინოვი (90)

რუდარი (სლოვენია) — ჰალმსტადი (შვედეთი) 0:0

შელბურნი (ირლანდია) — ქსამაქსი (შვეიცარია) 0:0

ებერსვეთ თაუნი (უელსი) — ფლორიანა (მალტა) 2:2
1:0 მორისონი (18), 1:1 ბუჰაჯირი (32), 1:2 კამენზული (65), 2:2 მორისონი (86ჯ)

იოკერიტი (ფინეთი) — ტრანსი (ესტონეთი) 3:0
1:0, 2:0, 3:0 ჰიუკა (3, 30, 44ჯ)

კოროტანი (სლოვენია) — ბაზელი (შვეიცარია) 0:0

ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — გომელი (ბელარუსი) 1:0
1:0 ზალესკი (78)

პობედა (მაკედონია) — ტრენჩინი (სლოვაკეთი) 3:1
0:1 პორაზიკი (6), 1:1, 2:1, 3:1 ოლივეირა და კოსტა (22, 30, 54)

ჩაჰლაული (რუმინეთი) — ეკრანასი (ლიტვა) 1:0
1:0 ალისტარი (58)

საპასუხო მატჩები გაიმართება 26-27 ივნისს

INTERTOTO CUP

ინტერტოტოს თასი

ქართული გუნდები ინტერტოტოს თასზე

1996 წ. კოლხეთი (ფოთი)

I ტური 29 ივნისი.
ბათუმი. „დინამო“. 5 000 მაყურებელი
კოლხეთი 2:3 ზემუნი (იუგოსლავია)
1:0 ამბიძე (3), 1:1, 1:2 ისაილოვიჩი (9, 25), 1:3 ოსუნი (27), 2:3 კიკლიაშვილი (68ჯ)
კოლხეთი: მ. გვასალია (გოგუა 46), მიქაბერიძე, კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ქუნთელია, ღაღანიძე, კიკლიაშვილი, გახოკიძე, სოლოღაშვილი, გაბისონია (ყულეჯიშვილი 81), ბ. ამბიძე (გ. გიორგაძე 46)
მსაჯი: ბ. ვაჰამი (თურქეთი)

II ტური 7 ივლისი.
იაკობსტადი. „კესკუსკენტა“. 10 000 მაყურებელი
იარო (ფინეთი) 2:0 კოლხეთი
1:0 ერიომენკო (8), 2:0 ვიჯესკოგი (68)
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე (ინიაშვილი 75), კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ქობულაძე, თიბილაშვილი, ბ. ამბიძე (ღაღანიძე 62), გახოკიძე, სოლოღაშვილი, გაბისონია (გ. გიორგაძე 65), ტორჩინავა
მსაჯი: ჯ. კეტლი (ჩრდ. ირლანდია)

III ტური 13 ივლისი.
ფოთი. „ფაზისი“. 6 000 მაყურებელი
კოლხეთი 1:3 გინგამი (საფრანგეთი)
0:1 კარნო (23), 0:2, 0:3 ორლავილი (61, 65), 1:3 ამბიძე (74)
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე (ბულუხია 46), ქუნთელია (ღაღანიძე 75), შ. ხუჯაძე, ქობულაძე, თიბილაშვილი, ბ. ამბიძე, გახოკიძე, სოლოღაშვილი, გაბისონია, ტორჩინავა (ინიაშვილი 69)
მსაჯი: ვ. ბუტენკო (რუსეთი)

IV ტური 20 ივლისი.
ბუქარესტი. „დინამო“. 15 000 მაყურებელი
დინამო (რუმინეთი) 2:0 კოლხეთი
1:0 გროზავუ (2), 2:0 პეტრე (37)
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, ქობულაძე, შ. ხუჯაძე, თიბილაშვილი, ქუნთელია (ღაღანიძე 74), ბ. ამბიძე, გახოკიძე, სოლოღაშვილი, გაბისონია (ბულუხია 78), ტორჩინავა
მსაჯი: ჰ. ალბრეხტი (გერმანია)

1997 წ. მერანი (თბილისი)

I ტური 22 ივნისი.
თბილისი. „ეროვნული“. 10 000 მაყურებელი
მერანი 0:2 ტორპედო (რუსეთი)
0:1 გაშკინი (5), 0:2 მაშკარინი (54)
მსაჯი: ლ. ლუიზოსი (კვიპროსი)

II ტური 29 ივნისი.
სალონიკი. „კაფტანცოლიო“. 259 მაყურებელი
ირაკლისი (საბერძნეთი) 2:0 მერანი
1:0 სემესი (53), 2:0 ვამბამბაკისი (66)
მსაჯი: ვ. ანხელინეი (რუმინეთი)

III ტური 6 ივლისი.
თბილისი. „ეროვნული“. 5 000 მაყურებელი
მერანი 5:0 ფლორიანა (მალტა)
1:0, 2:0 კვარაცხელია (55, 58), 3:0 ბ. ამბიძე (65), 4:0 მაზიაშვილი (72), 5:0 დავითაშვილი (77)
მსაჯი: მ. თოქათი (თურქეთი)

IV ტური 13 ივლისი.
რიდი. „რიდი“ 2 000 მაყურებელი
რიდი (ავსტრია) 1:3 მერანი
0:1 მაზიაშვილი (6), 0:2 დ. გოდერძიშვილი (17), 1:2 ჰანსენი (39), 1:3 კვარაცხელია (54)
მსაჯი: ს. ბრაგა (ლატვია)

1998 წ. ტორპედო (ქუთაისი)

I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი 21 ივნისი.
ქუთაისი. „გივი კილაძე“. 8 500 მაყურებელი
ტორპედო 6:0 ერეგუნი (სომხეთი)
1:0, 2:0 მეგრელაძე (3, 28), 3:0 ვაჩიბერაძე (30), 4:0, 5:0 ჯანაშია (43, 84), 6:0 კვეტენაძე (86)
მსაჯი: ი. ხაიმი (ისრაელი)

საპასუხო მატჩი. 27 ივნისი.
ერევანი. „რაზდანი“. 2 500 მაყურებელი
ერეგუნი 1:1 ტორპედო
1:0 ოგანესიანი (22), 1:1 შ. ხუჯაძე (30)
მსაჯი: ს. ჰანლონი (ირლანდია)

II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი 5 ივლისი.
ლოდელი. „შტედელიკ შპორტშტადიონი“. 5 000 მაყურებელი
ლოდელი (ბელგია) 0:1 ტორპედო
0:1 ვაჩიბერაძე (31)
მსაჯი: ი. ლარსენი (დანია)

საპასუხო მატჩი 11 ივლისი.
ქუთაისი. „გივი კილაძე“. 20 000 მაყურებელი
ტორპედო 1:2 ლოდელი
1:0 კვეტენაძე (4), 1:1 შუბერტი (8), 1:2 კენვორტსი (12)
მსაჯი: ა. ბუტენკო (რუსეთი)

ლიგაში ორი გუნდით

ესპანეთი

XXXVIII ტური

ბეტისი 1:4 ბილბაო

0:1 ესკუერო (35), 0:2 ხ. ეჩებერია (45), 0:3 ი. გერერო (63), 1:3 ოლი (79), 1:4 ურსაისი (88ბ)

76-ე წუთზე ლარასაბალმა (ბილბაო) ვერ გაიტანა პენალტი

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (ბენჰამინი 46), ოლიასი, ფილიპესკუ, ალექსისი, კანიასი, იტო (ფერნანდო 55), ფინიდი, ოლი, ალფონსო, დენილსონი, გალვესი (ალფონსო 55)

ბილბაო: ეჩებერია, ალკორტა, ლარასაბალი, ფერეირა, ლარაინსარი, ი. გერერო (ლაკრუსი 81), ხოსე მარი, ალკისა, ესკუერო (ხავი გონსალესი 66), ხ. ეჩებერია, ურსაისი

გაფრთხილება: ლუის ფერნანდესი, კანიასი, ალკორტა, ალკისა, ურსაისი

მსაჯი: მეგია დავილა

სარაგოსა 2:0 ბარსელონა

1:0, 2:0 მილოშევიჩი (6, 75)

სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი, პაკო, არაგონი, გარიტანო, ხოსე იგნასიო (ელგერა 85), მილოშევიჩი, ჯამელი (იორდი 87), მარკოს ვალესი (ხავი პენია 70)

ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, აბელარდო (პელეგრინო 39), სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა (ჩირიჩი 67), ფიგუ, კოკუ, რ. დე ბური, რივალდო, კლუივერტი

გაფრთხილება: არაგონი, ხოსე იგნასიო, ხავი პენია, აბელარდო, გვარდიოლა, ფ. დე ბური, ფიგუ, კლუივერტი

გაძევება: ფ. დე ბური (58)

მსაჯი: პერეს ლასა

ესტრემადურა 2:2 ვილიარეალი

0:1 კრაიოვეანუ (36), 0:2 ალბელდა (81), 1:2, 2:2 გაბრიჩი (85, 90)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, კალა (პოლი 62), სოტო (გაბრიჩი 69), ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ხუანიტო (ტონი ველამასანი 54), ვიოდო, დურე, ესპოზიტო, მანუელი

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტელესი, ტაშევსკი, გარსია სანხუანი, ალბელდა, დიასი (ალბერტო 90), ხერარდო, კრაიოვეანუ (მოიზესი 81), კრისტიანსენი, ალფარო

გაფრთხილება: ვიოდო, ალბელდა, კრისტიანსენი

მსაჯი: დუდენ იბანესი

რეალი 3:1 დეპორტივო

1:0, 2:0 რაული (38, 42), 3:0 მორიენტესი (47), 3:1 ტურუ ფლორესი (62)

რეალი: ილგნერი, პანუჩი (ტენია 80), რობერტო კარლოსი, სანჩისი, ივან კამპო, რედონდო, ზეედორფი, კარემბუ, რაული (ოგნიენოვიჩი 88), მიატოვიჩი (სავიო 52), მორიენტესი

დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი (რამისი 46), შურერი, მანუელ პაბლო, მაურო სილვა (არმანდო 55), ფრანი, პაჯი (მანხარინი 48), დონატო, პაულეტა, ტურუ ფლორესი

გაფრთხილება: სანჩისი, ივან კამპო

გაძევება: შურერი (25)

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

სელტა 0:1 ათლეტიკო

0:1 სოლარი (9)

სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, ბერხესი, კასერესი, ოსკარ ვალესი (რობერტო 43, აგილერა 46), ჯოროვიჩი, კარპინი, მაკელელე, რევივო, პენევი, სანჩესი (კრუიფი 46)

ათლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა (რობერტო 43), სოლანა (ხუან გონსალესი 74), ლარდინი (ჟუნინიო 71), ვალერონი, მენია, ბეიბლი, ხოსე მარი

გაფრთხილება: პენევი, ხელი, სოლანა, ვალერონი

მსაჯი: დიას ვეგა

ვალენსია 3:0 მალიორკა

1:0 ილიე (12), 2:0 მენდიეტა (51), 3:0 ილიე (66)

ვალენსია: კანისარესი, კამარასა, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ფარინოსი, მიია (შვარცი 73), კ. ლოპესი (სერბანი 68), ილიე, ვლაოვიჩი (ანგულო 62)

მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა, სტანკოვიჩი (პაუნოვიჩი 59), ფ. სოლერი, ენგონგა, კარლოსი (ჩუპა ლოპესი 65), დანი

გაფრთხილება: ფარინოსი, მიია, ჩუპა ლოპესი, კარლოსი

მსაჯი: ესკინას ტორესი

ესპანიოლი 2:1 ოვიედო

0:1 ხაიმე (29), 1:1 დარიო სილვა (48), 2:1 გალკა (73)

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, სერხიო (ლოპო 80), ივან ელგერა, გალკა, პაჩეტა, კაპდევილა (არტეაგა 46), დე ლუკასი (მარტინ პოსე 46), დარიო სილვა, ბენიტესი

ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ივან იგლესიასი (ხენი 75), ხაიმე (ამიევა 75), პაულო ბენტო, ონოპკო, ნადი (ფაბიო პინტუ 80), დელი ვალდესი, დუბოვსკი

გაფრთხილება: ბენიტესი, ესტებანი, რაბანიროვი, ანელი, ნადი, ფაბიო პინტუ

მსაჯი: მედინა კანტალიეხო

ალავესი 2:1 სოსიედადი

0:1 ხაიმე (29), 1:1 დარიო სილვა (48), 2:1 გალკა (73)

ალავესი: კიკე, კარმონა, ბელსუე, ხოსეტე, ბერუე, პაბლო გომესი, ხერარდი (ალბისტეგი 72), დესიო, სივორი, მანიო (ვიტამინა სანჩესი 55), სალინასი (კანაბალი 66)

სოსიედადი: ოლაბე, ლორენი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, დე პედრო, დე პაულო, კუხბაუერი, ადეპოჟუ (ანტია 79), არამბურუ (გრასია 46), სა პინტუ, იდიაკესი (ალდეონდო 61)

გაფრთხილება: ბელსუე, სივორი

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

რასინგი 0:2 ვალიადოლიდი

0:1 კამინერო (18), 0:2 ტურიელი (25)

რასინგი: სებალოსი, მელბერგი, ნერუ (პაბლო სეზარი 46), სიეტესი (ხომინი 80), ვივარ დორადო, ჩემა, ვიქტორი (ბესჩასტნიხი 46), შუსტიკოვი, ამავისკა, სალვა, მუნიტისი

ვალიადოლიდი: სეზარი, გარსია კალვო, სანტამარია, ხულიო სეზარი, ჩემა, ვისკაინო, ტურიელი, კამინერო, ორლანდო, პეტერნაკი (ალბერტო 81), ვიქტორი

გაფრთხილება: სალვა, ხულიო სეზარი, ორლანდო

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

სალამანკა 1:2 ტენერიფე

0:1 მისტა (42), 1:1 ველისკა (51), 1:2 ემერსონი (44)

სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლორენი, სეგარა, ტაირა (მუნტეანუ 80), ედუ ალონსო, ჯოვანელა, ბარბარა, ველისკა, სილვანი (კასარტელი 80)

ტენერიფე: უნსუე, ლუსენჰოფი, ბასავილბასო, ჯაკობი (ივანი 75), იოკანოვიჩი, დანი, ემერსონი, სლოვაკი (გუსტავო 78), პიერი (ხავი ლოპესი 59), პინილია, მისტა

გაფრთხილება: სეგარა, ჯაკობი

მსაჯი: ლოპეს ნიეტო



REUTERS მადრიდიდან

სამეფო კლუბი ჩემპიონთა ლიგაშია!

ყველაფერი ნათელია. ყველა კითხვას გაეცა პასუხი. უკან დარჩა კიდევ ერთი სეზონი.

ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთს ჩემპიონი „ბარსელონა“ და ვიცე-ჩემპიონი „რეალი“ წარადგენენ, თასების მფლობელთა თასის ფინალისტ „მალიორკას“ და „ვალენსიას“ კი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევთ.

უეფას თასზე ესპანეთიდან სამი კლუბი გადის. ევროსარბიელზე ასპარეზობის უფლება ვიგოს „სელტამ“, ლა კორუნიას „დეპორტივომ“ და მე-13 ადგილზე გასულმა მადრიდის „ათლეტიკომ“ მოიპოვეს. თუ პირველმა ორმა კლუბმა არ დაგაეჭვათ, „ათლეტიკოს“ ევროთასებზე გამსვლელთა შორის გამორჩენა გაგიკვირდებოდათ. საქმე ისაა, რომ „ათლეტიკო“ ესპანეთის თასის ფინალში, 26 ივნისს, „ვალენსიას“, ჩემპიონთა თასზე მოასპარეზე კლუბს ეთამაშება. ფინალის შედეგის მიუხედავად, „ათლეტიკო“ უეფას თასისთვის იბრძოლებს.

ეს რაც შეეხება ცხრილის ზედა ნახევარს. ქვემოთ კი „სალამანკა“ და „ტენერიფე“ პრიმერა დივიზიონს გამოემშვიდობნენ, „ვილიარეალს“ და „ესტრემადურას“ კი უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად კიდევ მოუწევთ პლეი ოფში ბრძოლა.

ესპანეთის რიგით 69-ე ჩემპიონატის დასასრული ძალიან დაძაბული გამოდგა. იბრძოდნენ ლიდერებიც და მაჩანჩალებიც.

ბოლო ტურში ორი ძალიან პრინციპული შეხვედრა გაიმართა — მადრიდის „რეალი“ კონკურენტ ლა კორუნიის „დეპორტივოს“ მასპინძლობდა, ვალენსიაში კი ასევე კონკურენტთა დაპირისპირება შედგა. „ვალენსიამ“ „მალიორკა“ მიიღო.

მადრიდელებს პირველი წრის მატჩი ლა კორუნიაში, „ესტადიო რიასორზე“ 0:4 წაეგოთ. ალბათ, გახსოვთ, სწორედ ამ მარცხს შეეწირა „რეალის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი. ამ თამაშის წინ გადაჭრით ვერ იტყოდი, რომ მასპინძლებს სტუმართა განადგურება ეწადათ, მაგრამ ის, რომ უცილობლად გამარჯვებას აპირებდნენ, თქმა არ უნდა.

„რეალმა“ მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, მეტოქესაც გვარიანად აჯობა და შინ სეზონი მოგებით დაასრულა. „რეალის“ გულშემატკივრები კიდევ იმან გაახარა, რომ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება საყვარელი კლუბის თავდამსხმელმა რაულმა მოიპოვა — ახალგაზრდა ფორვარდმა „დეპორტივოს“ ორი გოლი გაუტანა, საბოლოო ჯამში კი ერთი ბურთით აჯობა ბარსელონელ კონკურენტ რივალდოს.

პირველი ტაიმის მიწურული და მეორე ნახევრის პირველი წუთები სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა — თუ მანამდე ისინი მეტოქეს ეწინააღმდეგებოდნენ, ზემოხსენებულ პერიოდში ერთბაშად სამი გოლი გაუშვეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კამერუნელ ჟაკ სონგოს კარში გოლი კიდევ უნდა გასულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

„რეალმა“ მეტოქე იოლად დაამარცხა, მეორე ადგილზე გავიდა და შესაბამისად ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებაც მოიპოვა. უელსელი ჯონ ტოშაკის გუნდისთვის მიმდინარე სეზონში ესეც მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ლაკორუნიელთა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგება იმას ნიშნავდა, რომ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა „ვალენსიამ“.

იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ვალენსიაში მართლაც შესანიშნავი გუნდი შექმნა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალ სეზონში მას „მალიორკას“ ყოფილი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი გაწვრთნის, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კიდევ უფრო გაძლიერდება.

„მალიორკას“ მარცხი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ასეთი დიდი ანგარიშით — არა. რაკი „მალიორკას“ ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლება მოპოვებული ჰქონდა, მისთვის „ვალენსიასთან“ თამაშმა ფორმალური სახე მიიღო. ეს, ცხადია, ვარაუდია, მაგრამ არაა გამორიცხული, სიმართლეც იყოს. „მალიორკასთან“ მოგებით „ვალენსია“ ლიგაში გავიდა, ექტორ რაულ კუპერმა კი ერთბაშად ორი კლუბი გაიყვანა ჩემპიონთა თასზე.

ვიგოს „სელტა“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოჩნდა — კლუბი სეზონის მიწურულს აშკარად დაიღალა. ვიგოელებს მადრიდის „ათლეტიკოსთან“ შინ რომ მოეგოთ, „ვალენსია“ — „მალიორკას“ დაპირისპირების შედეგს აღარ დაელოდებოდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მადრიდელებმა ვიგოში, „ესტადიო ბალაიდოსზე“ მასპინძელი — „სელტა“ დაამარცხეს და დამხვდური ქომაგები ძალიან გაანაწყენეს.

— სამწუხაროა, როცა სეზონს ასე ვამთავრებთ. ჩვენ შეგვეძლო ჩემპიონთა ლიგაში თამაში, მაგრამ ოცნება ოცნებადვე დარჩა. ვწუხვარ, რომ ფეხბურთელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, არადა, ძალიან ახლოს იყვნენ — ნანობდა „სელტას“ პრეზიდენტი ორასიო გომეს არაუხო.

...1947-48 წლების სეზონში ვიგოს „სელტა“ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა. ეს მიღწევა კლუბის ისტორიაში დღემდე საუკეთესოდ დარჩა, არადა, ვიგოელებს შეეძლოთ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შედეგის გაუმჯობესება.

მაჩანჩალებში კი. პრიმერა დივიზიონში ათწლიანი ყოფნის შემდეგ „ტენერიფე“ დაქვეითდა. მადრიდის „რეალის“ საძულველი მეტოქე მომავალ სეზონში ქვედა დივიზიონში ითამაშებს და სამეფო კლუბსაც აღარ გაამწარებს.

ლაშა გოდუაძე

მეორე დივიზიონი

XLII ტური

კომპოსტელა 3:0 ორენსე

1:0 პასი (16), 2:0 ლეკუმბერი (60), 3:0 მაურო (67)

ლეიდა 2:3 მერიდა

1:0 სეტვალსი (3), 1:1 რუბინიო (17), 2:1 სტანიჩი (20ბ), 2:2, 2:3 ბარატა (41ბ, 87)

სპორტინგი 4:2 ალბასეტე

1:0 ჩერიშევი (4), 1:1 დანი ბუზასი (11), 1:2 ხესუსი (47), 2:2 ლედიახოვი (54), 3:2 მონჩუ (65), 4:2 კაიკუ (88)

მალაგა 0:1 სევილია

0:1 ცარტასი (58ბ)

ნუმანსია 3:0 რეკრეატივო

1:0 ხავი მორენო (4), 2:0 ანხელ ლუისი (89), 3:0 არტიგასი (90ბ)

ლოგრონიესი 0:0 ლეგანესი

რაიო 1:1 ბადახოსი

0:1 სოლაუნი (55), 1:1 სემბრანოსი (86)

ათლეტიკო B 4:0 ოსასუნა

1:0 სეკუეიროსი (17ბ), 2:0 ლორენი (38), 3:0, 4:0 სეკუეიროსი (41, 59)

მალიორკა B 1:3 ერკულესი

0:1 დეუსი (7), 0:2 კონტე (22), 1:2 რამონი (69), 1:3 კონტე (86ბ)

ლას პალმასი 4:1 ბარსელონა B

1:0 ელიო (6), 2:0 ხოსიკო (63), 3:0 ორლანდო (68), 3:1 გაბრი (86), 4:1 ელიო (87)

ეიბარი 3:0 ტოლედო

1:0 გოიო (1), 2:0 იტურინო (54), 3:0 არენასა (80)

მალაგა	42	22	13	7	73:47	79
ათლეტიკო B	42	21	11	10	73:51	74
ნუმანსია	42	21	10	11	68:40	73
სევილია	42	20	11	11	66:50	71
რაიო	42	19	14	9	64:49	71
ლას პალმასი	42	17	17	8	57:38	68
ტოლედო	42	18	11	13	54:49	65
კომპოსტელა	42	16	13	13	60:53	61
სპორტინგი	42	16	11	15	47:47	59
მერიდა	42	15	14	13	49:41	59
ლეიდა	42	15	14	13	52:51	59
რეკრეატივო	42	14	16	12	40:35	58
ოსასუნა	42	15	12	15	44:51	57
ბადახოსი	42	12	15	15	35:39	51
ალბასეტე	42	12	14	16	38:43	50
ლოგრონიესი	42	12	12	18	48:57	48
ლეგანესი	42	10	17	15	36:44	47
ეიბარი	42	13	8	21	42:56	47
მალიორკა B	42	12	10	20	52:64	46
ბარსელონა B	42	13	5	24	51:69	44
ერკულესი	42	10	10	22	38:66	40
ორენსე	42	7	6	29	35:82	27

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბარსელონა	38	24	7	7	87:43	44	79	19	13	3	3	52:23	29	42	19	11	4	4	35:20	15	37
2	რეალი	38	21	5	12	77:62	15	68	19	14	2	3	46:23	23	44	19	7	3	9	31:38	-7	24
3	მალიორკა	38	20	6	12	48:31	17	66	19	14	3	2	30:8	22	45	19	6	3	10	18:23	-5	21
4	ვალენსია	38	19	8	11	63:39	24	65	19	11	5	3	38:14	24	38	19	8	3	8	25:25	0	27
5	სელტა	38	17	13	8	69:41	28	64	19	12	6	1	46:15	31	44	19	5	7	7	23:26	-3	22
6	დეპორტივო	38	17	12	9	55:43	12	63	19	11	6	2	33:15	18	39	19	6	6	7	22:28	-6	24
7	ესპანიოლი	38	16	13	9	49:38	11	61	19	9	8	2	27:14	13	35	19	7	5	7	22:24	-2	26
8	ბილბაო	38	17	9	12	53:47	6	60	19	10	5	4	30:17	13	35	19	7	4	8	23:30	-7	25
9	სარაგოსა	38	16	9	13	57:46	11	57	19	11	3	5	35:21	14	36	19	5	6	8	22:25	-3	21
10	სოსიედადი	38	14	12	12	47:43	4	54	19	11	5	3	32:17	15	38	19	3	7	9	15:26	-11	16
11	ბეტისი	38	14	7	17	47:58	-11	49	19	8	3	8	23:26	-3	27	19	6	4	9	24:32	-8	19
12	ვალიადოლიდი	38	13	9	16	35:44	-9	48	19	10	4	5	22:16	6	34	19	3	5	11	13:28	-15	19
13	ათლეტიკო	38	12	10	16	54:50	4	46	19	8	7	4	37:18	19	31	19	4	3	12	17:32	-15	15
14	ოვიედო	38	11	12	15	41:57	-16	45	19	8	5	6	21:20	1	29	19	3	7	9	20:37	-17	16
15	რასინგი	38	10	12	16	41:53	-12	42	19	6	5	8	22:23	-1	23	19	4	7	8	19:30	-11	19
16	ალავესი	38	11	7	20	36:63	-27	40	19	10	4	5	25:17	8	34	19	1	3	15	11:46	-35	6
17	ესტრემადურა	38	9	12	17	27:53	-26	39	19	8	4	7	17:22	-5	28	19	1	8	10	10:31	-21	11
18	ვილიარეალი	38	8	12	18	47:63	-16	36	19	6	6	7	29:27	2	24	19	2	6	11	18:36	-18	12
19	ტენერიფე	38	7	13	18	41:63	-22	34	19	4	9	6	25:29	-4	21	19	3	4	12	16:34	-18	13
20	სალამანკა	38	7	6	25	29:66	-35	27	19	7	4	8	22:25	-3	25	19	0	2	17	7:40	-33	2

ბომბარდირები

რაული (რეალი)	25
რივალდო (ბარსელონა)	24
კ. ლოპესი (ვალენსია)	21
მორიენტესი (რეალი)	19

ისევ ხუთწლიანი ხელშეკრულება

რამდენიმე დღეში ჭორებს, ალბათ, წერტილი დაესმება — ალესანდრო დელ პიერო ტურინის „იუვენტუსთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

იტალიური ფეხბურთის ბოლო წლების ვარსკვლავს „იუვენტუსთან“ ხელშეკრულება 30 ივნისს უმთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის მძიმე ტრავმის გამო დელ პიეროს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, მასზე არანაკლებს ლაპარაკობდნენ, ვიდრე სხვა ვარსკვლავებზე.

ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ალესანდრო დელ პიეროს, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებდა, მილანის „ინტერი“ და პირადად მარჩელო ლიპი იწვევდა თავისთან. სხვები ამბობდნენ, თავდამხსმელი „ლაციოში“ მიდისო. იტალიურ პრესაში რამდენჯერმე გამოჩნდა განცხადება, რომელიც დელ პიეროს მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლას ვარაუდობდა.

ხმებს ისიც აძლიერებდა, რომ თავად ფეხბურთელიც არ გამორიცხავდა ტურინის „იუვენტუსის“ დატოვებას. მიზეზად იმას ასახელებდა, რომ იგი გაცილებით ნაკლებ თანხას იღებდა, ვიდრე იმსახურებდა.

— არაა გამორიცხული, სხვაგან წავიდე, თუმცა ამის იმდენივე შანსია, რამდენიც ჩემი „იუვენტუსში“ დარჩენისა — ამბობდა ფეხბურთელი. ორიოდ დღის წინ მან თქვა, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან თითქმის ყველა საკითხი შეათანხმა და მალე იტალიური ფეხბურთის სიამაყე „იუვენტუსთან“ ახალ, გრძელვადიან კონტრაქტს გააფორმებს.



თავად ფეხბურთელი და „ბებერი ქალბატონი“ ოფიციალურად არაფერს იტყობინებიან, თუმცა იტალიური პრესა შემდეგს გვამცნობს — „იუვენტუსი“ და ალესანდრო დელ პიერო ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს, რომლის პირველ ოთხ სეზონში ფეხბურთელი 7 მილიონ გირვანქას მიიღებს, მეხუთე სეზონში კი — 9 მილიონს.

დელ პიეროს „იუვენტუსში“ დარჩენის მომხრე კლუბის სპონსორებიც ყოფილან. 26 წლის ფეხბურთელს კლუბის თითქმის ყველა სპონსორთან ისეთი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლებიც ფეხბურთელის სხვაგან გადასვლის შემთხვევაში გაუქმდება.

ახლა ამის საფრთხე აღარ არსებობს. დელ პიერო ახალ კონტრაქტზე ყაბულსაა.

რამენსკოე. 19 ივნისი. „სატურნი“ — „სპარტაკი“ 0:3. სტუმართა გუნდის თავკაცი ოლეგ რომანცევი მოსკოველ ფანებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს

რუსეთი

XI ტური

სატურნი 0:3 სპარტაკი

0:1 ტიტოვი (22), 0:2 ტიხონოვი (66), 0:3 ტიტოვი (77)

კრილია 0:3 ალანია

0:1 ჟუტაუტასი (11), 0:2 დემეტრაძე (43პ), 0:3 თედეევი (60)

ჟემჩუჟინა 1:3 ზენიტი

0:1 გარშკოვი (31), 0:2 ბაბი (56), 1:2 ეშჩენკო (74პ), 1:3 გარშკოვი (89)

ნ. ნოვგოროდი 0:2 ცსკა

0:1 ხამუხა (72), 0:2 საველიევი (89)

ლოკომოტივი 4:1 შინიკი

1:0 ლოსკოვი (20, 2:0 ჩუგაინოვი (42), 2:1 ბიჩკოვი (72), 3:1 მამინოვი (76), 4:1 ლოსკოვი (85)

ტორპედო 2:1 როტორი

0:1 ვერეტენიკოვი (52), 1:1, 2:1 კამოლცევი (67, 82)

დინამო 1:0 ურალანი

1:0 ტერიოხინი (48)

როსტსელმაში 1:0 ჩერნომორეცი

1:0 მატვეევი (73)

რამენსკოეში „სპარტაკის“ ფანებმა ჯერ კიდევ მატჩამდე 40 წუთით ადრე დაიწყეს უწესრიგობანი. ადგილობრივმა ომონელებმა ხელკეტებით სცადეს მათი დაშოშმინება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მოსკოველებმა პლასტმასის სკამების სეტყვა დააყარეს წესრიგის დამცველებს. სპარტაკელმა ვალერი კეჩინოვმა მეგაფონის საშუალებით მიმართა ქომაგებს და დამშვიდება სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეხვედრა არ დაიწყებაო, გაფრთხილა ისინი. ომონელებმა უკან დაიხიეს, ფანებიც დაწყნარდნენ და მსაჯმაც ჩასტვინა...

ტიტოვის პირველი გოლის შემდეგ კვლავ აირია მონასტერი. „სპარტაკის“ ფანებმა სიხარულის გამოხატვა სკამების მტვრევით, მოედანზე ნამსხვრევების სროლითა და სხვა ამგვარი სისულელეებით დაიწყეს. რამენსკოეს მილიციისა და ომონის თანამშრომლებმა ამჯერად ორგანიზებულ და მასირებულ სადამსჯელო ზომას მიმართეს. ტრიბუნებზე ხელჩართული ომი გაჩაღდა. თამაში შეწყდა. მსაჯმა, სერგეი გუსევმა, „სპარტაკის“ სათადარიგოთა სკამზე განლაგებულთ და თავად ფეხბურთელებს სთხოვა საქმეში ჩარევა. სტუმართა გუნდის თავკაცმა, ოლეგ რომანცევმა, უმალ ტრიბუნებთან ამოყო თავი. მანაც მეგაფონით მიმართა ფანებს, მაგრამ უწესრიგობებს ბოლო არ უჩანდა. შემდეგ რომანცევის ხმა სტადიონის რადიოთიც გაისმა. იგივეს გაკეთება მოუხდათ სპარტაკელ ტიხონოვსა და ციმბალარს. როგორც იქნა, დაშოშმინდნენ ქომაგები და 15 წუთით შეწყვეტილი მატჩი კვლავ განახლდა. ინციდენტის შედეგად რამდენიმე ომონელი დაშავდა, განადგურდა 487 ინდივიდუალური სკამი...

ხალხმრავლობა არც სამარის სტადიონს აკლდა. 17 000 ადგილობრივი გულშემატკივარი ქომაგობდა „კრილიას“ ვლადიკავკაზელთა წინააღმდეგ, მაგრამ „ალანია“ შაბათს უშეცდომოდ თამაშობდა. მასპინძლებმა სტუმართა შედეგებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. წერეთელმა და კომპანიამ 77-ე წუთამდე ერთხელაც არ დაარტყმევინეს სამარელ თავდამსხმელებს ზაურ ხაპოვის კარისკენ. გიორგი დემეტრაძე ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. საქართველოს ნაკრებისა და „ალანიას“ ფორვარდმა პენალტი დაიმსახურა და თერთმეტმეტრიანი უზადოდ დაარტყა.

მესამე გოლშიც ასისტენტობდა თანაგუნდელ თედეევს. შემდეგ კი ტექნიკის დემონსტრირებით ერთობოდა და ორჯერ ქუსლითაც სცადა „კრილიას“ მეკარის კოშელევის გაცურება. მასპინძელთა შემადგენლობაში კი ჩვენებურთაგან მხოლოდ ზურაბ წიკლაურმა ითამაშა შესვენების მერე.

სოჭში გამართულ შეხვედრაშიც სტუმრებმა იმარჯვეს. „ჟემჩუჟინას“ ახალი მწვრთნელი ვიკტორ ანტიხოვიჩი აშკარად არ წყალობს ქართველებს. დისკვალიფიკაციამოხდილი გოჩა გოგრიჭიანი მხოლოდ მეორე ტაიმში ათამაშა, გიზო ჯელაძე მე-60 წუთზე გამოცვალა, გიორგი გოგიაშვილი კი აგერ უკვე ორი მატჩია, მინდორს არ გააკარა.

უჭირს ზაზა ჯანაშიას. „ლოკომოტივის“ ლიდერი საქართველოს ნაკრებიდან დათხოვნის შემდეგ ფსიქოლოგიურად დათრგუნულია. ამას რკინიგზელთა თავკაცი იური სიომინიც კარგად ამჩნევს. „შინიკთან“ შეხვედრაში ჯანაშიას იაროსლაველი მახმუდოვი მეურვეობდა და გასაქანს არ აძლევდა. 56-ე წუთზე ჩვენებურს ნერვებმა უმტყუნა და მეტად უხეშად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. მსაჯმა ყვითელი ბარათი აუფრიალა „ლოკომოტივის“ ფორვარდს. სიომინმა ორ წუთში ჯანაშია ბულიკინით გამოცვალა...

ხვიჩა სანიკიძე

ბომბარდირები

ტიხონოვი (სპარტაკი)	8
დემეტრაძე (ალანია)	7
ტერიოხინი (დინამო)	7
ვერეტენიკოვი (როტორი)	7

სპარტაკი	14	10	3	1	26:9	33
ლოკომოტივი	11	8	2	1	26:9	26
ცსკა	11	6	4	1	21:8	22
ტორპედო	12	5	6	1	10:6	21
ალანია	11	6	2	3	23:13	20
დინამო	11	6	2	3	22:17	20
როსტსელმაში	11	6	1	4	14:14	19
როტორი	11	4	2	5	16:18	14
ზენიტი	11	3	5	3	13:11	14
ნ. ნოვგოროდი	11	3	3	5	12:15	12
კრილია	12	2	3	7	12:21	9
ჩერნომორეცი	11	2	3	6	13:22	9
სატურნი	12	2	3	7	10:20	9
ურალანი	11	2	2	7	5:12	8
შინიკი	11	1	5	5	3:14	8
ჟემჩუჟინა	11	0	4	7	5:22	4

ფეხბურთის ოჯახთან

ნორვეგიის ეროვნული ნაკრების მეკარე ფროდე გროდასი ესპანური „რასინგიდან“ გერმანულ „შალკეში“ ბრუნდება. გასულ წელს სწორედ გელზერკირხენული კლუბიდან გადავიდა გროდასი ესპანეთში.

კორეაში, საერთაშორისო ტურნირში, მასპინძლები ხორვატთა ეროვნულ ნაკრებს შეხვდნენ. თამაში ფრედ 1:1 დასრულდა.

პარაგვაის ეროვნული ნაკრების მცველი კარლოს გამარა, ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავა. 28 წლის გამარა, გასულ დეკემბერს ბრაზილიის დასრულებული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. პარაგვაელი მცველი, რომლის სანაცვლოდაც „ატლეტიკო“ 6,25 მილიონ დოლარს გადაიხდის, ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

პორტუგალიის თასის ფინალში „ბეირა მარმა“ „კამპომაიორენსე“ დაამარცხა 1:0, რის შედეგადაც, პირველად კლუბის არსებობის ისტორიაში, ქვეყნის თასს დაეუფლა. შეხვედრა უხეშობით გამოირჩეოდა. მატჩის განმავლობაში არბიტრს სამჯერ წითელი და 14-ჯერ ყვითელი ბარათის ამოღება დასჭირდა. გაძევებულთაგან ორი „ბეირა მარის“ და ერთი „კამპომაიორენსეს“ ფეხბურთელი იყო. „ბეირა მარს“ გამარჯვება მთავარი მწვრთნელის, ანტონიო სოუზას ვაჟის, რიკარდო სოუზას მიერ 71-ე წუთზე გატანილმა გოლმა მოუტანა.

ინგლისის „ნიუკასლის“ მფლობელ ფრედ შეპერდის განცხადებით, დიტმარ ჰამანი კლუბში კონტრაქტით გათვალისწინებულ კიდევ ოთხ წელიწადს დარჩება. გერმანელმა ფეხბურთელმა თავად გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მისით ლონდონის „არსენალი“ იყო დაინტერესებული. კლუბის დატოვების სურვილი კი იმით ახსნა, რომ მისი მეუღლე სექტემბერში მეორე ბავშვს ელის და ინგლისის ჩრდილოეთ ქალაქში თავს ცუდად გრძნობს.

დანიის ეროვნული ნაკრების შვედი თავკაცის ბო იოჰანსონის განცხადებით, იგი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადადგება დაკავებული თანამდებობიდან. იოჰანსენის შემცვლელად, რომელიც ეროვნულ გუნდს 1996 წლიდან წვრთნის, დანიელებს პეტერ შმაიხელი ესახებათ.

იტალიის ჩემპიონ „მილანს“, რუმინეთის ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მეკარის, ბოგდან ლობონტის შეძენა სურს და თანახმაა, მის სანაცვლოდ ბუქარესტის „სტიაუას“ ორი მილიონი გირვანქა გადაუხადოს.

იტალიური „ბოლონია“ ნორვეგიული „ვალერენგას“ ახალგაზრდა თავდამსხმელის იონ კარეუს გადაბირებას აპირებს. იგი ჯერ 20 წლისაც არ არის, მაგრამ უკვე ნორვეგიული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავადაა აღიარებული. შეგახსენებთ, რომ იონ კარეუმ 28 აპრილს, თბილისში, ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშა. მაშინ მან ტორე ანდრე ფლო შეცვალა.

იტალიური „ინტერის“ ბრაზილიელი მცველის ზე ელიასის შეძენა „კალიარის“ სურს. მილანური კლუბი ბრაზილიელის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას ითხოვს.

ჰოლანდიის პოლიციამ გასულ შაბათს გრონინგენში ფეხბურთის 32 გულშემატკივარი დააპატიმრა. ეს მოხდა ჰოლანდიის პირველ დივიზიონში გადასასვლელად გამართულ მატჩში. შეხვედრა „გრონინგენსა“ და „სპარტას“ შორის სტუმრების გამარჯვებით დასრულდა — 3:0. განაწყენებულმა მასპინძელთა გულშემატკივრებმა კი მაღაზია-რესტორნების ვიტრინების მსხვრევას მიჰყვეს ხელი.

იაპონიის ჯეი ლიგის კლუბის „რედ დაიმონდსის“ მთავარი მწვრთნელი ჰირომი ჰარა მიმდინარე, ჯერ არდასრულებული სეზონის იაპონიის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

ესპანეთის დედაქალაქური „ატლეტიკოს“ იტალიელი მცველი მიკელე სერენა სამშობლოში ბრუნდება. ფეხბურთელის განცხადებით, მან „პარმასთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ესპანური მადრიდის „რეალის“ მცველმა, სამეფო კლუბის პრეზიდენტ ლორენსო სანსის ვაჟმა, ფერნანდო სანსმა განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას აპირებს. 25 წლის სანსი, რომელსაც დებიუტი „რეალის“ შემადგენლობაში 1996-97 წლების სეზონში ჰქონდა, ერთ დროს პირნეელთა ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. სამეფო კლუბის ბევრი გულშემატკივრის აზრით, ფერნანდო სანსი „რეალის“ შემადგენლობაში რომ მოხვდა, მამის, ლორენსოს დამსახურება იყო. „მინდა ყველამ იცოდეს, მომავალ სეზონს „რეალში“ არ გავატარებ. ეს უკვე გადაწყვეტილია“ — განაცხადა სანსმა. ფეხბურთელით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის პრემერა დივიზიონის მეოთხეადგილოსანი „ვალენსია“.

ბრაზილიური „ფლამენგო“ გასულ შაბათს რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონი გახდა, მას შემდეგ, რაც „ვასკუ და გამა“ 1:0 დაამარცხა. მატჩის ერთადერთი გოლი 73-ზე წუთზე როდრიგო მენდესმა გაიტანა. გამარჯვებულთაგან ბრაზილიის ეროვნულ გუნდში არგამოძახებული რომარიო დაშავდა და მეორე ტაიმის მე-15 წუთზე მოედანი დატოვა.

არგენტინის ჩემპიონატის ბოლო მე-19 ტური გაიმართა გასულ შაბათ-კვირას: რივერ პლეიტი — კოლონი 1:1, სან ლორენსო — რასინგი 4:0, ინდეპენდიენტე — ურაკანი 4:1, ესტუდიანტესი — პლატენსე 0:2, ფერო კარილი — ხიმნაზია ხუხუი 0:1, არგენტინოს ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 1:2, როსარიო სენტრალი — ბელგრანო 1:1, ლანუსი — ხიმნაზია ლა პლატა 0:0, უნიონი — ბოკა ხუნიორსი 2:2. ჩემპიონატი 44 ქულით „ბოკა ხუნიორმა“ მოიგო. მეორეზე „რივერ პლეიტი“ გავიდა 37 ქულით, ხოლო მესამეზეა „სან ლორენსო“ — 36 ქულა.

ბარზილიაში ამ უქმეებზე ქვეყნის თასის ფინალის პირველი მატჩი გაიმართა — „ჟუვენტუდემ“ „ბოტაფოგოს“ სძლია 2:1.

ბრაზილიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ნაკრებიდან „კორინთიანსის“ თავდამსხმელი ედილსონი დაითხოვა. მიზეზი სან პაულუს თასის ფინალში ედილსონის არასერიოზული მოქცევა გახლავთ. „არ მომწონს მისი საქმისადმი დამოკიდებულება. ჯამბაზობა სწადია, ამისთვის კი ცირკი არსებობს“ — განაცხადა ლუქსემბურგომ.

ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ „შტუტგარტის“ მცველი ფრანკ ვერლაატი სამშობლოში დააბრუნა. აღსანიშნავია, რომ ვერლაატი 1989 წლამდე, სამი წელიწადი იცავდა ამსტერადმელთა ღირსებას, საიდანაც იგი ჯერ შვეიცარულ „ლოზანაში“, იქიდან კი ფრანგულ „ოსერში“ გადავიდა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

აშშ 3:0 დანია

1:0 ჰამი (17), 2:0 ფოუდი (73), 3:0 ლილი (89)

ნიგერია 2:1 ჩრდ. კორეა

1:0 აკიდე (50), 1:1 ოკ იო (74), 2:1 ნვადიკე (78)

აშშ	1	1	0	0	3:0	3
ნიგერია	1	1	0	0	2:1	3
ჩრდ. კორეა	1	0	0	1	1:2	0
დანია	1	0	0	1	0:3	0

B ჯგუფი

ბრაზილია 7:1 მექსიკა

1:0 პრეტინია (3), 1:1 დომინგესი (10), 2:1 პრეტინია (12), 3:1 სისი (29), 4:1 და სილვა (35), 5:1, 6:1 სისი (42, 50), 7:1 პრეტინია (90)

გერმანია 1:1 იტალია

0:1 პანიკო (36), 1:1 ვიეგმანი (61პ)

ბრაზილია	1	1	0	0	7:1	3
გერმანია	1	0	1	0	1:1	1
იტალია	1	0	1	0	1:1	1
მექსიკა	1	0	0	1	1:7	0

C ჯგუფი

იაპონია 1:1 კანადა

0:1 ბურტინი (32), 1:1 ოტაკე (64)

ნორვეგია 2:1 რუსეთი

1:0 სანდაუნე (29), 2:0 პეტერსენი (69), 2:1 კომაროვა (79)

ნორვეგია	1	1	0	0	2:1	3
იაპონია	1	0	1	0	1:1	1
კანადა	1	0	1	0	1:1	1
რუსეთი	1	0	0	1	1:2	0

D ჯგუფი

ჩინეთი 2:1 შვედეთი

0:1 ბენგტსონი (2), 1:1 იანი (17), 2:1 აილინგი (69)

ავსტრალია 1:1 განა

1:0 მიურეი (74), 1:1 გიამფუა (76)

ჩინეთი	1	1	0	0	2:1	3
ავსტრალია	1	0	1	0	1:1	1
განა	1	0	1	0	1:1	1
შვედეთი	1	0	0	1	1:2	0

ქალთა შეჯიბრებას ამდენი მაყურებელი არასოდეს დასწრებია. მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატის გახსნით მატჩს, რომელშიც შეჯიბრების მასპინძელმა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა დანიას 3:0 მოუგო, სან ხოსეს „ჯაიანთ სტედიუმზე" 78972 მაყურებელი დესწრო.

აღსანიშნავია, რომ თავად „ჯაიანთ სტედიუმისთვისაც" სარეკორდო გახლდათ მაყურებლის ასეთი რაოდენობა. თან, აქ მხოლოდ ფეხბურთზე (მით უმეტეს, ქალთა ფეხბურთზე) არ გახლავთ საუბარი, საუბარია სპორტის ყველა სახეობაზე. გახსნით შეხვედრას ამ სარბიელზე იმდენი ადამიანი დაესწრო, თავად ვაჟთა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს რომ არ დასწრებია.

მათ მხოლოდ რომის პაპმა აჯობა

REUTERS ისტ რაზერფორდიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნას ხალხის არნახული რაოდენობა დაესწრო

„ჯაიანთ სტედიუმზე" გამართული ერთადერთი მოვლენა, რომელმაც 78972 ადამიანზე მეტი შეკრიბა, 1995 წელს რომის პაპის იოანე პავლე II-ის ვიზიტი გახლდათ.

„ასეთ რამეზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. სტადიონზე მოსული ხალხი დიდებული იყო" — ამბობდა მოგვიანებით ამერიკელთა ნაკრების თავდასხმელი მია ჰამი, რომელმაც დანიელებთან შეხვედრაში, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 109-ე გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ჰამის შედეგი დედამიწის ზურგზე საუკეთესოა.

ამერიკელებმა დანიელებს 3:0 მოუგეს. იმავე დღეს, ტურნირის მეორე შეხვედრაში, ბრაზილიელმა ქალებმა მექსიკელები გაანადგურეს — 7:1, ჩინელებმა შვედებს აჯობეს 2:1, ხოლო იაპონიამ და კანადამ 1:1 ითამაშეს.

მია ჰამმა დანიელთა კარში მე-17 წუთზე, ჩინებული გოლი გაიტანა. ჰამს გრძელი პასი ბრანდი ჩესტაინმა მიაწოდა, თავდამხმელმა კი მეტოქის მეკარე დორთე ლარსენი დაახლოებით 10 მეტრიდან დაამარცხა.

მეორე ტაიმში ჰამის პასით ჯული ფოუდიმ 6 მეტრიდან გაზარდა ანგარიში, ხოლო შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე კრისტინ ლილიმ მესამედ გადააკვეთინა ბურთს დანიელთა კარის ხაზი. აღსანიშნავია, რომ მესამე გოლამდე ერთი წუთით ადრე ჰამმა ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა.

„მია შეუდარებელი იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ ამერიკელთა მწვრთნელმა ტონი დიჩიკომ, რომლის გუნდსაც შემდეგი თამაში ხუთშაბათს, ჩიკაგოში, ნიგერიელებთან უწევს — „ეს, ჯერჯერობით დასაწყისია და ერთი მოგების გამო ზედმეტი თვითკმაყოფილების უფლება არ გვაქვს".

აშშ-ის გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ითვლება, მე-17 წუთამდე ანუ ანგარიშის გახსნამდე გვარიანად გაწვალდა.

„პირველ ტაიმში გარკვეული სირთულეები გვქონდა, ვინერვიულეთ კიდეც, მაგრამ შესვენების შემდეგ საკუთარ თამაშს მივაგენით და ბურთსაც ვფლობდით" — აღნიშნა თავად ჰამმა.

ჩინელი და შვედი ქალების დაპირისპირებას მსოფლიოს ორი უძლიერესი მეკარის დაპირისპირებადაც აღიქვამდნენ: აზიელთა კარს გაო ჰონგი იცავდა, ევროპელთა კარს კი ულრიკა კარლსონი, მაგრამ მოხდა უცნაური რამ, შეხვედრის მეორე წუთზევე შვედმა კრისტინ ბრენტსონმა ჩინელი გოლკიპერი იოლად ჩამოიშორა და ანგარიში გახსნა.

ჩამორჩენილთა საპედნიეროდ, 15 წუთის შემდეგ, უინ იანმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მიუჩინა ადგილი შვედთა კარში, ხოლო მეორე ტაიმის 24-ე წუთზე ლიუ აილინგმა ერთიც შეაგდო და ჩინეთის ნაკრებს ძნელი გამარჯვება მოუტანა.

... იაპონელმა ნამი ოტაკემ ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს ზუსტად დაამატა და... არავინ ელოდა, რომ იაპონელები კანადელებთან ფრედ თამაშს მოახერხებდნენ. ოტაკემ ანგარიში შეხვედრის დამთავრებამდე 26 წუთით ადრე გაათანაბრა, მანამდე კი, პირველ ნახევარში, კანადელმა სილვანა ბურტინიმ გახსნა ანგარიში.

ბრაზილიელმა ქალებმა, როგორც მოგახსენეთ, საშინლად, 7:1 დაამარცხეს მექსიკელები. სამხრეთ ამერიკელთაგან, ცენტრალურ ამერიკელთა კარში სამ-სამი პრეტინიამ და სისიმ გაიტანეს. კიდევ ერთი კი კატია და სილვამ პენალტით შეაგდო. მექსიკელთა მხრივ, ერთადერთი გოლი, მე-10 წუთზე, მარიბელ დომინგესმა გაიტანა.

„დღეს ცოტა ვინერვიულეთ. მომდევნო ტურიდან უკეთ ვითამაშებთ" — პირწმინდა ბრაზილიური კომენტარი გააკეთა 7:1-ის მომგებთა მწვრთნელმა ვილსონმა.

შეჯიბრების მეორე დღეს მსოფლიოს ჩემპიონმა, ნორვეგიის ნაკრებმა, რუსეთს 2:1 მოუგო. ამ შეხვედრაში, რომელსაც „ფოქსბოროს" სტადიონზე 14873 მაყურებელი ესწრებოდა, გამარჯვებულთაგან გოლები ბრიტ სანდაუნემ და მარტიან პეტერსენმა გაიტანეს, ხოლო რუსთაგან გალინა კომაროვამ უპასუხა.

სანდაუნემ ანგარიში ხუთი მეტრიდან თავური დარტყმით გახსნა. მას საგოლე პასი მეორე გოლის ავტორმა, მარიან პეტერსენმა ჩააწოდა, რომელმაც თავის მხრივ, თამაშის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე რუსთა მიერ ცუდად მოგერიებული ბურთი იხელთა და ზუსტად დაარტყა. ცოტა ხანში რუსებმა სხვაობა ერთით შეამცირეს. კერძოდ: ლარისა სავინამ ნორვეგიელთა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი. მას ნატალია ბარბაშინა დაეუფლა და კომაროვას გადააწოდა, რომელმაც დაახლოებით 15 მეტრიდან მეტოქის კარის მარჯვენა კუთხეში დაარტყა.

„ბედნიერი ვარ გოლის გატანა რომ მოვახერხე. არც კი მეგონა ეს ასე მნიშვნელოვანი თუ იქნებოდა" — განაცხადა პეტერსენმა.

ავსტრალიამ მეორე ტაიმის 29-ე წუთზე, 10 ქალამდე შემცირებულ განელებს რის ვაივაგლახით გაუტანა გოლი. დაახლოებით 13 მეტრიდან ჯული მიურეიმ დალაშქრა აფრიკელთა კარი, მაგრამ მწვანე კონტინენტელებმა უპირატესობის შენარჩუნება მხოლოდ ორი წუთით შეძლეს: ვივიან მენსამ ძლიერად დაურტყა მეკარე ტრეისი ვილერს, გოლკიპერმა მართალია იყოჩაღა, ბურთს მისწვდა, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ნანა გიამფუამ ოთხი მეტრიდან უპრობლემოდ გაათანაბრა ანგარიში.

ნიგერიისა და ჩრდილო კორეის შეხვედრას 17102 მაყურებელი ესწრებოდა. ნიგერიელებმა 2:1 მოიგეს, ხოლო გერმანელ და იტალიელ ქალთა მატჩი 1:1 დასრულდა. აქ აღსანიშნავია „სკუადრა აძურას" მეკარის, ჯორჯია ბრენძანის თამაში, რომელმაც 11 დარტყმა მოიგერია.

მიხეილ სურგულაძე

ვესტი დასავლეთში

ნიგერიელ მცველ ტარიბო ვესტს ბირმინგემის „ასტონ ვილა" ეპატიჟება.

მილანის „ინტერის" ახალი მწვრთნელი მარჩელო ლიპი მომავალი სეზონისთვის გუნდის განახლებას აპირებს, ვესტისთვის კი შემადგენლობაში ადგილს ვერ ხედავს, რის გამოც აფრიკელის გასხვისებას დასაშვებად თვლის.

ინგლისური კლუბი „ინტერს" ნიგერიელის სანაცვლოდ 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს. გადავა თუ არა ვესტი „ასტონ ვილაში" ამ თანხის სანაცვლოდ, უცნობია, ისე კი შეგახსენებთ, რომ „ინტერს" ვესტში „ნიუკასლ იუნაიტედიც" ამდენივეს სთავაზობდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა.

ბირმინგემელებს ტარიბო ვესტის გარდა „ლივერპულის" მეკარე დევიდ ჯეიმსის გადაბირებაც სწადიათ. მარკ ბოზსნიჩის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლამ „ასტონ ვილაში" მეკარის პრობლემა წარმოშვა და...

მიზანი ერთია, დიადი, ნათელი...

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ფიფა პარტნიორობაზე შეთანხმდნენ. მათი მიზანია, მშვიდობისა და ურთიერთშემწყნარებლობის ქადაგება.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მეთაურთა, კოფი ანანისა და იოზეფ ბლატერის, შეხვედრის ადგილი გაეროს ოფისი გახლდათ, ნიუ იორკში. კოფი ანანის განცხადებით, ფეხბურთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მთელს დედამიწაზე სამშვიდობო ქმედებებში შეუწყობს ხელს. შეთანხმებულებმა განაცხადეს, რომ ისინი გახდებიან ურთიერთშემწყნარებლობის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური განვითარების პროგრამათა სპონსორები, ხოლო გაეროს ალამი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის სარბიელზე აფრიალდება.

ანანმა და ბლატერმა მოაწყვეს პრესკონფერენცია, რომელშიც კაცთა და ქალთა ფეხბურთის ლეგენდები, ბრაზილიელი პელე და ამერიკელი ლორენ გრეგიც მონაწილეობდნენ.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს მსოფლიოს მასშტაბის ორი დიდი ორგანიზაციის პარტნიორობის შესახებ მიხდება საუბარი. ამ ორგანიზაციათაგან ერთი გაეროა, მეორე კი სპორტის ყველაზე გლობალური სახეობის, ფეხბურთის მმართველი, ფიფა. ეს პარტნიორობა უდიდესი მნიშვნელობისა გახლავთ. ჩვენ მთელი პლანეტა შემოგვყურებს და გვაკისრია უმნიშვნელოვანესი მისია: მსოფლიოს ხალხთათვის სიამოვნების და ბედნიერების მინიჭება. გაეროსავით საყოველთაო და უნივერსალური მხოლოდ ფეხბურთი გახლავთ" — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

ანანი, ფეხბურთის ოდინდელი გულშემატკივარი ამბობს: „ხომ არ გგონიათ, რომ გუნდის კაპიტანი ვარ? უფრო ხშირად თავს მეკარედ ვგრძნობ, რომელსაც საბოლოო დარტყმა აქვს მოსაგერიებელი და მთელი ბედი მასზე ჰკიდია. ნურვინ იფიქრებს, რომ ლიდერის დარად გუნდს შეტევისკენ მივუძღვები".

თავის მხრივ, ბლატერმა განაცხადა, რომ გაეროსთან თანამშრომლობა დიდად სასარგებლო იქნება ყმაწვილთა ფეხბურთისთვის. ფიფას პრეზიდენტმა დასძინა, რომ დღეს, მსოფლიოში მოქმედ 300 მილიონ ფეხბურთელთაგან 80 პროცენტი ქალი და გოგონაა.

„ფეხბურთი ვერ ეგუება რასისტულ, რელიგიურ, შეუწყნარებლობისა და სხვა ბარიერებს. ფეხბურთი დედამიწის ყველა მოსახლისაა" — დასძინა ბლატერმა.

პელემ კი გაეროსა და ფიფას დამეგობრებას თავისი კარიერის 1284-ე გოლი უწოდა. „ვინაიდან პლანეტის ორი უდიდესი ოჯახი ძალისხმევას აერთიანებს, ახალგაზრდობას უკეთესი ცხოვრება დაუდგება" — თქვა მან.

REUTERS ნიუ იორკიდან

კოფი ანანი და პელე

კოსმეტოლოგი



მარჩელო ლიპი „ინტერს“ სახეს უცვლის. რამდენად შეიცვლება მილანური კლუბი, მომავალ სეზონში გამოჩნდება, მანამდე კი გამალებით მიმდინარეობს კოსმეტიკური ოპერაციები.

ის რომ, „ინტერმა“ უძლიერესი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი და საკმაოდ კარგი მცველი კრისტიან პანუჩი შეიძინა, ახალი ამბავი სულაც არაა. ლიპი ამით არ დაკმაყოფილდა და ახალ-ახალი ფეხბურთელების გადაბირებაზე ფიქრობს. დღე-დღეზე გაფორმდება კონტრაქტი ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ანჯელო პერუცისთან. არაა გამორიცხული, მილანელებმა ტურინელი კლუბიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი, ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო შეიძინონ.

„ინტერმა“ ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ „პარმა“ 7 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ფრანგ მცველ ლილიან ტურამს დაუთმობს. მილანელებს ტურამის თანამემამულე, „რომას“ მცველ ვინსენ კანდელას შესაძენად 9 მილიონი გირვანქა ჰქონდათ გამოყოფილი. ორივე ფეხბურთელის თაობაზე „ინტერმა“ უარი მიიღო — არც „პარმა“ და არც „რომა“ მცველების დათმობას არ აპირებენ.

გავიდა ორი დღე და „ინტერი“ კიდევ ორი ფეხბურთელით დაინტერესდა — მარჩელო ლიპის „ბარსელონას“ მცველ სერხის და „პარმას“ მოთამაშის ნესტორ სენსინის შეძენა მოუწადინებია. „ინტერი“ სერხი ბარსუანის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქას იხდის, ნესტორ სენსინისთვის კი მზადაა, 5 მილიონი გირვანქა გაიღოს.

სატრანსფერო სეზონის დახურვამდე კიდევ დიდი დროა.

მხოლოდ იტალიაში

ნიგერიის ეროვნული ნაკრების და ამსტერდამის „აიაქსის“ ნახევარმცველი სანდი ოლისე მომავალ სეზონს სერია A-ში გაატარებს. ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ რომელი იტალიური კლუბის ღირსებას დაიცავს, ჯერ არაა გარკვეული.

ჰოლანდიაში სეზონის დასრულებისთანავე იყო ცნობილი, რომ ოლისე გაისად ამსტერდამში არ ითამაშებდა. ამ ცნობის გავრცელებისთანავე გამოჩნდნენ მისი გადაბირების მოსურნე იტალიური, ესპანური და ინგლისური კლუბები.

სანდი ოლისე (მარჯვნივ) გატანილ გოლს ზეიმობს

— შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ სანდის ჩვენთან 2002 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, ის მომავალ სეზონს იტალიაში გაატარებს — თქვა „აიაქსის“ წარმომადგენელმა ერროლ ერდოგანმა. სავარაუდოდ ნიგერიელი „იუვენტუსში“ ან „რომაში“ გადავა.

25 წლის სანდი ოლისე უკვე 10 წელია ევროპულ კლუბებში თამაშობს. მისი პირველი გუნდი ბელგიის „ლუიკი“ იყო, საიდანაც იტალიურ „რეჯანაში“ გადავიდა, ხოლო „რეჯანას“ სერია A-დან გავარდნის შემდეგ იგი 1,5 მილიონ დოლარად „კიოლნმა“ შეიძინა. სწორედ აქედან მოხვდა იგი ამტერდამში 1997 წელს.

ოლისე ნიგერიის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. მან ნიგერიის ნაკრების შემადგენლობაში 1994 წელს აფრიკის თასი, ხოლო 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადა მოიგო.

კოკა ბაკაძეა

I ჯგუფი

ერითრია 1:0 მოზამბიკი

1:0 ფიში (81)

კამერუნი	4	3	1	0	8:1	10
ერითრია	4	1	1	2	2:4	4
მოზამბიკი	4	1	0	3	4:9	3

კამერუნი ფინალურ ეტაპზე გავიდა.

II ჯგუფი

მაროკო	4	2	2	0	6:4	8
ტოგო	3	1	1	1	5:4	4
გვინეა	3	0	1	2	1:4	1

მაროკო ფინალურ ეტაპზე გავიდა.

III ჯგუფი

კოტ დივუარი 0:0 მალი

კოტ დივუარი	6	3	2	1	7:2	11
მალი	5	2	2	1	5:3	8
კონგო	5	2	1	2	3:5	7
ნამიბია	6	0	3	3	2:7	3

კოტ დივუარი ფინალურ ეტაპზე გავიდა.

აფრიკის თასი. შესარჩევი ტურნირი.

IV ჯგუფი

მავრიკეთი 2:2 გაბონი

0:1 ნზაბუტამბა (37), 1:1 ფრანსოი (45), 1:2 ნგუემა (72), 2:2 პერლე (73)

ს. აფრიკა	5	3	1	1	8:3	10
გაბონი	5	3	1	2	10:10	10
მავრიკეთი	6	1	3	2	6:8	6
ანგოლა	5	1	1	3	5:8	4

ს. აფრიკა და გაბონი ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

V ჯგუფი

სენეგალი 1:0 ბურუნდი

1:0 კეიტა (10)

ბურკინა ფასო	4	2	2	0	8:5	8
სენეგალი	4	1	2	1	4:4	5
ბურუნდი	4	1	0	3	3:6	3

ბურკინა ფასო ფინალურ ეტაპზე გავიდა.

VI ჯგუფი

ზამბია	5	4	1	4	8:2	13
ზაირი	5	3	1	1	7:5	10
მადაგასკარი	5	1	1	3	5:9	4
კენია	5	0	2	3	2:6	2

ზამბია და ზაირი ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

VII ჯგუფი

ალჟირი 2:0 უგანდა

1:0, 2:0 ჰამიდი (39, 56)

ლიბერია 2:0 ტუნისი

1:0 მაკორი (70პ), 2:0 ვეა (86)

ტუნისი	6	5	0	1	13:3	15
ალჟირი	6	2	1	3	8:7	7
ლიბერია	6	2	1	3	7:8	7
უგანდა	6	2	0	4	3:13	6

ტუნისი ფინალურ ეტაპზე გავიდა.

ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი

ემენი 0:1 ვაალვიკი

ზვოლე 1:4 დორდრეხტი

ვალვაიკი	6	5	1	0	11:3	16
ზვოლე	6	2	2	2	8:10	8
დორდრეხტი	6	2	1	3	12:13	7
ემენი	6	1	0	5	10:15	3

„ვალვაიკი“ ლიგაში დარჩა

B ჯგუფი

გრონინგენი 0:3 სპარტა

ექსელსიორი 7:1 ელმონდი

სპარტა	6	5	0	1	19:6	15
გრონინგენი	6	4	1	1	16:8	13
ექსელსიორი	6	2	1	3	16:18	7
ელმონდი	6	0	0	6	5:24	0

„სპარტა“ ლიგაში დარჩა

ნორვეგია

მე-12 ტური: სტრომსგოდსეტი — ლილესტრიომი 1:1; ბოდო გლიმტი — კონგსვინგერი 2:0; ბრანი — გრელანდი 3:0; მოლდე — მოსი 3:1; რუსენბორგი — სტაბეკი 2:1; ვიკინგი — სკეიდი 0:1.

რუსენბორგი	11	9	1	1	33:8	28
მოლდე	11	7	2	2	19:8	23
ლილესტრიომი	11	7	2	2	26:18	23
ბრანი	11	7	0	4	20:19	21
სტაბეკი	11	6	2	3	25:15	20
ტრომსო	11	5	2	4	29:19	17
გრელანდი	12	5	1	6	15:26	16
ვიკინგი	11	4	1	6	16:15	13
ვალერენგა	11	4	1	6	15:19	13
სკეედი	12	4	1	7	13:27	13
მოსი	12	4	0	8	19:26	12
ბოდო გლიმტი	12	3	2	7	21:30	11
სტრომსგოდსეტი	11	3	1	7	15:27	10
კონგსვინგერი	11	3	0	8	14:23	9

შვედეთი

მე-11 ტური. კალმარი — ნორჩეპინგი 1:1, ორგრიტე — ჰელსინგბორგი 1:1, ელფსბორგი — აიკი 2:2, ფრიოლუნდა — ტრელებორგი 2:1

ორგრიტე	11	6	4	1	21:8	22
ჰელსინგბორგი	11	7	1	3	19:11	22
ჰალმსტადი	11	6	2	3	21:11	20
კალმარი	11	6	1	4	15:16	19
აიკი	11	5	3	3	18:10	18
ტრელებორგი	11	5	2	4	23:18	17
ერებრუ	11	5	1	5	12:15	16
ფრიოლუნდა	11	4	3	4	12:15	15
ელფსბორგი	11	3	3	5	16:18	12
მალმიო	10	3	2	5	13:16	11
ნორჩეპინგი	11	2	5	4	11:16	11
გიოტებორგი	10	2	2	4	10:16	10
დურგარდენი	11	2	3	6	11:22	9
ჰამარბიუ	11	1	4	6	9:19	7

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

რუსეთის ჩემპიონატი. XII ტური

23.06	შინიკი — დინამო	2,5	2,9	2,5
	ზენიტი — ლოკომოტივი	2,5	2,9	2,5
	სპარტაკი — ჟემჩუჟინა	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ცსკა — სატურნი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	როტორი — ნოვგოროდი	1,5	3,3	6,0
	როსტსელმაში — ტორპედო	2,0	2,8	3,5
	ურალანი — კრილია	1,8	2,9	4,2
	ჩერნომორეცი — ალანია	2,8	2,9	2,3

შვედეთის ჩემპიონატი. XII ტური

22.06	მალმიო — გიოტებორგი	2,0	2,8	3,5
23.06	ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი	1,9	2,8	3,8
	ჰამარბი — კალმარი	2,4	2,8	2,7

ნორვეგიის თასი. მეთექვსმეტედფინალი

22.06	ნარვიკი — რუსენბორგი	9,0	5,0	1,15
23.06	ფრედრიკსტადი — ვალერენგა	3,8	3,1	1,7
	ლილესტრიომი — ოსი	1,1	5,6	10,0
	ლინი — სტარტი	2,3	2,9	2,6
	სკეიდი — რაუფოსი	1,5	3,4	4,4
	ულერნი — ოდგრენი	3,6	3,2	1,7
	სტაბეკი — გიოვიკი	1,1	5,6	10,0
	კონგსვინგერი — ბრინი	1,6	3,3	4,0
	ვიკინგი — ოლგორდი	1,1	5,6	10,0
	ჰაუგენსუნდი — სტრომგოდსეტი	2,4	2,9	2,4
	ბრანი — ორსტა	1,1	5,6	10,0
	სოგდალი — კიელსორი	2,0	3,0	3,3
	ტრონდჰეიმი — მოლდე	7,0	3,5	1,3
	ბიოსენი — მოსი	2,6	2,9	2,3
	ბოდო გლიმტი — მო	1,15	5,0	9,0
	ალტა — ტრომსო	4,2	3,2	1,6

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი (აშშ). II ტური

23.06	ნორვეგია — კანადა	1,3	4,0	7,5
	ავსტრალია — შვედეთი	7,5	4,0	1,3
	ჩინეთი — განა	1,1	6,0	12,0
	იაპონია — რუსეთი	7,0	3,5	1,4
24.06	ბრაზილია — იტალია	3,0	2,9	2,2
	აშშ — ნიგერია	1,1	6,0	12,0
	გერმანია — მექსიკა	1,25	4,4	8,0
	კორეა — დანია	7,5	4,0	1,3

კალათბურთი. NBA

23.06	ნიუ იორკი — სან ანტონიო	1,5	12,0	2,0

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

22.06 იუგოსლავია — მაკედონია
საფრანგეთი — ისრაელი
რუსეთი — უნგრეთი
ესპანეთი — სლოვენია
იტალია — ბოსნია
თურქეთი — ხორვატია
საბერძნეთი — ჩეხეთი
ლიტვა — გერმანია

კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვიდკაცო ნაკრებმა ბილეთი აიღო

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

კლოდ სორელი

შაბათს კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში ქართული სარაგბო თემი შეიყარა. საქართველოს შვიდკაცა ნაკრების ფრანგი მთავარი მწვრთნელის კლოდ სორელის, მენეჯერის ზაზა ლეჟავას და მწვრთნელის მალხაზ ჭეიშვილის მოსასმენად.

საუბარი საქართველოს ნაკრების ამასწინანდელ ტურნესა და ჩვენს ქვეყანაში შვიდკაცას განვითარების პერსპექტივებს შეეხო.

— საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს სერიოზულად არავინ აღიქვამდა და არც პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირებში იწვევდნენ. შარშან ჩვენი თამაშით ყველას დავუმტკიცეთ, რომ ხელწამოსაკრავი და იოლად დასამარცხებელი მეტოქე არავისთვის ვართ. წლეულს სამ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა. გერმანიაში გავიმარჯვეთ, ესპანეთსა და ისრაელში კი მეორე ადგილზე გავედით. ამ სამი შეჯიბრიდან განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა ისრაელში იყო თავმოყრილი, სადაც ნახევარფინალში მსოფლიოს მესამე გუნდს, სამოას ნაკრებს ვძლიეთ, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა. ახლა, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ტურნირების საგზური მოვიპოვეთ და სინგაპურში, ჰონგკონგში და სხვაგან ნამდვილად მივიწვევენ.

ჩვენი მთავარი მიზანი შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა. თანაც შვიდკაცას ძლიერი ნაკრები ჩვეულებრივ რაგბისაც გამოადგება, რადგან ქართველთა მთავარი ნაკლი უკანახაზელების სუსტი თამაშია — განაცხადა ქართველების ფრანგმა დამრიგებელმა.

ამის შემდეგ ტურნეს შესახებ უფრო დაწვრილებით ნაკრების ქართველმა თავკაცებმა ილაპარაკეს. ბოლოს კი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა ჩვენში საშვიდკაცო ტურნირების მოწყობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, საჭიროა ასეთი შეჯიბრებები რეგულარულად მოეწყოს, როგორც დიდ, ისე ჭაბუკ მორაგბეებს შორის. ამისათვის კი საპრიზო ფონდი, შესაბამისად კი სპონსორების მოზიდვაა აუცილებელი.

გაგი გურული

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

კახა მაჩიტიძე (მარჯვნივ) ყოჩ ხეხელაშვილს გასაქანს არ აძლევს

აი, თამაში!

მეცხრე ტური
თბილისი
20 ივნისი

ყოჩები 27:30 (14:10) დათვები

ყოჩები: კიკუაშვილი (ჩიქავა), ჭავჭავაძე (ფირიაშვილი), ესაკია, სულთანიშვილი, ურუშაძე, ჭელიძე, სოფრომაძე, კობახიძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, ხეხელაშვილი (მზეიძე), საკანდელიძე, ხამაშურიძე, პეტრიაშვილი, ლიპარტელიანი.
2ლ — კობახიძე, ხეხელაშვილი; 1გ და 5ს — კობახიძე
დათვები: ნინიძე (ღლონტი), გურეშიძე, აშვეთია, აბაშიძე, თედორაძე, რეხვიაშვილი, წულაძე (გოგისვანიძე), ფხაკაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ე. ძაგნიძე, ხონელიძე, ჩუბინიძე, ე. ძაგნიძე, შერვაშიძე (დავლაძე), მაჩიტიძე
3ლ — მაჩიტიძე (2), ფხაკაძე; 3გ — ნ. ძაგნიძე, ე. ძაგნიძე (2); 3ს — ნ. ძაგნიძე, მაჩიტიძე, ე. ძაგნიძე
მსაჯი: დ. კილასონია
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ნათქვამია, რაგბიში ცალკეულ მოთამაშეებს არ გამოყოფენო. წარმატება თუ წარუმატებლობა მთელი გუნდის დამსახურებაა. კვირასაც გუნდმა მოიგო, მაგრამ ამ გუნდში იყო მოთამაშე, რომელზეც ყველაფრის მიუხედავად, ცალკე უნდა ითქვას. ყოჩყოფილი კახა მაჩიტიძის დამსახურებაა, სტუმრებმა ჩემპიონს რომ სძლიეს და შარშან ფინალში წაგებისთვის ერთგვარი რევანში აიღეს.

„ჩიჩმია“, როგორც მაჩიტიძეს უწოდებენ, იმ დღეს შეუდარებელი იყო. აკი უთხრა კიდეც მისალოცად მისულმა სორელმა, შენ ჩემთვის ნომერი პირველი ხარო.

მასპინძლებმა ანგარიში მე-2 წუთზე გახსნეს — კობახიძემ შეასრულა ზუსტად საჯარიმო. მე-10 წუთისთვის კი უკვე 3:10 იყო სტუმართა სასარგებლოდ. ჯერ ნუგზარ ძაგნიძემ გაათანაბრა საჯარიმოთი ანგარიში, მერე კი შესანიშნავად ითამაშა მაჩიტიძემ. თავის ჩაკიდულ ბურთს თავადვე დაეუფლა და ლელოც გაიტანა, რომელიც ზუსტად გარდასახა უფროსმა ძაგნიძემ. დარჩენილ დროში უპირატესობას სრულად დაეუფლნენ ჩემპიონები, რაც ანგარიშშიც აისახა — შეხვედრის დასაწყისში გატანილ საჯარიმოს კობახიძემ ლელო და ორი საჯარიმო მოაყოლა და 14:10. მასპინლებს უფრო დიდი სხვაობით დაწინაურებაც შეეძლოთ, მეტოქის სალელოე მოედანში შევარდნილ ხამაშურიძეს მაინცდამაინც შუაში რომ არ მოსდომებოდა ბურთის დამიწება. სანამ იქამდე მიაღწია, სტუმრებმა იმარჯვეს და „ანტილოპაც“ ბურთიანად პირით ხაზს იქით აღმოჩნდა.

ჩემპიონის უპირატესობა მეორე ტაიმის შუამდე გაგრძელდა. ამ დროში ყოჩები კობახიძის ორი საჯარიმოთი, ხეხელაშვილის ლელოთი და იმავე კობახიძის გარდასახვით 17 ქულით დაწინაურდნენ — 27:10. აღსანიშნავია, რომ ამ დროში ბათუმელები მხოლოდ ერთხელ გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე. ამის მერე კი დაიწყო... სტუმრები შეხვედრის ბოლო წუთამდე სრულ უპირატესობას ფლობდნენ და ...

61-ე წუთი: მაჩიტიძემ მატჩში თავისი მეორე ლელო გაიტანა, რომელიც ზუსტად გარდასახა ემზარ ძაგნიძემ — 27:17.

63-ე წუთი: კობახიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან გააცუდა საჯარიმო.

67-ე წუთი: მაჩიტიძემ საჯარიმოთი კიდევ უფრო შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 27:20.

73-ე წუთი: მაჩიტიძის წყალობით სტუმრებმა მეტოქის სალელოე მოედნის სიახლოვეს აუტის მოწოდების უფლება მოიპოვეს. აუტი დათვებმა მოიგეს და თამაზ ფხაკაძემ პრემიალური ქულის მომტანი მესამე ლელო გაიტანა. ემზარ ძაგნიძემ ამჯერადაც ზუსტად გარდასახა.

78-ე წუთი: სტუმრებმა მოედნის ცენტრში საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს და უმცროსმა ძაგნიძემ გამარჯვების მომტანი სამი ქულა შემატა „დათვებს“.

შეხვედრის ბოლოს კი შეუტიეს მასპინძლებმა და მეტოქის ლელოსთან ახლოს მოპოვებული აუტიც მოიგეს, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლეს.

მატჩის შემდგომ სტუმართა გუნდის თავკაცს რამაზ სვანაძეს და ბორჯღალოსანთა ფრანგ დამრიგებელს კლოდ სორელს ვთხოვეთ კომენტარი.

რამაზ სვანაძე: ძალიან აღელვებული ვარ, დიდი ხანია, ქართველ გულშემატკივარს ასეთი თამაში არ უნახავს. დღეს იყო ყველაფერი, რაც ამშვენებს რაგბის. ორივე გუნდმა გამოავლინა მტკიცე ხასიათი და მებრძოლი სული. ჩვენი მოთამაშეები არ გატყდნენ, როცა დიდი ანგარიშით ვაგებდით. პირიქით, მათ მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა. ვფიქრობ, დღეს დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „ყოჩები“ რა დონის გუნდია, ყველამ კარგად იცის, ამიტომაც მათთან გამარჯვება ორმაგად გასახარია.

კლოდ სორელი: მაღალი დონის მატჩი იყო, თუმცა არა უმაღლესის. ქართულ რაგბიში დიდი პროგრესი შეიმჩნევა. ეს მატჩიც ადასტურებს ამას. „ყოჩების“ შეფასებით დავიწყებ: გუნდი სწორ გზას ადგას. თამაშობს ძალიან დახვეწილ და თანამედროვე რაგბის, მაგრამ ცალკეულ პერიოდებში ეფექტურობა აკლია. იყო რამდენიმე მომენტი, როცა „ყოჩებს“ ლელოს გატანის შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს, რაც შედეგშიც აისახა. სამწუხაროდ, ასეთი მომენტების გამოუყენებლობა ქართული რაგბის სენია. ბათუმელებს რაც შეეხებათ, უპირველესად ისაა აღსანიშნავი, რომ ამ კუთხეში რაგბის დიდი ყურადღება ექცევა და ასეთი თამაშები რომ არსებობს, ამაში მათი დამსახურებაცაა. ძალიან სასიამოვნოა, რომ „დათვებმა“ ბოლომდე იბრძოლეს. ბევრს, უფრო სწორად კი, თითქმის ყველას, ეგონა, რომ „ყოჩები“ ადვილად მოიგებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და ეს უპირველესად სტუმართა მაღალ კლასზე მეტყველებს. პოზიციების მხრივ თუ ვიმსჯელებთ, უკანა ხაზი შერკინებაზე უკეთ გამოიყურებოდა, მათგან კი განსაკუთრებით ემზარ ძაგნიძემ და კახა მაჩიტიძემ იყოჩაღეს.

პაატა თოთაძე
ბაჩო სვანიძე

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

ვინ რას დათმობდა ყოჩთა და დათვთა ჭიდილში...

სადღეისო ვითარება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	პ	ქ
დათვები	8	7	1	0	340:98	49:9	7	22
ლოკომოტივი 1	7	6	1	0	273:99	40:9	5	18
ყოჩები	7	5	0	2	306:98	43:12	5	15
ზორდა	8	4	1	3	178:105	27:12	4	13
ასკ	6	3	1	2	114:133	16:20	5	12
უნივერსიტეტი	7	2	0	5	112:151	16:24	2	5
ლოკომოტივი 2	7	1	0	6	72:313	12:49	2	4
რუსთავი	8	1	0	7	63:360	6:54	0	1
აია	6	1	0	5	35:132	2:21	0	2

უნივერსიტეტს და რუსთავს დაკლებული აქვთ თითო-თითო ქულა

ტესტ-მატჩები

სამხრეთ აფრიკა — იტალია 101:0
ავსტრალია — ირლანდია 32:26
ახალი ზელანდია A — საფრანგეთი 45:24

ეგ იყო, ზორდას გაუკვირდა...

მეცხრე ტური
ძუთაისი
19 ივნისი

აია 11:20 (8:0) ზორდა

აია: ბუხაიძე, ბალანჩივაძე, კუპულაძე (რუსიშვილი), კოსტავა, დეკიძე, კიკვიძე (ორმოცაძე), მაღლაკელიძე, ცნობილაძე (სვინტრაძე), კიკაჩეიშვილი (ჩუბინიძე), გაბრიჩიძე (ტუკვაძე), ჩხაბერიძე, ჩორგოლიანი, აშვეთია, კლდიაშვილი, შვანგირაძე
1ლ — კიკვიძე, 1ა, 1ს — შვანგირაძე
ზორდა: თეზელაშვილი (დიდებულიძე), დემურიშვილი (ჭელიძე), ბერიაშვილი (შველიძე), ჩაკვეტაძე, ბურდული, გ. ხაბეიშვილი, დ. ხაბეიშვილი (ზედგენიძე), სორდია, ჭყონია (ჯანელიძე), გამყრელიძე (მგელაძე), მაისურაძე, ჯიმშელიძე, პარასკევაშვილი, აბაშიძე, მათიაშვილი
3ლ — ჯიმშელიძე, აბაშიძე, მათიაშვილი; 1გ, 1ს — ჯიმშელიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მატჩის 17 საათზე დაწყებას გამართლება არ ჰქონდა. შაბათს საღამოხანსაც ქუთაისში ისე ცხელოდა, თამაში კი არა, სუნთქვა ჭირდა. მაგრამ გუნდები მოედანზე გავიდნენ და, სხვა რა გზა იყო, უნდა ეთამაშათ.

მასპინძელთა გამარჯვებისა არავის სჯეროდა. არადა, დახეთ, ქუთაისელებმა მართლაც რომ შესაშურად დაიწყეს და პირველი ნახევარიც მათი უპირატესობით წარიმართა. „აია“ კიკვიძემ დაწინაურა. „რაჭას“ ლელოს სულ მალე შვანგირაძემ ჩინებული არეკნი მიაყოლა და 8:0. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა „ზორდა“. თბილისელებმაც შესვენების შემდეგ კონტრზომებს მიმართეს, თითქმის ერთდროულად მოედანზე ეროვნული ნაკრების ხუთი მოთამაშე შეუშვეს. ბორჯღალოსნებმა უმალ აიყოლიეს თანაგუნდელები. სტუმრები ტემპიან ხელით თამაშს მიჰყვნენ და „აიამაც“ ველარ გაუძლო. მასპინძლები თავგამეტებით კი ირჯებოდნენ დაცვაში, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდში პოზიციურად შეცდნენ და მეტოქემაც სწორედ ამ შეცდომებით ისარგებლა. „ზორდამ“ სამჯერ ისე გაილაშქრა ქუთაისელთა ჩათვლის მოედნისკენ, ამ შეტევების მოგერიება დასუსტებულ „აიას“ კი არა, თავმომწონე გუნდებსაც გაუჭირდებოდა.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ბადრის ფოტო ქუთაისიდან

შაბათის ქუთაისურმა პაპანაქებამაც ვერ გაანელა „აია“—„ზორდას“ მატჩის ჟინი

სკადი გაყოყოჩდა



REUTERS ლონდონიდან

მარკ ფილიპუსისი

ზუსტად ერთი წლის წინ სუსტი შედეგებით იმედგაცრუებული მარკ ფილიპუსისი 21 წლის ასაკში სპორტიდან წასვლას აპირებდა. დღეს უიმბლდონზე მეშვიდედ განთესილი ავსტრალიელი ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მოგების იმედადაა.

„ეს უიმბლდონია და სტიმულად ამ სტადიუმის მეტი არც არაფერი მჭირდება. ამ 12 თვის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, ამჟამად ყველაფრით კმაყოფილი ვარ და წუწუნის დროც აღარ მრჩება“.

მართლაც, გასული ივნისის შემდეგ ზორბა „სკადმა“ უიმბლდონზე მეოთხედფინალს უწია, აშშ-ის ღია პირველობაზე — ფინალს, კარიერის პირველი მერსედეს ზე-9-ის ტურნირიც მოიგო და საუკეთესოთა ათეულშიც აღზევდა. ამ პროგრესს ოზი ახალ მწვრთნელს, უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ პატ კეშს უმადლის, რომელმაც საზრიანობით არცთუ გამორჩეულ შეგირდს ბევრ რამეზე აუხილა თვალი.

პირველი წრის შეხვედრა ბელგიელ ქსავიე მალისთან ფილიპუსისმა არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო, ტაი-ბრეიკზე ერთი იოლი სმეში აიცილა და პირველი სეტიც დათმო. თუმცა კეშის უკმაყოფილო თავის გაქნევა საქმის გამოსასწორებლად საკმარისი გამოდგა: ასეთი იოლი შეცდომები ავსტრალიელმა სწრაფად ამოძირკვა თამაშიდან.

18 წლის ამომავალი ვარსკვლავი მალისი ურიგოდ ნამდვილად არ ირჯებოდა, მაგრამ „სკადის“ ტყვიასავით მოწოდებები და ძალა მისთვის ზედმეტი აღმოჩნდა — 6:7 (4:7), 6:4, 6:3, 6:4 ავსტრალიელის სასარგებლოდ.

„იგი სატვირთო მატარებელს ჰგავს — მძიმედ იძვრება ადგილიდან, მაგრამ მერე მისი გაჩერება ძალიან ძნელია. მარკი ახლა 15-20 პროცენტით მძლავრად აწოდებს, ვიდრე ადრე“ — შეაქო მოწაფე კეშმა.

ანა კურნიკოვას პირველ წრეში რთული მეტოქე ჰყავდა — როლან გაროსზე ვინაუ უილიამსის დამმარცხებელი ბარბარა შვარცი.

„ჩემპიონების სასაფლაოდ“ ცნობილ მეორე კორტზე 18 წლის რუსს გასვენებას ბევრი არაფერი უკლდა, ზედმეტადაც ნერვიულობდა და ბადესთან ძალიან უხეიროდაც ირჯებოდა. მაგრამ ორი წლით მასზე უფროსი ავსტრიელიც დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა — გადამწყვეტ სეტში უამრავი შეცდომა დაუშვა და უიმბლდონს ძლიერი სქესის საუკეთესო სატყუარაც შეუნარჩუნა — 7:6 (7:3), 4:6, 6:2 საათსა და 47 წუთში.

პირველი წრე. კაცები. პიტ სამპრასი (1, აშშ) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:3, 6:4, 6:4; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:4, 6:0, 3:6 (7:1); ენდრიუ ილი (ავსტრალია) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (15:13), 7:5, 6:7 (10:12), 6:1.

ქალები: ნატალი ტოზია (8, საფრანგეთი) — ლუსი ელი (ბრიტანეთი) 6:3, 6:2; სანდრინ ტეტტიუ (13, საფრანგეთი) — ჟული პულინი (ბრიტანეთი) 6:1, 6:3

ნატაშამ სათვალე მოიხსნა

ისტბორნი. ინგლისი. „დირექტ ლაინის“ პირველობა. ბალახი. საპრიზო 520 ათასი $

მეოთხედფინალი: ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (8, რუსეთი)0:6, 6:2, 6:1; ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — მარიან დე შვარდტი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:3), 6:3; ანა კურნიკოვა (5, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:5); ნატაშა ზვერევა (6, ბელარუსი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:0, 6:1

ნახევარფინალი: ტოზია — კურნიკოვა 6:4, 4:6, 8:6; ზვერევა — კუტცერი 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 10:8

ფინალი: ზვერევა — ტოზია 0:6, 7:5, 6:3

REUTERS ისტბორნიდან

ნატაშა ზვერევა

ნატაშა ზვერევა წყვილებში თამაშის ყველა დროის საუკეთესო ოსტატად ითვლება, მაგრამ როდესაც საქმე ერთეულებში ასპარეზობაზე მიდგება, 28 წლის ბელარუსს ურჩევნია თვალებზე თავისი საფირმო კოლექციიდან ერთ-ერთი მუქი სათვალე ჩამოიფხატოს და ბურთი და მოედანი მეტად მოწადინებულ კოლეგებს დაუთმოს.

„სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, ერთეულების ტურნირის მოგება რას ნიშნავს. ხალხი ჩემს ნიჭზე საუბრობს, მაგრამ გარწმუნებთ, ეს საკმარისი არ არის. ამისთვის სტიმული გჭირდება, თუმცა არ მკითხოთ, ამ კვირაში იგი საიდან მქონდა“.

მაგრამ იმისთვის, რაც ზვერევამ ისტბორნში მოახერხა, არც ნიჭი გეყოფა და არც ოქროს ზოდების დაპირება — ბავშვურმა კიკინებანმა და სასაცილოდ გარუჯულმა ნატაშამ დიდი გამძლეობა და კიდევ უფრო დიდი ჯიგარი გამოიჩინა.

თუგინდ ნახევარფინალური შეხვედრა რად ღირდა ჩია სამხრეთაფრიკელ ამანდა კუტცერთან, რომელიც სამ საათსა და 28 წუთს გაგრძელდა (ყველაზე გრძელი მატჩი წლეულს ქალებს შორის) და რომელშიც ზვერევამ სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა 6:7-ზე მესამე სეტში, მანამ კი 1:4 ჩამორჩენაც აანაზღაურა.

„ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გამოფიტული ვარ. როცა ამდენ ადრენალინს დახარჯავ, ძალების აღდგენა ძალიან ძნელია“ — ძლივს ამოღერღა მატჩის შემდეგ ზვერევამ, რომელიც ისტბორნის ფინალში ჯერ კიდევ 11 წლის წინ ლეგენდარულ მარტინა ნავრატილოვასთან დამარცხდა.

აბა, რაღა გასაკვირი იყო, თუ ფინალი ბელარუსისთვის კატასტროფულად დაიწყო: 22 წუთში მან ცხრა გეიმის წაგება მოასწრო. ტაბლოზე კოშმარული ანგარიში ენთო 6:0, 3:0 და ბევრს შორეული 1988 წლის როლან გაროსის ფინალი გაახსენდა, როდესაც შტეფი გრაფმა ზვერევა 34 წუთში 6:0, 6:0 დაამცირა.

„მაყურებლებს შევხედე და მოლიმარი სახეები დავინახე. ვიცი, ისინი ფიქრობდნენ, ისევ ისე წავაგებდი, თანაც 34 წუთზე სწრაფად. ამიტომ გადავწყვიტე, გამერისკა, მთელი ძალით მერტყა ბურთისთვის და ცოტა მეტი ხანი გამეძლო. მოგება ფიქრიც კი არ გამიბედავს“.

მაგრამ ბელარუსს თავის მხრივ ტოზიაც გვარიანად დაეხმარა, მეტოქეს უამრავი უნებლიე შეცდომა უწყალობა და სავარაუდო კატასტროფიდან ერთი საათის თავზე მთავარი ჯილდო სწორედ ზვერევას ერგო, თანაც ბრიტანელი ჰოპ-ვარსკვლავის, სერ კლიფ რიჩარდის ხელიდან.

ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. "ჰაინეკენ ტროფი". ბალახი. საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — კენტ კარლსენი (დანია) 6:3, 6:4; ტომი ჰენმანი (5, გერმანია) — რიჩარდ კრაიჩეკი (3, ჰოლანდია) 7:6 (7:3), 1:6, 6:4; კარლ კუჩერა (4, სლოვაკეთი) — იონას ბიორკმანი (6, შვედეთი) 6:2, 6:3; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ნიკლას კულტი (შვედეთი) 4:6, 6:3, 7:6 (7:3).

ნახევარფინალი: რაფტერი — ჰაასი 6:2, 7:5; პაველი — კუჩერა 7:6 (7:4), 2:6, 6:3

ფინალი: რაფტერი — პაველი 3:6, 7:6 (9:7), 6:4.

პატრიკ რაფტერისთვის სახელოვანი ლუდის ფირმის სახელობის პირველობაზე სატურნირო ატმოსფერო ნაკლებად სუფევდა — ავსტრალიელი პარასკევს ლანდგრააფში „როლინგ სტოუნზის“ კონცერტზე გახლდათ, კვირას კი თითქმის მთელი დღე კრიკეტის მსოფლიოს თასის ფინალს უყურებდა ტელევიზიით, სადც მისი თანამემამულეები პაკისტანელებს ეჭიდებოდნენ.

ის კი არა, ფინალიც კიღამ ჩაიშალა — გადაულებელი თავსხმის გამო იგი დაგეგმილზე ოთხი საათით გვიან დაიწყო და წვიმა ცოტა ხნით მეტს რომ გაგრძელებულიყო, ჩოგბურთელებს იქვე მომლოდინე ვერტმფრენი უთამაშებლად გადააფრენდა ლონდონში.

რუმინელი პაველი კარგა ხნის მანძილზე აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონზე უკეთ გამოიყურებოდა, თავისი უზადო ბექჰენდით მუდმივად ბადესთან მყოფ მეტოქეს ხშირად აბრიყვებდა და მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე 6:5-ზე მატჩ-პოინტიც კი ჰქონდა.

როგორც ნამდვილ ჩემპიონს შეეფერება, რაფტერს ამ გადამწყვეტ მომენტში ხელი არ აკანკალებია — მეორე მოწოდებას წინ გაჰყვა და დაუშვებელ ბურთს კორტის მეორე კიდეში აუღელვებლად მიუჩინა ადგილი.

გამოუყენებელმა ოქროს შესაძლებლობამ კი რუმინელს ბოლო მოუღო — ჯერ ტაი-ბრეიკი დათმო, მესამე ხელშიც 1:5 ჩამორჩა. აქ მატჩმა დროებით ინტერესი დაკარგა და მეტოქეებმაც ღადაობას მიჰყვეს ხელი: პაველმა მთავარ მსაჯს შესთავაზა, მატჩი შევწყვიტოთ და ფული გავიყოთო, იქით რაფტერმა სმეშის დასაწევად ჩოგანი ზევით ააგდო, მერე კი მაყურებელს შარი მოსდო, ბურთი დაპარუნეო.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა და ოზსაც გვარიანი ძალისხმევა დასჭირდა ყურადღების შესანარჩუნებლად, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: რაფტერმა 66 500 დოლართან ერთად კარიერის მე-9 და სეზონის პირველი ტიტული მიითვალა.

ნოტინგემის ღია პირველობა. ინგლისი. ბალახი. საპრიზო 350 ათასი $

ნახევარფინალი: სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — გრეგ რუზეიკი (1, ინგლისი) 6:4, 7:6 (7:4); კევინ ულიეტი (ზიმბაბვე) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 7:6 (7:4), 7:6 (9:7).

ფინალი: პიოლინი — ულიეტი 6:3, 7:5.

ავთანდილ სვანიძე

ჟაჟა და რიისმა: უილაჯრ და უმაჯრ

„შვეიცარიის ტურის“ მეოთხე ეტაპი იტალიელმა გაბრიელე მისალიამ (ლამპრე) მოიგო. 167 კილომეტრიანი გზის მეორე აღმართზე შვეიცარიელმა არმინ მეიერმა და ესპანელმა მიკელ სარაბეტამ გადაწყვიტეს იერიშზე გადასვლა და პელოტონსაც იოლად დაუსხლტდნენ. თუმცა მათ მალევე წამოეწივნენ მისალია და მისი თანამემამულე ამილკარე ტრონკა. დაწინაურებულებს ძირითადად მეიერი წინამძღოლობდა და ამას დიდძალი ღონეც შეალია. ამიტომაც, როცა სარაბეიტამ ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე ტემპს მოუმატა. მეიერი იოლად ჩამოიტოვა. სამაგიეროდ, მისალიას კიდევ ჰქონდა ძალა შერჩენილი და ისიც ესპანელს ბორბალში ჩაუჯდა.

მთავარი ჯგუფიდან ფრანჩესკო კასაგრანდეს ინიციატივით ლორან დიუფომ, ჯილბერტო სიმონიმ, ოსკარ კამენზინდმა და ლორან ჟალაბერმა სცადეს ლიდერებს დასწეოდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ სხვაობის ცოტათი შემცირება მოახერხეს. „დღეს თავს კარგად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ საუკეთესოების მიყოლა მაინც შევძელი“ — თქვა ჟალაბერმა, რომელმაც საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

თავბრუდამხვევ დაღმართზე მისალიამ კომპანიონი ოდნავ ჩამოიტოვა, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფინიშის ხაზზე იგი პირველი ყოფილიყო. „მეორე ადგილზე კი გადავედი, მაგრამ არ მავიწყდება — აქ იმიტომ ვმონაწილეობ, რომ კამენზინდს დავეხმარო გამარჯვების მოპოვებაში“ — განაცხადა 28 წლის მისალიამ.

შაბათს გამართული მეხუთე ეტაპი კვლავ იტალიელის, ოლონდ ამჯერად ჯილბერტო სიმონის გამარჯვებით დასრულდა. „ბალანის“ წევრმა საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა მხოლოდ ერთი დღით. სიმონიმ საფინიშო სპრინტში ფრანჩესკო კასაგრანდეს აჯობა. მესამე ადგილზე გასულმა ჟალაბერმა კი მთელი 43 წამი წააგო.

რბოლის მთავარი ფიგურა იტალიელი ფაბიო როსკიოლი იყო, ვინაც პირველივე კილომეტრზე გაექცა დანარჩენებს და 17-წუთიან უპირატესობასაც მიაღწია პელოტონთან. მისი დაწევა მხოლოდ ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე შეძლეს „გრანდ შეიდეგის“ აღმართზე, რომლის სიგრძეც 16 კილომეტრია, უმაღლესი წერტილი კი ზღვის დონიდან 1962 მეტრ სიმაღლეზეა.

როსკიოლის წამოეწივნენ თუ არა შეტევაზე სიმონი გადავიდა. მას ჟალაბერი, კასაგრანდე, დიუფო, კამენზინდი, სვენ მონტგომერი (შვეიცარია), რობერტო სგამბელური (იტალია) და რუსი პაველ ტონკოვი გამოეკიდნენ. ერთხანს მათ ერთად იარეს და პელოტონსაც საკმაოდ დაშორდნენ. ფინიშამდე 5 კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა სიმონიმ კიდევ ერთხელ შეუტია. ამჯერად მასთან ერთად გაქცევა მხოლოდ კასაგრანდემ შეძლო, რომელიც ცხრათვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მშვენიერ ფორმაშია.

ეს სიმონის პირველი სეზონური გამარჯვება იყო. კარიერაში 28 წლის იტალიელს ადრე მხოლოდ ერთხელ უგემია მოგების სიტკბო — 1997 წლის „ტრენტინის ტურზე“. შარშან იგი „პორტუგალიის ტურიდან“ მოკვეთეს... ჰემატოკრიტების მაღალი დონის გამო.

კვირას ველოსიპედისტებს ინდივიდუალური რბოლა ჰქონდათ, რომლის შემდეგაც საერთო ჩათვლის ლიდერის ოქროსფერი მაისურა კვლავ ჟალაბერმა დაიბრუნა. ეტაპი კი რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა (ამიკა) მოიგო. „ჟაჟამ“ თავის პირდაპირ კონკურენტებს კი აჯობა, მაგრამ მისი უპირატესობა ისე მცირეა, რომ ძნელი წარმოსადგენია, „შვეიცარიის ტური“ მისი გამარჯვებით დასრულდეს. თანაც ის საკმაოდ გადაღლილი ჩანს. ამას ისიც მოწმობს, რომ თავის საყვარელ ინდივიდუალურ რბოლაში იგი მხოლოდ მე-8 ადგილს დასჯერდა და ეკიმოვთან 1 წუთი და 22 წამი წააგო.

„როცა ვნახე რომ გზა ყოველგვარი აღმართის გარეშე იყო, მივხვდი მოგების კარგი შანსი მქონდა“ — თქვა რუსმა რბოლის შემდეგ. სხვათა შორის, მას 1997 წელს „კასტილიის ტურის“ შემდეგ ეტაპიც კი არ მოეგო.

დაბოლოს. პარასკევს გამართული მეოთხე ეტაპისას „ტურ დე ფრანსის“ 1996 წლის ჩემპიონი დანიელი ბიარნ რიისი დაიმტვრა. მან მაჯა მოიტეხა და თეძო და მუხლიც დაიზიანა. საჭირო გახდება თუ არა ქირურგიული ჩარევა, ჯერჯერობით უცნობია. „ტელეკომის“ წევრი მაშინ წაიქცა, როცა სტარტისკენ მიემართებოდა. როგორც დანიის რადიომ გადმოსცა, რიისი „ტურ დე ფრანსში“ ველარ მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, „ტურ დე ფრანსს“ წლეულს ნაღდად ახალი გამარჯვებული ეყოლება, რადგან არც შარშანდელი და შარშანწინდელი გამარჯვებულები — მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) და იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) გამოვლენ საფრანგეთში.

პანტანიმ „ჯიროდან“ ჰემატოკრატების მაღალი დონის გამო მოხსნის შემდეგ განაცხადა ამაზე უარი.

ულტიხს კი „გერმანიის ტურისას“ მიღებულმა და შვეიცარიაში თავშეხსენებულმა მუხლის ტრავმამ შეუშალა ხელი. ექიმების განცხადებით, მას შეიძლება მენისკის ოპერაციაც დასჭირდეს. ორი ლიდერის გარეშე კი გერმანულ „ტელეკომს“ მხოლოდ პეპელა ერიკ ზაბელის. მიერ მოგებული სპრინტებით მოუწევს დაკმაყოფილება. ისე, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, მართალია. „ტელეკომს“ გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“ დოპინგის სისტემურ გამოყენებაში დასდო ბრალი. გუნდის სპორტულმა დირექტორმა ვალტერ გოდეფროიტმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უარყო, მაგრამ შელახული სახელის აღსადგენად მარტო ეს საკმარისი არ არის. ამას თვით გოდეფროიტიც კარგად ხვდება და გადაუწყვეტია ჟურნალს სასამართლოში უჩივლოს.

რა გამოუვა „ტელეკომის“ უფროსს, დრო გვიჩვენებს.

საერთო ჩათვლა

1. **ლორან ჟალაბერი — 20 სთ 48 წთ 20 წმ**
2. **ჯილბერტო სიმონი — +2 წმ**
3. **ფრანჩესკო კასაგრანდე — +12 წმ**
4. **ოსკარ კამენზინდი — +38 წმ**
5. **ლორან დიუფო — +43 წმ**

გაგი გურული

REUTERS მაიორნგენიდან

ლორან ჟალაბერი



ალექსანდრე ცერცვაძე



კობა გულიაშვილი



შმაგი გოქაძე



გიორგი ჯინჭველაშვილი



თედო კუპატაძე



მუხრან ვახტანგაძე



გენადი ჩხაიძე



მირიან გიორგაძე



ნახევარფინალში ზვიად ქარდავამ (ქვემოთ) გიგა რობაქიძე დაამარცხა

სულ ეს იყო... სტუმარი მეტი გვინახავს

ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის ისტორია 1972 წლიდან იწყება. მაშინ ტურნირმა მხოლოდ სამი წელი იარსება და 1974 წელს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) არასათანადო ორგანიზაციის გამო გააუქმა. 1997 წელს იგი ხელახლა აღდგა და ამ შაბათ-კვირას მეექვსედ გაიმართა.

წლეულს ტურნირი გივი კარტოზიას დაბადების 70-ე წლისთავს დაემთხვა. მასპინძლებმა ამიტომაც განსაკუთრებით მოინდომეს, მაგრამ მთლად ხელსაყრელი დრო ვერ შეურჩიეს — კრასნოდარში ივან პოდუბნის ტურნირს დაემთხვა და რუსები შეპირებული სამი კაცის ნაცვლად ერთადერთი ფალავნით გვეწვივნენ. თბილისში რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ისრაელისა და საქართველოს 88 მოჭიდავე ასპარეზობდა. მასპინძლებს ობიექტურ მიზეზთა გამო რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე აკლდათ. უძლიერესი შემადგენლობით არც სტუმრები ჩამოსულან. ამან კი ტურნირის ხარისხზე იმოქმედა.

ტურნირის ბოლოს ჩემპიონ — პრიზიორები სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვეს. ჩემპიონები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ტელევიზორებით დასაჩუქრეს. აქვე დაჯილდოვდნენ ევროპის ახალგაზდულ ჩემპიონატზე თავგამოჩენილი ბიჭები — ბადრი ხასაია, ირაკლი ჭოჭუა (ჩემპიონები), ალექსანდრე დოხტურიშვილი, ილია ლეჟავა და გიორგი წურწუმია (მესამე ადგილოსნები). ამ ნაკრების მწვრთნელ ვლადიმერ ადეიშვილსაც აქვე მიულოცეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭება. ქართული ხანჯალი უსახსოვრეს FILA-ს დელეგატ ვალერი რიაზანცევს.

54 კგ. ხალიჩაზე ყველაფერი ჩვენთვის დამზაფრავად დაიწყო. პირველსავე შეხვედრაში აზერბაიჯანელმა აგალ ალიევმა ქულებით სუფთად დაგვიმარცხა საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი, ოზურგეთელი რევაზ ლომაძე. თუმცა ამ ჯგუფში ბოლოს მაინც ბათუმელმა თეიმურაზ ბერიძემ იმარჯვა. საბოლოოდ ის მესამე ადგილზე გავიდა. ამ მედლისთვის კი საქართველოს ჩემპიონს ევროპაზე ნამყოფ ქუთაისელ მალხაზ ნიშნიანიძეს მოუგო. ამ წონაში წილისყრის სისტემის არაეფექტურობა მეოთხე ჯგუფში გამოჩნდა, სადაც სამმა სომეხმა სტუმარმა მოიყარა თავი. გადანაწილების საშუალება რომ ყოფილიყო, მაშინ მასპინძლები მათთან სცდიდნენ ძალას. ისინიც თბილისში ერთმანეთთან საჭიდაოდ არ ჩამოვიდოდნენ. მათგან ფინალში არტაშეს მინასიანმა გააღწია. იქ კი ქუთაისელმა ალექსანდრე ცერცვაძემ ისეთი დღე აყარა, როგორც ბაშიაჩუკმა — აბდუშაჰილს. ჰოსონს ხეირიანად სალამიც არ დაემთავრებინა, რომ ცერცვაძემ წმინდად დაახეთქა ლეიბზე. იგი სწრაფი, ტექნიკური და კარგი მოჭიდავეა.

58-ში კობა გულიაშვილმა გაიმარჯვა. მას გამოცდილება არ აკლია, ოსტატობაც ძველებურად მოსდევს, მაგრამ სისწრაფე კი აშკარად მოჰკლებია. მან თავის უშუალო კონკურენტს, საქართველოს ჩემპიონ ჯამბულ ფუტკარაძეს ქულებით სუფთად კი მოუგო, მაგრამ დიდ ტურნირებში ამ ჭიდაობით გაუჭირდება. რაც შეეხება თავად ფუტკარაძეს, აქ გამოჩნდა მისი საუცხოეთო წარუმატებლობის მიზეზები. ის სწრაფი და ტექნიკური კია, მაგრამ ხალიჩაზე აშკარად ნელა აზროვნებს. წამოწყებული ფანდების დაბოლოებაც უჭირს და კონტრილეთზეც ხშირად წამოეგება-ხოლმე. სანუგეშო ეტაპზე ის სომეხ არტურ სარქისიანთან თავიდან 5:0 დაწინაურდა, მაგრამ მერე მეტოქემ ერთ წუთში ორი კისრულით ექვსი ქულა აართვა. ორივე შემთხვევაში ილეთი მან დაიწყო!

63 რუსთა ერთადერთი წარმომადგენელი ამ წონაში გამოდიოდა. მაგრამ საქართველოს ჩემპიონმა ბადრი ანთაძემ, მერე შმაგი გოქაძემ ისეთი დღე აყარეს, არ მგონია, თბილისისკენ ოდესმე პირი იბრუნოს. მას ორივემ ქულებით სუფთად მოუგო, ოღონდ გოქაძემ — გაცილებით ნაკლებ დროში.

ამ წონაში თაობათა ბრძოლაც შედგა. ერთხანს აკაკი ჩაჩუა სპეციალისტებმა კიდეც ჩამოწერეს, მაგრამ მან თავისი სიძლიერე ჯერ შეკრებაზე დაამტკიცა, მერე კი ევროპაზე. ამ წონაში ყურადღებას იპყრობენ ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში ლევან ოდიშარია და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონი ვანო ჩუბინიძე. ისინი ჩაჩუას ჯგუფში მოხვდნენ. აკაკიმაც ორივეს ქულებით სუფთად მოუგო. კარგად იჭიდავა შმაგი გოქაძემაც, რომელმაც ჯგუფში ანთაძეს წმინდად მოუგო. ნახევარფინალში გოჩა ბოცვაძესაც სძლია და ფინალში გავიდა. მეორე ნახევარფინალში ჩაჩუამ ახალგაზრდა მანუჩარ კვირკველია დაამარცხა, თუმც ძალიან კი გაუჭირდა.

97-ის ფინალში გენადი ჩხაიძემ 58 წამში წმინდად მოუგო ბაკურ გოგიტიძეს. თუმცა რამდენიმე შეხვედრაში ისე დაიღალა, ფეხზე დგომა უჭირდა.

მძიმე წონაში მხოლოდ ოთხი მოჭიდავე ასპარეზობდა. მათ შორის არ იყო საქართველოს ხელმტკივანი ჩემპიონი თამაზ გოგელია. აქ ყველას მირიან გიორგაძემ აჯობა.

ირაკლი თავაძე

ტექნიკური შედეგები

54 კგ
1. ალექსანდრე ცერცვაძე (საქართველო)
2. არტაშეს მინასიანი (სომხეთი)
3. თეიმურაზ ბერიძე (საქართველო)

58 კგ
1. კობა გულიაშვილი (საქართველო)
2. ნურადინ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
3. ტურალ მამედოვი (აზერბაიჯანი)

63 კგ
1. შმაგი გოქაძე (საქართველო)
2. აკაკი ჩაჩუა (საქართველო)
3. მანუჩარ კვირკველია (საქართველო)

69 კგ
1. გიორგი ჯინჭველაშვილი (საქართველო)
2. ამირან სვანიძე (საქართველო)
3. ალექსანდრე დოხტურიშვილი (საქარველო)

76 კგ
1. თედო კუპატაძე (საქართველო)
2. ზვიად ქარდავა (საქართველო)
3. ნაზიმ ახმედოვი (აზერბაიჯანი)

85 კგ
1. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო)
2. გოჩა ციციაშვილი (ისრაელი)
3. ემზარ მახარაძე (საქართველო)

97 კგ
1. გენადი ჩხაიძე (საქართველო)
2. ბაკურ გოგიტიძე (საქართველო)
3. ხორენ პაპოიანი (სომხეთი)

მძიმე
1. მირიან გიორგაძე (საქართველო)
2. აიკაზ გალსტიანი (სომხეთი)
3. დავით ენდელაძე (საქართველო)

ტურინი!

ზეიმობს ტურინი! საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სეულის სხდომაზე სწორედ ამ ქალაქს ერგო 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა

გადამწყვეტ საარჩევნო ეტაპზე ტურინი უპირისპირდებოდა შვეიცარიის პატარა ალპურ ქალაქ სიონს. ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა 53 ხმით 36-ის წინააღმდეგ ტურინს მიანიჭეს უპირატესობა.

შვეიცარიელებს წუხილი და გულისწყრომა არ დაუმალავთ. მათ მიაჩნიათ, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა შური იძია ამ ქვეყნის ოლიმპიურ წარმომადგენლებზე, რაკიღა სოკ-ში გახმაურებულ მექრთამეობაზე ხმა რომ აღიმაღლა კანადელმა მარკ ჰოდლერმა და სოლტ ლეიკ სიტის ამბავი რომ წამოტივტივდა, ამერიკული ქალაქის კონკურენტი 2002 წლის თამაშების მასპინძლობაზე სწორედ რომ სიონი იყო.

საბრალო სიონს, სამოთხისებრ ალაგს, მესამედ უცდია ოლიმპიადის მასპინძლობა, მაგრამ სულ ტყუილად. ტურინელები კი ზეიმობდნენ. იტალიის სიდიდით მესამე ქალაქმა დაამარცხა შვეიცარიული დაბა. ტურინი ახლომახლო მთის კურორტზე ჩაატარებს თამაშებს. შეჯიბრებები სესტრისეშიც გაიმართება, ქალაქიდან ერთი საათის სავალზე. და ეს მაშინ, როცა სიონში ყველაფერი იქვეა...



REUTERS სეულიდან

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანი პეტრუჩი და მისი „თანაგუნდელები“ ტურინის გაოლიმპიურებას მართლაც იტალიურად ხარობენ

„საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არ ექნება იოლი ცხოვრება შვეიცარიაში“ — თქვა სოკ-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შვეიცარიაში და ამით მიანიშნა ურთიერთობათა სირთულეზე.

ქართველ წყალბურთელებს ნატვრა წაგებაშიც არ აუხდათ

ქართველ წყალბურთელთა შიში გამართლდა: ბუქარესტში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე მიმავალნი ნატრობდნენ, ნეტავ ათ ბურთზე მეტი სხვაობით არ წავაგოთო. პრაქტიკულად მოუმზადებელმა, ულეგიონერებოდ დარჩენილმა ჩვენმა ნაკრებმა სამივე მატჩი დიდი ანგარიშით წააგო — პოლონელებთან 1:13, ხორვატებთან 4:23, რუმინელებთან 3:17.

ინგე დე ბრუინი: სიდნეი და ხვალეო

მოცურავეთა ჰოლანდიის შიდა პირველობაზე, რომელიც ქალაქ ამერსფორტში მიმდინარეობს, ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ქალთა შორის ორმოცდაათ მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ინგე დე ბრუინმა გაიმარჯვა და 0,01 წამით გააუმჯობესა ამერიკელი ემი ვან დაიკენის მიღწევა. ვან დაიკენის რეკორდმა სამ წელიწადს გაძლო.

დე ბრუინმა მანძილი 26,54 წამში დაფარა და სანანებლად ის დაურჩა, რომ ეს ყოველი ოლიმპიადაზე არ მოხდა. თუმცაო, ინგემ დაიქადნა, სიდნეი და ხვალეო...

საზღვრის დამრღვევთ სამარანჩიც მიესალმა



ქართულმა მხარემ სტარტი აქ, სოფელ კვარიათში აიღო და...

...თურქეთის საზღვრისკენ 500 მორბენალი გაიქცა

სარფში საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ნეიტრალურ ზოლზე მილეთის ხალხს მოეყარა თავი. მათ აქ, საზღვრის ორთავ მხრიდან, ყოველგვარი საპასპორტო რეჟიმის დაუცველად შემოედწიათ და იყო ერთი ხვევნა-კოცნა, აქეთური იქითური ბავშვებისა თუ მოზარდების ცეკვა, სიმღერა და ტაშ-ფანდური; იყო მისასალმებელი სიტყვები, გამარჯვებულთა დაჯილდოება და რა თქმა უნდა, კოკა-კოლას სმა, რაკილა ეს ფირმა ამგვარი ღონისძიების სპონსორია. ყველგან, გვერდიგვერდ ფრიალებდნენ საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო დროშები, შუაში კი მურმანის ეკალივით რუსეთისაც ამოსულიყო. რაღაც შემცბარივით მეჩვენა და ყურებჩამოყრილი იდგა, უფრო სწორედ, ეკიდა...

და გამახსენდა ორი შეხვედრა ამ საზღვართან, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება დროება.

პირველად, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, იქაური წესები რომ არ ვიცოდი, მეგობართან ერთად 2,5 კილომეტრზე გავცურე, იქ საბჭოთა მესაზღვრეები მოღრიალდნენ, ორივე გაგვსკვანჯეს, ვეება კატარღაზე აგვლალეს, ბოლოს კი ნაპირზე თავიანთი უფროსის კაბინეტში შეგვლალეს და მოახსენეს, ზადერჟალი ნარუშიტელეი გრანიცი-ო. იმ უფროსმა, თავის მხრივ, თავის უფროსთან წაგვასხა, იმანაც თავის ზემდგომთან მიგვაბრძანა. ბოლოს, მთლად უფროსმა, სათვალის ზემოდან „პლავკების“ ამარად მყოფნი აგვათვალჩაგვათვალიერა და ... „ვაში დოკუმენტი“-ო. გულგახეთქილები კი ვიყავით, მაგრამ ამაზე ფხუკუნი აგვიტყდა...

რამდენიმე წლის მერე სარფელ მესაზღვრეებს უკვე ჟურნალისტის რანგში შევხვდი. მაშინ, მგონი მესაზღვრის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ჟურნალისტები იქ მიგვიწვიეს და ყველგან სამხედრო სალმით გაჯგიმულნი დაგვხვდნენ.

საზღვაო მესაზღვრეებმა ჯერ საბრძოლო ხომალდებით აღმა-დაღმა გვაშხუილეს და თავიანთი შესაძლებლობები თეორიულად აგვიხსნეს, მერე კი „სწრაფმავალი საშუალებით საზღვრის დამრღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ხელოვნება“ გვიჩვენეს, რასაც უკვე შემაღლებული ადგილიდან გადავცქეროდით და რადარებზეც ვაკვირდებოდით. იმ რადარებზე თურქეთის ხომალდებიც მოჩანდა. როცა თურქებმა აქეთ წყალში დევნა და ორომტრიალი დაიწყეს და ბათქა-ბუთქიც გაიგონეს, ისინიც უმალ საზღვრისკენ დაიძრნენ. ამის შემხედვარე საბჭოელებს ომობანას თამაში რომ არ შეეწყვიტათ, იქნებ ნამდვილი ბათქა-ბუთქიც ატეხილიყო.

ახლა, მესამე შეხვედრისას რუს მესაზღვრეებს, წინათ რამდენიმე კილომეტრზე ახლოსაც რომ მიგიშვებდნენ, თავი აღარ გამოუდვიათ. ჰოდა, საქართველოდან გაქცეულ 500 გოგო-ბიჭს თუ ქალ-ვაჟს, თურქეთიდან გამოქცეული იმდენივე მორბენალს 3-3 კილომეტრის დაფარვის მერე, ორივე მხარემ ფართოდ გაუღო საზღვრის კარი.

— დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია, — ეუბნება იქ შეკრებილ საზოგადოებას სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ტოგაი ბაიათლი, ვინც იმავდროულად თურქეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი გახლავთ. — დღეს, ოლიმპიური რბენის დღეს, მთელს მსოფლიოში 40 მილიონი კაცი გამოდის სტარტზე. ყველანი თავთავისთვის დარბიან. თურქეთისა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტების ინიციატივით კი ჩვენი ოლიმპიური რბენის დღე საერთაშორისო ღონისძიებად გარდაიქმნა. ასეთი რამ დღემდე არსაც ჩატარებულა. ახლა ჩვენ შევდივართ XXI საუკუნეში. ეს უნდა იყოს თურქეთისა და საქართველოს ხალხთა უფრო დაახლოების, კეთილმეზობლობის გაღრმავების დასაწყისი. და საერთოდ, რად გვინდა ჩვენ საზღვრები, მალე ალბათ ყოველგვარი საზღვრის გარეშე ვიცლით ერთმანეთთან.

ამგვარ მხურვალე სიტყვებს ორთავ მხრიდან მქუხარე ტაში მოჰყვა.

იგივე პათოსით გამოვიდა საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და სხვებიც. საზღრის ამგვარ დარღვევას დეპეშით მიესალმა სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც.

ბოლოს იყო ცეკვა-სიმღერა, ორივე ქვეყნის საერთო საპატიო კვარცხლბეკი, რომელზედაც ასევე ორივე მხრიდან თავგამოჩენილნი, სამ-ოთხ ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფილნი ავიდნენ და დაჯილდოვდნენ თურქეთის ეოკ-ის მშვენიერი მედლებით. ამის მერე ამ ღონისძიების მთავარმა არქიტექტორმა ტოგაი ბაიათლიმ ქართული მხარე თურქეთის ტერიტორიაზე რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ყოველგვარი ვიზებისა და პასპორტების გარეშე გადაიპატიჟა.

იმ დღეს ქართველებიცა და თურქებიც სრული შემადგენლობით თავთავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ, საზღვარზე კი დარჩა ამ ორი სახელმწიფოს დროშა და მათ შორის მურმანის ეკალივით ამოსული მესამე ქვეყნისაც...

ᲐᲗᲘᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ სარფიდან

ავტორის ფოტოები

თბილისელმა ნელი გრიგალაშვილმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა და იქ სეოკ-ის თანამშრომელ გოგი დალაქიშვილის მოსასულიერებელი გახდა. მაშინ ნელიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ თავისი ასაკის მორბენალთა შორის უკვე ჩემპიონი იყო



ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა (მარცხნიდან მესამე), თბილისის ოლიმპიური გარბენის ხუთგზის ჩემპიონმა ზღვის სანაპიროზეც იმარჯვა



მარცხნივ ტოგაი ბაიათლია, მარჯვნივ — ჯანო ბაგრატიონი, შუაში კი „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია, რომელმაც სხვებთან ერთად ისე ირბინა, რომ ლამის პრიზიორი გახდა

დალასის მარათონი და ტრიუმფი

უტეხი ტეხასი ზეიმის ღირსია!

STANLEY CUP PLAYOFFS



REUTERS ბუფალოდან

სტენლის თასი დალასელთა კაპიტანმა დერიან ჰეჩერმა აღმართა

ადრე თუ გვიან დალასს უნდა მიეღწია წარმატებისთვის. იგი მთელი სამი წლის განმავლობაში მიისწრაფოდა გამარჯვებისკენ. ყოველთვის ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ თასის გზაზე უიღბლობა ეღობებოდა. გუნდმა ყველაფერი გადალახა — ბედის ფატუმი, სათამაშო სტილის მუდმივი კრიტიკა და მაინც მიაღწია თავისას. თავიანთ 32-წლიან ისტორიაში „დალასელმა ვარსკვლავებმა“ ნამდვილად გაამართლეს სახელი და ნჰლ-ის უმაღლეს ჯილდოს დაეუფლნენ. სიმბოლურია, რომ გამარჯვებისკენ გადადგმული ბოლო ნაბიჯი, ფინალის მეექვსე მატჩი, დალასის მიერ განვლილი გზასავით ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა. მხოლოდ მესამე ოვერტაიმში, ლამის ექვსსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ბრეტ ჰალმა გადამწყვეტი შაიბა გაიტანა და გუნდს დიდი გამარჯვება მოუტანა.

სერიის საბოლოო ანგარიში

დალასი — ბუფალო 4:2

მეექვსე მატჩი 19 ივნისი

ბუფალო — დალასი 1:2

0:1 1:0 0:0 0:0 0:0 0:1

0:1 ლეჰტინენი 8'09 (10); 1:1 ბარნსი 38'21 (7); 1:1 ჰალი 114'54 (8)

დარტყმები: 54-50

ჯარიმები: 4-4

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ...

„მარინ მიდლანდ არენაზე“ შეკრებილ 19 ათას გულშემატკივარს და მილიონობით გულშემატკივარს ეგონა, რომ ეს თამაში აღარასოდეს დასრულდებოდა. თითქმის ორი საათი გავიდა (მატჩი საღამოს რვა საათზე დაიწყო), გუნდებმა კი ვერა და ვერ გადაწყვიტეს თამაშის ბედი. გამარჯვების შაიბა კი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. მაიკ მოდანოს წამოწყებული შეტევა ძალიან სახიფათო არ ჩანდა, მაგრამ უცბად შაიბა ასხლტა და კარის სიახლოვეს სრულიად მარტო მდგარ ბრეტ ჰალს მიუვიდა. „ოქროს ბრეტმა“, ბრწყინვალე სნაიპერმა, რომელსაც პლეი ოფის ნახევარფინალში ჯერ არ ეთამაშა, ეს დიდებული შანსი ხელიდან არ გაუშვა და 2:1. ძალაგამოცლილი, მაგრამ უაღრესად ბედნიერი დალასელების მთელი შემადგენლობა ყინულზე გამოცვივდა.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ წესით და რიგით ეს შაიბა არ უნდა ჩათვლილიყო, რადგან გამტანს ციგურა მეკარის მოედანზე ედგა, მაგრამ როგორც ჩანს, ყველას და მათ შორის მსაჯებსაც ერთი სული ჰქონდათ, ეს მარათონი როგორმე დასრულებულიყო. თვით ბუფალოელებმაც კი, რომელებმაც თავიდან პროტესტი განაცხადეს, ხელი ჩაიქნიეს. მხოლოდ მათმა მწვრთნელმა, ლინდი რაფმა გამოთქვა სინანული, რომ უდიდესი ბრძოლა ესოდენ უსამართლოდ დასრულდა.

ისე, 23 წამიც და ეს დამატებითი დრო თასის ფინალთა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი იქნებოდა (რეკორდი — 55 წუთი, 13 წამი — 1990 წლის ედმონტონ — ბოსტონის პირველი მატჩის ოვერტაიმს ეკუთვნის).

ᲰᲐᲨᲔᲙᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲪᲝᲓᲐ

გადამწყვეტ თამაშში მეტოქეები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ. ამჯერად მათ ძალიან მაღალ ტემპში დაიწყეს და პირველი შაიბის შემდეგ კიდევ უფრო აჩქარეს. ამ დროს სერიაში პირველად შეცდა დომინიკ ჰაშეკი — ბრწყინვალე მეკარემ, რომლის უდიდესი დამსახურებაცაა, რომ ფინალი ესოდენ ხანგრძლივი და დაძაბული გამოდგა, ვერ მოიგერია იერე ლეჰტინენის თითქმის პირით ხაზიდან დარტყმული შაიბა (მან სულ მცირე ადგილი გამოძებნა ჰაშეკის ფეხსა და ძელს შორის). დალსი დაწინაურდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბუფალოს მეტი გზა აღარ ჰქნდა — მთელი ძალებით მართებდა შეტევა.

ᲮᲛᲐᲚᲗᲐ ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲐᲚᲘ

ბუფალომ კი მოიწადინა, მაგრამ გამოცდილი დალასელები ხმლების ფორვარდებს კარის სიახლოვეს არ უშვებდნენ, ხოლო შორი მანძილიდან დარტყმები დიდ ხიფათს არ წარმოადგენდა. მხოლოდ მე-15 წუთზე შეაწუხა სერიოზულად ჯეფ სანდერსონმა ედ ბელფორი, მაგრამ მეორე მესამედში მასპინძლები გაბრაზდნენ და, ალბათ, ამ ფინალში ხანგრძლივად პირველად ჩაკეტეს დალასი მისსავე ზონაში. მუდმივმა ზეწოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო. დალასმა ორჯერ წესების დარღვევით შეაჩერა მეტოქის შეტევები. რიცხვმრავლობაში ბუფალო ორჯერ ზედიზედ იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ ბელფორი სიამედოდ იდგა. და მაინც, პერიოდის მიწურულს მასპინძლებმა გაათანაბრეს: ალექსეი ჟიტნიკმა უეინ პრიმოს გადააწოდა, მან კი სტიუ ბარნსს და იღბლიანმა ფორვარდმა (ფინალში 3 გოლი) შაიბა პირდაპირ კარის ზედა კუთხეში შეაგდო.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲛᲐ ᲑᲔᲑᲠᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲯᲝᲑᲔᲡ

„ხმლებს“ ასე რომ გაეგრძელებინათ, დალასის ბებრები დაიღლებოდნენ, მაგრამ მესამე პერიოდის დასაწყისში სტუმრებმა რიცხვმრავლობაში ძალიან სახიფათოდ შეუტიეს. ამან მეტოქე აიძულა, კიდევ უფრო ფხიზლად ყოფილიყო. მესამე პერიოდის შუიდან გუნდები დადარაჯებულნი ელოდნენ ერთმანეთის შეცდომებს, მაგრამ დაცვით ცნობილნი მაინცდამაინც არ ახარებდნენ ერთურთს. სამი ოვერტაიმის განმავლობაში მათ პრაქტიკულად თითო-თითო რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ჯერ ჰაშეკთან პირისპირ გასულმა პეტ ვერბიკმა გააცუდა, მერე ჯეიმს პატრიკის დარტყმა ძელს მოხვდა.

ხოლო რაც ბოლოს მოხდა, უკვე იცით.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲯᲝ: ᲜᲣᲘᲜᲓᲐᲘᲙᲘ MVP

ესოდენ ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ უზომოდ დაღლილმა დალასელებმა სიხარულიც კი ვეღარ გამოხატეს. ფინალის ერთ-ერთ მთავარ გმირს, ედ ბელფორს ჟურნალისტებმა ერთი-ორი სიტყვა ძლივს ათქმევინეს: „ლაპარაკიც კი მიჭირს, ძალა გამომეცალა. მადლობმა ღმერთს, საქმე მუშვიდე მატჩამდე არ მივიდა“.

ჯო ნუინდაიკს კი, რომელმაც პლეი ოფის ოთხივე სერია ბრწყინვალედ ჩაატარა, ყველაზე მეტი, 11 გოლი გაიტანა და დამსახურებულად დაეუფლა პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ტიტულს, ერთი სული ჰქონდა, „კონ სმაით ტროფი“ სადმე დაედო, ან ვინმესთვის გადაეცა.

ამასობაში კი ბორტთან მარტოდმარტო იდგა დომინიკ ჰაშეკი და მეტოქეთა ტრიუმფს უყურებდა. მეკარე-ფენომენისთვის სტენლის თასი კვლავ მიუწვდომელ ოცნებად დარჩა.

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ

ჩემპიონი გაირკვა?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

სან ანტონიო — ნიუ იორკი 2:0

სან ანტონიო 80:67 ნიუ იორკი

11 მატჩი. 18 ივნისი. სან ანტონიო. ალამოდოუმი. 39 554 მაყურებელი

მსაჯები: ჯო კროუფორდი, ჯეს კერსი, დანი კროუფორდი

სან ანტონიო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ა. ჯონსონი	35	3/8	0/0	2/2	3	5	1	0	2	8
ელი	37	4/10	0/3	7/8	4	2	1	0	2	15
ელიოტი	38	4/12	1/4	1/5	3	1	0	0	3	10
დანკანი	45	9/17	0/0	7/9	15	3	0	4	0	25
რობინსონი	34	5/8	0/0	6/9	11	4	0	5	4	16
ჯეკსონი	22	1/5	1/5	0/0	1	0	1	0	0	3
როუზი	15	0/1	0/0	1/2	2	1	2	0	2	1
კერი	12	1/2	0/0	0/0	2	1	0	0	0	2
დანიელსი	1	0/0	0/0	0/0	0	`1	0	0	0	0
კინგი	1	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0	0
სულ	**240**	**27/63**	**2/12**	**24/35**	**41**	**18**	**5**	**9**	**13**	**80**

ნიუ იორკი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ჯორდი	23	2/3	1/1	0/0	3	3	3	0	2	5
ჰიუსტონი	43	9/20	0/2	1/1	2	2	0	0	1	19
სპრიუელი	40	8/22	0/2	10/10	7	1	1	1	1	26
ლ. ჯონსონი	43	2/12	1/7	0/1	6	1	3	0	3	5
დადლი	13	0/2	0/0	0/0	6	0	1	0	2	0
ტომასი	20	1/6	0/0	0/0	7	0	1	0	5	2
ჩაილდსი	26	2/8	0/2	0/0	1	1	0	0	5	4
კემბი	32	3/9	0/0	0/0	11	0	2	3	6	6
სულ	**240**	**27/82**	**2/14**	**11/12**	**43**	**8**	**11**	**4**	**25**	**67**



ტიმ დანკანმა (№21) ლარი ჯონსონი გადათელა





REUTERS სან ანტონიოდან

დევიდ რობინსონი (მარცხნივ) და მარკუს კემბი

შონ ელიოტი (ბურთით) და ჩარლი ვორდი

მეორე თამაში და მეორე გამარჯვება — სან ანტონიოს ჯერჯერობით ისე მისდის საქმე, უკეთ რომ არ შეიძლება. ჯერ საბოლოო გამარჯვებამდე შორია, მაგრამ, ისიც ვთქვათ, რომ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალების ისტორიაში მხოლოდ ორჯერ მომხდარა, ჩემპიონი გამხდარიყოს გუნდი, რომელიც სერიას 0:2 აგებდა. ასე რომ, ქალაქ სან ანტონიოში უკვე ტრიალებს ჩემპიონობის სურნელი, უკვე გამოიკვეთა ამდენ ხანს ნანატრი მწვეერვალის კონტურები. ამ მწვერვალს დაპყრობისათვის „სფურზს" სულ ორი გამარჯვება სჭირდება.

ეს რომ სავსებით შესაძლებელია, კიდევ ერთხელ გამოჩნდა 18 ივნისს გამართულ შეხვედრაში. ნიუ იორკი სულაც არაა მონსტრი, იგი ერთ-ერთი რიგითი კარგი გუნდია აღმოსავლეთიდან, რომელმაც მოულოდნელად მშვენივრად წარმოაჩინა თავისი თავი წლევანდელ პლეი ოფში. არც მისი დამარცხებაა შეუძლებელი. დასავლურმა გრანდმა სან ანტონიომ, აგერ უკვე მეორე ბრძოლაში დასცა იგი, ასე რომ...

ყოველ შემთხვევაში, სან ანტონიო რომ უფრო იმსახურებს ჩემპიონობას, ვიდრე ნიუ იორკი, ამას წყალი არ გაუვა. „სფურზი" დღეს ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. ამაზე მეტყველებს მის მიერ რეგულარული სეზონის ჩემპიონობა და წლევანდელ პლეი ოფში გამოსვლა, სადაც „სფურზმა" მხოლოდ ერთი თამაში წააგო და სერიის მეორე შეხვედრაში ნიუ იორკი ძლევით, ზედიზედ 12 გამარჯვება მოუგროვდა. ამით სან ანტონიო რეკორდსმენი შეიქმნა — ზედიზედ თორმეტ საპლეიოფო შეხვედრაში ჯერ არც ერთ გუნდს არ უმარჯვია.

არ დავუკარგოთ ნიუ იორკს გარჯა და ვთქვათ, რომ სტუმრებმა, ისევე როგორც სერიის პირველ შეხვედრაში, ახლაც მოინდომეს, ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მასპინძელთა ძალამ სტუმართა აღმართი იოლად მოხანა. გაუჭირდა „ნიქსს", ბევრი იბრძოლა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შესთავაზა ძლევამოსილ „სფურზს", მის ფეხთით აღმოჩნდა და ახლა ნიუიორკელებს ისღა დარჩენიათ, სანანტონიოელთა გინებით ივერონ გული. განსაკუთრებით, ალბათ, ტიმ დანკანი ეყოლებათ ყურადღების ცენტრში. მასპინძელთა ლიდერმა ხომ თანაგუნდელთა დახმარებით უკვე მეორედ აჭამა მწარე ალიყური მომხვდურთ. დანკანმა ამჯერად 8 ქულით ნაკლები მოინაგრა წინა მატჩთან შედარებით, მაგრამ ნიუ იორკს ამით არაფერი ეშველა. ორმაგ კოშკად წოდებულმა დანკან-რობინსონის დუეტმა თავისი საქმე ამჯერადაც მშვენივრად აკეთა, ამან კი ბევრი რამ გადაწყვიტა.

ნიუიორკელთა მწვრთნელმა ვინ არ მიუჩინა დანკანს მეურვედ, ხან მუხლმტკივანი ლარი ჯონსონი, ხან კურტ ტომასი, ხანაც მარკუს კემბი, მაგრამ ვერც ერთმა ვერაფერი დააკლო ყმაწვილ სანანტონიოელს. დანკანმა თავისი საქმე მეტოქის ფარზე მშვენივრად აკეთა, ქულებიც მიითვალა და არც დაცვაში გაუხარებია ვინმე დევიდ რობინსონთან ერთად. იმ ნიუიორკელებმა, რომელთა სიმაღლეც 2 მეტრს აღემატება, ერთად აღებულემ იმის ნახევარი მოაგროვეს, რამდენიც ტიმ დანკანმა. მაღლების ასეთი საცოდაობის შემხედვარე, ისევ უკანახაზელებმა სცადეს ძელის გამოღება. ჩვეულად ბევრი იშრომეს ლატრელ სპრიუელმა და ალან ჰიუსტონმა, მაგრამ მხოლოდ მათ შემყურე ნიუ იორკს ცუდად წაუვიდა საქმე. იმ დღეს სან ანტონიომ იცოდა, რას აკეთებდა: „დეზები" აგრესიულ თამაშთან ერთად საკმაოდ კორექტულებიც იყვნენ, ამის გამო სტუმრებს მხოლოდ 12 საჯარიმოს სროლამ თუ მოუწიათ. სამაგიეროდ, ისედაც ძალისმიერ გუნდად ცნობილმა ნიუ იორკმა განსაკუთრებულად უხეშად ითამაშა და საკუთარ ფარში 24 საჯარიმო მიიღო. ყოველივე ამის გამო „ნიქსმა" მთელ მატჩში მხოლოდ 67 ქულა მოაგროვა, რაც სიმცირის მხრივ მეორე შედეგია ლიგის ფინალების ისტორიაში.

ნიუ იორკს გულის გატეხვა არ სჩვევია. „ნიქსმა" უკვე გაცილებით მეტს მიაღწია, ვიდრე მისგან მოსალოდნელი იყო. იგი პირველი მრავე ნომრად განთესილი გუნდია, რომელმაც ფინალში გააღწია. თუმცა, ნიუ იორკში ამაზე გაჩერება არ სურთ. „სერიის მოსაგებად საჭიროა, ოთხი და არა ორი თამაშის მოგებაო, თქვა ნიქსელთა მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ, და იქვე დასძინა, თუ ჩემს შეგირდებს თავისი თავის სჯერათ, მაშინ, დარწმუნებული ვარ, სერიის მოგებაში შეუძლებელი არაფერია."

რა თქმა უნდა, შეუძლებელი მართლაც არაფერია, მაგრამ თუ ვან განდის მართლა უჭირავს თვალი საბოლოო გამარჯვებისაკენ, მაშინ მის ბიჭებს მოუწევთ თავი შეაკლან მთავარ მეტოქეს, რომელსაც ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხეს და ახლა მასთან მხოლოდ ერთი წაგების უფლებაღა დარჩენიათ.

შეხვედრას 39 554 კაცი დაესწრო, 40-ით მეტი, ვიდრე წინა მატჩს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რიცხვი მთელი ქალაქის მცხოვრებთა ლამის მეათედია, თვითონ სან ანტონიოს დარბაზ „ალმოდოუმს" კი მხოლოდ 20 ათასის დატევა შეუძლია, ადვილად დავასკვნით თუ რამხელა იყო მატჩისადმი ინტერესი. ტეხასში უყვართ კალათბურთი, სან ანტონიოში — განსაკუთრებით. იქაური გუნდიც ერთგულ გულშემატკივართ სიყვარულს უფასებს.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ორმაგი კოშკი თავიდანვე გაბატონდა ფარქვეშ და მოძალებულ ნიუ იორკს თავისუფლად მოქმედების არე შეუზღუდა. სან ანტონიო დაწყებისთანავე გავიდა წინ და მთელი თამაშის განმავლობაში მუდამ ლიდერობდა, თუმცა ნიუ იორკი სპრიუელისა და ჰიუსტონის თავგამოდების წყალობით დაწინაურებულს ახლოს მიჰყვებოდა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ასე თუ ისე, თანაბარ თამაშში ბედი მესამე მეოთხედის მიწურულს გადაწყდა. მესამე თორმეტწუთეულის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ალან ჰიუსტონმა სამ ქულამდე შეამცირა ანგარიში — 52:49. შონ ელიოტმა ერთობ საჭირო ბურთი ჩააგდო, თან ალან ჰიუსტონიც დაჯარიმდა. მეოთხედის დამთავრებამდე 2,7 წამიღა რჩებოდა. ელიოტმა საჯარიმოები ვერ გამოიყენა, მაგრამ იქვე ბურთს დაეპატრონა დანკანი, მარკუს კემბის ძალისმიერი ბრძოლა მოუგო და ბურთიც კალათში ჩაუშვა. მეოთხედიც ასე დამთავრდა — 56:49.

ნიუ იორკი თითქმის გატყდა, სტუმრებმა გულში დიდი წყევლა-კრულვა გაუგზავნეს მათ დამაქცევარ ტიმს და ბოლო მეოთხედში საბრძოლველად განეწყვნენ, მაგრამ დაიწყო დასკვნითი თორმეთწუთეული და კვლავ გამოჩნდა, რომ უიუინგო ნიუიორკელებს ფაქტობრივად წაგებული აქვთ ბრძოლა რობინსონ-დანკანთან. მეოთხედის დაწყებისას უკვე დევიდ რობინსონმა იყოჩაღა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და სხვაობაც 10 ქულა გახდა — 71:61. აქ სტუმრებმა უკვე საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი და იშვიათად თუ აწუხებდნენ „სფურზის" კალათს. მასპინძლებმაც მატჩის მიწურულს სხვაობა 13 ქულამდე აიყვანეს და შეხვედრაც ასე დამთავრდა. ფინალში პირველად გასული სან ანტონიო 2:0 დაწინაურდა სერიაში. ახლა ნიუ იორკს ისღა დარჩენია, მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში" გასამართი სამი თამაშის (მესამე თუ საჭირო გახდა) იმედად იყოს — ნიუ იორკში კი ყოველთვის იმედიანად არიან.

ირაკლი ფირაყვილი

სან ანტონიო — ნიუ იორკი. 11 მატჩი. 18 ივნისი

ფაქტები ❋ ფაქტები ❋ ფაქტები

სან ანტონიომ დაამხო.ის რეკორდი, რომელიც პირველი მატჩის შემდეგ გაიმეორა: აქამდე ერთ სეზონში ზედიზედ თორმეტი საპლეიოფო მატჩი არავის მოუგია.

ზედიზედ მოგებული საპლეიოფო მატჩები

12 ..... სან ანტონიო სფურზი 1999
11 ..... ლოს ანჯელეს ლეიკერსი 1989
ჩიკაგო ბულზი 1996

სან ანტონიომ გაიმეორა პერსონალური საჯარიმოების სიმცირის რეკორდი. ამდენივე, 13 პერსონალური, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" 1988 წლის 12 ივნისს მიიღო.

ყველაზე ცოტა პერსონალური საჯარიმო

13 ..... სან ანტონიომ ნიუ იორკის წინააღმდეგ ..... 18 ივნისი, 1999
ლეიკერსმა დეტროიტის წინააღმდეგ ..... 12 ივნისი, 1988
15 ..... ლეიკერსმა ჩიკაგოს წინააღმდეგ ..... 5 ივნისი, 1991
ჩიკაგომ სიეტლის წინააღმდეგ ..... 16 ივნისი, 1996

ფინალურ მატჩში ამაზე ცოტა ქულა ერთხელ, 1955 წლის 7 აპრილს გაკეთდა, როცა „სირაკუზ ნეშნელზმა" 71:74 წააგო „ფორტ უეინ პისტონზთან". სან ანტონიო — ნიუ იორკის მატჩის ჯამური მონაგარი, 147 ქულა, ორით მეტია იმ მატჩის მონაგარზე.

ყველაზე ცოტა ჯამური ქულა ერთ მატჩში

145 ..... სირაკუზი — ფორტ უეინი 71:74 ..... 7 აპრილი, 1955
147 ..... სან ანტონიო — ნიუ იორკი 80:67 ..... 18 ივნისი, 1999
150 ..... ჩიკაგო — იუტა 96:54 ..... 7 ივნისი, 1998

ნიუ იორკმა 67 ქულა გააკეთა. ამაზე ცოტა მხოლოდ „იუტა ჯაზს" ჩაუგდია 1998 წლის 7 ივნისს „ჩიკაგო ბულზისთვის".

ყველაზე ცოტა ქულა ერთ მატჩში

54 ..... იუტამ ჩიკაგოს წინააღმდეგ ..... 7 ივნისი, 1998
67 ..... ნიუ იორკმა სან ანტონიოს წინააღმდეგ ..... 18 ივნისი, 1999
71 ..... სირაკუზმა ფორტ უეინის წინააღმდეგ ..... 7 აპრილი, 1995
ჰიუსტონმა ბოსტონის წინააღმდეგ ..... 9 მაისი, 1981

ნიუ იორკმა 8 პასი გააკეთა, რაც სამით მეტია ლიგის ფინალების ანტირეკორდზე: 1960 წლის 3 აპრილს „ბოსტონ სელტიქსმა" „სენტ ლუის ჰოქსის" წინააღმდეგ მხოლოდ 5 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი.

ყველაზე ცოტა პასი

5 ..... ბოსტონმა სენტ ლუისის წინააღმდეგ ..... 3 აპრილი, 1960
8 ..... ნიუ იორკმა სან ანტონიოს წინააღმდეგ ..... 18 ივნისი, 1999
9 ..... ლეიკერსმა ბოსტონის წინააღმდეგ ..... 28 აპრილი, 1966

მატჩს სან ანტონიოს „ალამოდოუმში" 39554 მაყურებელი დაესწრო. ეს მაჩვენებელი კი ჩამორჩება ფინალების რეკორდს, მაგრამ 40-ით მეტია აქამომდელ მეორე შედეგზე, რომელიც ორი დღით ადრე იმავე დარბაზში იქნა მიღწეული.

ყველაზე მეტი მაყურებელი

41732 ..... დეტროიტი — ლეიკერსი ..... 16 ივნისი, 1998
39554 ..... სან ანტონიო — ნიუ იორკი ..... 18 ივნისი, 1999
39514 ..... სან ანტონიო — ნიუ იორკი ..... 16 ივნისი, 1999
39457 ..... სიეტლი — ვაშინგტონი ..... 30 მაისი, 1978

აქამდე მხოლოდ ორ გუნდს მოუხერხებია, სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ჩემპიონი რომ გამხდარიყო. 1969 წელს ეს „ბოსტონ სელტიქსმა" შეძლო, ხოლო 1977 წელს — „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა". პირველმა „ლეიკერსი" დაამარცხა 4:3, ხოლო მეორემ — „ფილადელფია" 4:2. ნიუ იორკის მსგავსად, ბოსტონმაც და პორტლენდმაც სანყისი ორი მატჩი სტუმრად წააგეს.

აზოტმა ოქროსკენ ხელი გაიწოდა

ვითას ვითარების გამოსწორება მოუწევს



ბურაბ ფილიფჩუკის ფოტო

აზოტი — ვითა. სადავო ბურთს აზოტელი მიხეილ ბერუაშვილი (№6) და ვითელი ზურაბ ჩუბინიძე ეცილებიან, თუმც ამ მატჩში სადავო ბევრიც არაფერი ყოფილა

ბურაბ ფილიფჩუკის ფოტო

რუსთაველმა ლევან ჯიმშელეიშვილმა ეს შეტევა ზუსტი ორქულიანით დაასრულა

საქართველოს ჩემპიონატი

ფინალი

| მატჩი

აზოტი — ვითა 1:0

სამ მოგებამდე

21 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

აზოტი 85:75 ვითა

| ტაიმი 48:30

აზოტი: ჟღენტი (17), გაბისონია (6), გოგობერიშვილი (13), ბაბიაშვილი (5), ჯაფარიძე (15); ბერუაშვილი (15), ჩაჩუა (4), ბარამიძე (3), ჯიმშელეიშვილი (7)

ვითა: ტურაშვილი (4), აბრამიძე (19), დავითულიანი (16), ორმოცაძე (9), კორძაძე (4); ვაშაკიძე, ბაქრაძე, ახალკაცი (2), უსტიაშვილი, კოკოლიშვილი (10), ჩუბინიძე (11)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

აი, ისიც. რა ხანია, ველოდით და ახლაღა დაგვაფასა, ქალაქური სიცხით გათანგულ კალათბურთის ქომაგობას ახლა სულ სხვა მხრიდან მიაწყდა მხურვალე ნაკადი — ჩვენში ფინალური ციებ-ცხელება დაიწყო.

ბრძოლის ველი უცვლელია — სპორტის სასახლე, მეტოქეებიც და მათი ზრახვანიც — „ვითა“ — „აზოტი“ და ჩემპიონობა.

ეგ არის, გულშემატკივარს განელეგია კალათბურთის ინტერესი. რომ გვეგონა, სპორტის სასახლის მრავლისმნახველ სარბიელს ხალხი ზღვად მიაწყდებაო, ასე არ აღმოჩნდა. კანტიკუნტად თუ წააწყდებოდით მოსეირეთა ვიწრო ნაკადებს, რომელთაც სანახევროდაც ვერ შეავსეს ტრიბუნები.

არნახულად შემართული იყო გუშინ „აზოტი“. ტყე-ღრე ცხოვრებას ნაჩვევი ნადირი გალიას რომ გაგლეჯს და თავისუფლებას დანატრებული სიხარულისგან კამარას შეკრავს, დაახლოებით ასეთი სურათი წარმომიდგა თავალწინ. ნგრევა და მუსვრა რა სახსენებელია, მაგრამ რუსთაველთა ბურთაობის შემხედვარე „ვითას“ ნაქები ბარიერი უფრო მეჩხერ ღობედ მეჩვენა, რომელიც სადაცაა გადაიქცევა.

რუსთაველებისთვის ახლა ისაა უმთავრესი, სანუკვარი ოქროს მედლები გამოსტაცონ მეტოქეს და თავზეც ჩემპიონის გვირგვინი დაიდგან, თორემ „ვითას“ პრობლემებს რაში დაგიდევენ.

ის, რომ შარშანდელი ვერცხლი „აზოტს“ ჩირადაც არ უღირს და წლეულს მხოლოდ ოქროზე დაიგეშა, იმაშიც გამოჩნდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ, ვერის ბაღი რას მიქვია, ცოდო-მადლი კვლავაც ჩვეულ ალაგს უნდა დატრიალდესო და, სპორტის სასახლის დირექციას საარენდო გადასახადი, 12 ათასი ლარიც ჩაუთვალა. ამას გარდა თავკაცობამ საჩემპიონოდ გამზადებულ გუნდს ტაბახმელაში შესარგი შეკრება მოუწყო და ბიჭებს იქაური ნაქები ჰაერიც აყლაპა.

უფასდებათ კიდეც მოამაგეთ შრომა: მართალია, საბოლოო მიზნის მისაღწევად კალათბურთელებს ჯერაც ბევრი ჯაფა მოუწევთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ოქროს თვალისმომჭრელ ბზინვარებას „აზოტი“ ამთავითვე ეჩვევა. თუნდაც იმიტომ, რომ მის დასაპატრონებლად სავალ გზაზე ეს გუნდი ახლა ერთი ნაბიჯით უსწრებს „ვითას“.

სანამ მატჩის განხილვაზე გადავიდოდეთ, ერთიც ვთქვათ. იქნებ სხვა ვითარებაში ამაზე სიტყვაც არ დაგვცდენოდა, მაგრამ... შეხვედრის შემდეგ მსაჯობაზე პროტესტი არავის გამოუთქვამს. მაჩალაძე-ბერეკაშვილმა უშეცდომოდ არა, მაგრამ კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ ფუნქციას. ვფიქრობ, სასიამოვნო დეტალია.

თავად მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდებმა ნერვიულად დაიწყეს. მეტოქეები მჭიდროდ მეურვეობდნენ ერთმანეთს. ანგარიში ბაბიაშვილის გარღვევის შემდეგ გაიხსნა, რასაც აბრამიძემ სამიანით უპასუხა. კორძაძის ნასროლმა „ვითა“ სამი ქულით დაწინაურა, თუმცა სასტარტო მღელვარებამ მაინც თავისი გაიტანა და ორივე მხარემ დაჯარიმებას უხშირა. ამ მიზეზით თამაში ხშირად ჩერდებოდა და შესაბამისად ტემპიც დაეცა.

„ვითას“ მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ შეგირდებს ზონური დაცვისკენ მოუწოდა, რაც შემდეგ, ალბათ, სანანებელიც გაუხდა, რადგან „აზოტის“ უკანასკნელებს მეტი თავისუფლება მიეცათ და გოგობერიშვილისა და გაბისონიას სუსტი სამიანებით რუსთაველები პირველად დაწინაურდნენ — 13:12.

ტომარაძის საპასუხო რეაქცია იმით შემოიფარგლა, რომ მან შემდგენლობის გადახალისებას მიჰყო ხელი. სასტარტო ხუთეულიდან მოედანზე მხოლოდ დავითულიანი დატოვა, გუნდის დაცვითი სისტემა კი ხელუხლებელი დარჩა.

ეს ნამდვილად არ გახლდათ ის გასაღები, რომელიც „აზოტის“ ბოქლომს მოერგებოდა. მეტოქის ბანაკში არეულობა პირველად რუსთაველთა გამთამაშებელმა აჩიკო ჟღენტმა იყნოსა და თავისიანთა ისედაც სწრაფი შეტევები კიდევ უფრო აჩქარა. ჟღენტმა შორიდანაც დალაშქრა ჩემპიონის კალათი, ტანმაღალ ვითელებშიც ჩვეულად გამვრა-გამომვრა და პარტნიორებს პასებიც უხვად ურიგა. ტომარაძეს კი ისღა დარჩენოდა, წუთშესვენება ეთხოვა და ქაოსურად მოთამაშე კალათბურთელები დაეწყნარებინა.

არაფრით გამოსდიოდა თამაში ტურაშვილის შემცვლელ უსტიაშვილს. მალე მწვრთნელმა ისიც სათადარიგოებში გაამწესა და ბურთის გათამაშება აბრამიძეს მიანდო. ცხრა ქულით ჩამორჩენილ ვითელებს ვერც ამან უშველა და ტომარაძემ ახლა სხვა ხერხს მიმართა, მოედანზე ორივე გამთამაშებელი — ტურაშვილი და უსტიაშვილი — ერთად შეუშვა.

ვითელთა რიგებში ცვლილებები თუ უსარგებლო იყო, რუსთაველთა მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს სამივე შეცვლამ გაუმართლა. ბერუაშვილიც, ჩაჩუაცა და ჯიმშელეიშვილიც კარგად ჩაერთვნენ თამაშში. ჩაჩუამ მეტოქის ორი შეტევა ჩაჭრა ზედიზედ, რაც ორჯერვე ბერუაშვილმა დააგვირგვინა. ჯიმშელეიშვილმაც ამდენჯერ ჩააგდო და ტაიმის ბოლოს „ვითას“ რბევას ირაკლი ჯაფარიძემ სულაც წერტილი დაუსვა — „აზოტის“ ცენტრმა ჯერ სამიანი ჩაადგო, შემდეგ ერთი გულისმოსაფხანიც ჩატენა და სხვაობამ ოც ქულას მიაღწია — 46:26.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს ის უპირატესობა გამოდგა, რომელიც ჩემპიონმა ვეღარ გააქარწყლა, თუმცა შესვენებაზეც და მეორე ტაიმშიც, „აზოტი“ მოიგებსო, ხმამაღლა ვერავინ ამხელდა. მის წინააღმდეგ ხომ თვით „ვითა“ იდგა, გუნდი, რომელიც იოლად არასოდეს და არავის ნებდება.

დრონი მეფობენო, ნათქვამია და „ვითაც“ შეეგუა დამარცხებულის ბედს, თუმცა ეს ბოლოს, როცა სხვა გზა აღარ დარჩენოდა.

შეხვედრის უკანასკნელი ხუთი წუთი, მას შემდეგ რაც ზაზა გაბისონიას ზუსტმა სამიანმა თვარამეტქულიანი სხვაობა დააფიქსირა, ფორმალობად იქცა, თორემ იქამდე „ვითა“ მაინც თავისას ცდილობდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდს აშკარად არ უმართლებდა. ვითელები ძალიან ნერვიულობდნენ და კალათბურთელებსაც, რომ არ ეკადრებათ, ისეთი ნასროლები უცუდდებოდათ.

და მაინც, „აზოტი“ გუშინ დაუმარცხებელი იყო. განსაკუთრებით მათი უკანასკნელთა თამაშია გამოსარჩევი. თითქმის მოუხელთებელი აჩიკო ჟღენტის და რამაზ გოგობერიშვილის თაოსნობით რუსთაველებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს.

დიახ, სწორედ ასე და ამგვარად დაიწყო „აზოტმა“ თავისთვის პირველი ოქროს გამოჭედვა. საქმის ბოლომდე მისაყვანად კი ჯერაც დიდი ბრძოლების გადახდა მოუწევს.

გიორგი ბიკაშვილი

მატჩის შემდეგ

„აზოტის“ მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ ხმელიძემ** მეორე ტაიმის დასრულებას არც კი დაუცადა, სათითაოდ ჩამოუარა სათადარიგო სკამზე მსხდომ კალათბურთელებს და ფინალური მატჩების სერიალის წარმატებით დაწყება მიულოცა.

— ბატონო ოთარ, თუ ელოდით, რომ „ვითას“ ასე იოლად დამარცხებდით?

— არ ვთვლი, რომ იოლად გავიმარჯვეთ. ძალიან რთული მატჩი გვქონდა და მხოლოდ ბოლო წუთზე დავრწმუნდი, რომ გავიმარჯვებდით.

— თავმდაბალი კაცი ყოფილხართ, ბატონო ოთარ, 20 ქულაზე მეტი სხვაობით რომ უსწრებ მეტოქეს და მთელი შეხვედრის განმავლობაშიც უპირატესობას ფლობ, ასეთ მატჩში კიდევ სადაო უნდა იყოს რაიმე?

— გახსოვთ, როგორი შეხვედრა მოუგო „ვითამ“ ნახევარფინალის პირველ მატჩში სტუ-ს? მაშინ სტუდენტები დიდებულად თამაშობდნენ, ტაიმნახევრის განმავლობაში უპირატესობასაც ისინი ფლობდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც „ვითას“ დარჩა. ჩემპიონს მრავალჯერ გადაურჩენია თითქმის წაგებული შეხვედრები და ბიჭებს ამას ყოველ წუთში ვახსენებდი და ვაფრთხილებდი, რომ ბოლომდე ებროლაო, ნაადრევად არ დამშვიდებულიყვნენ.

— ამ მოგების შემდეგ როგორ აფასებთ თქვენს შანსებს?

— მართალია, დავწინაურდით, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი მეტოქე საქართველოს ექსკლუზიური ჩემპიონია და არა შემთხვევითი ფინალისტი. ამიტომაც ვთვლი, რომ შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.

— „აზოტიდან“ რომელ კალათბურთელს გამოარჩევდით?

— მიჭირს რომელიმე მათგანის გამოყოფა. ვინც ჩავრთე თამაშში, ჩემი დავალება ყველამ კარგად შეასრულა.

— პლეი ოფისთვის შეკრებას აპირებდით. მოახერხეთ?

— 18 ივნისიდან ვიმყოფებით ტაბახმელაში და ძალიან კმაყოფილებიც ვართ. ნორმალური მომზადებისთვის ყველა პირობა გვაქვს შექმნილი.

— შეკრებაზე დიდხანს დარჩებით?

— ფინალური მატჩების დამთავრებამდე.

„ვითას“ მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძე**, რა თქმა უნდა, ვერ იყო ხასიათზე, მაგრამ „სარბიელთან“ საუბრისთვის თავი არ აურიდებია.

— ბატონო ზურაბ, ფაქტია, რომ „ვითამ“ ჩემპიონისათვის შეუფერებელი მატჩი ჩაატარა. რა ხდება, გუნდში პრობლემები ხომ არ წამოიჭრა?

— არავითარი პრობლემები. მეტოქემ ითამაშა კარგად და დამსახურებულადაც მოგვიგო.

— ვითელთაგან თუ შეასრულა რომელიმე სპორტსმენმა თქვენი დავალება?

— ვერავინ, ყველამ სუსტად ითამაშა.

— მეტოქეთაგან ვის გამოარჩევდით?

— ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად ჟღენტი და გოგობერიშვილი გამოირჩეოდნენ.

— პლეი ოფისათვის შარშანდელივით წლეულსაც ხომ არ მოგიწყვიათ გუნდისათვის შეკრება?

— შარშან თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ვიმყოფებოდით. ამჟამად 18 ივნისიდან შეკრებაზე ვართ წერეთლის გამზირზე მდებარე მძლეოსნობის მანეჟში.

— 0:1 ჯერაც არ ნიშნავს დასასრულს. თუ საიდუმლო არ არის, რას დაუპირისპირებთ მეტოქეს მომავალ მატჩებში.

— შეხვედრა ვიდეოკასეტაზე გადავიღეთ. დავსხდებით, გავაანალიზებთ და დასკვნებსაც შემდეგ გამოვიტანთ. შედარებით გვიჭირს ცენტრზე, თორემ სხვა პრობლემების გამოსწორება შეიძლება.

— თქვენმა კოლეგამ შანსები სამომავლოდ ორმოცდაათი ორმოცდაათზე შეაფასა. ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი რას გვეტყვის?

— თანაბარი შანსები ფინალური მატჩების დაწყების წინ იყო. ამჟამად სამოცდათხუთმეტი ოცდახუთზეა „აზოტის“ სასარგებლოდ. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ განმეორებით შეხვედრას. წაგების უფლება არ გვაქვს, რადგან შემდეგ ზედიზედ 3 თამაშის მოგება ძალიან გაგვიჭირდება.

რონალდ ლაგუჩიძე

ოქრუაშვილის წასვლამ მონასტერი არია

სტუ-მ ხელი ჩაიქნია?

საქართველოს ჩემპიონატი
მესამე მატჩი ადგილისთვის

სტუ — თსუ 1:1
სამ მოგებამდე

21 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

სტუ 84:110 თსუ

I ტაიმი 32:52

სტუ: ჩერქეზიშვილი (5), გაგნიძე (4), ჩხეიძე (22), გ. ნაცვლიშვილი (10), ოთიურიძე (8); ტულუში, მოისწრაფიშვილი, ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (2), ცქიტიშვილი (16), მიქაძე (7)

თსუ: ვეფხვაძე (12), წოწელია (25), მარკოიშვილი (11), ქარაბაკი (31), არსიაშვილი (16); მშვილდაძე, მგალობლიშვილი (11), დიმიტრიადი (4)

მსაჯები: მურმან ქურიძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუ შეხვედრაზე ნახევარფინალების შემდეგ გუნდიდან წასული მთავარი მწვრთნელის, თამაზ ოქრუაშვილისა და ტრავმირებული ვახტანგ ნაცვლიშვილის გარეშე გამოცხადდა. თუ სტუ აღნიშნულ ცვლილებებს დიდი ხნით ადრე იყო შეგუებული, თსუ-მ მოულოდნელად, ოჯახური პირობების გამო, ცენტრი არჩილ ხელაშვილი მოისაკლისა. ასე რომ, სრული შემადგენლობის იმედად მყოფ თსუ-ს ცენტრზე პრობლემები გაუჩნდა, სადაც ძირითადად გოჩა არსიაშვილისა და ცენტრში იძულებით გადაადგილებული ლევან ქარაბაკის იმედად უნდა ყოფილიყო. გაკუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ორივე კალათბურთელმა გოჩა წოწელიასთან ერთად ლომის წილი დაიდო თსუ-ს გამარჯვებაში.

მთელმა შეხვედრამ თსუ-ს უპირატესობით ჩაიარა. ჯერ ქარაბაკმა და წოწელიამ ივარგეს სამქულიანებით. თანაგუნდელებს არსიაშვილი და მარკოიშვილიც წამოეშველნენ და ანგარიშმა კატასტროფულად იწყო ზრდა თსუ-ს სასარგებლოდ. სტუ-ს ხელმძღვანელობა კი შშვიდად უყურებდა მეტოქის აღზევებას. მხოლოდ მე-4 წუთის ბოლოს, როდესაც 13 ქულით ჩამორჩა მოწინააღმდეგეს, სტუ-ს მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ცირეკიძემ წუთშესვენება ითხოვა. გიგი ნაცვლიშვილის ადგილი ლაშა ლოსაბერიძემ დაიკავა, მაგრამ მოედანზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

მაშინ, როცა ანგარიში 34:17 იყო თსუ-ს სასარგებლოდ, საიმედოდ ჩაკეტილი ჩხეიძისა და ოთიურიძის ადგილები ახალგაზრდებმა — ცქიტიშვილმა და მინაშვილმა დაიკავეს. უდიდესი მონაცემებისთ მქონე ნიკოლოზ ცქიტიშვილის ინიციატივით ტაიმის ბოლოს სტუ გამოცოცხლდა და 29-ქულიანი ჩამორჩენა 20 ქულამდე შეამცირა.

ტაიმის ბოლოს მოპოვებული სათამაშო უპირატესობა სტუ-მ შესვენების შემდეგაც შეინარჩუნა, ამჯერად გამოცდილი რეზო ჩხეიძის ოსტატური თამაშის წყალობით, მაგრამ არც თსუ იყო უქმად და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას არ აძლევდა. უკანა ხაზის მოთამაშე გოჩა წოწელიამ, რომელიც ძირითადად სამქულიანების ოსტატია, რამდენიმე რთული ბურთი ჩაგდო მეტოქეს ფარის ქვეშიდან. ცოტა ხნით დასვენებული ქარაბაკიც ახალი ენერგიით ჩაერთო თამაშში და თსუ კვლავ დიდი ანგარიშით მოსწყდა მეტოქეს — 62:42.

თუ თსუ-ს სასტარტო ხუთეული საუკეთესო იყო მოედანზე, გრძელი სკამის მქონე სტუ-მ თითქმის მთელი შეხვედრა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში გაატარა და სასურველ ხუთეულს ვერა და ვერ მიაგნო. ნიკა ცქიტიშვილისა და რეზო ჩხეიძის მცდელობამ კი საქმეს ვერ უშველა.

რამდენიმე დღის წინ ნახევარფინალებში ხელმოცარულ გუნდებს ვეღარ იცნობდით. „ვითასთან“ ვაუკაცურად მებრძოლი სტუ ამჯერად ხელჩაქნეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო თსუ-მ დაამტკიცა, რომ პლეი ოფში თამაშს სხვაზე ნაკლებად არ იმსახურებდა.

თსუ-მ მესამე წრეში სტუ-ს 22 ქულის სხვაობით დამარცხების შემდეგ მეორედ, ამჯერად უფრო დიდი სხვაობით მოუგო და სერიის ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1.

თსუ-ს ლიდერმა ლევან ქარაბაკმა ტრადიციად ქცეულ 30-ზე მეტი, ამჯერად 31 ქულა გააკეთა და ორივე გუნდიდან ყველაზე შედეგიანი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი სამქულიანებშიც სამი ზუსტი სროლით საუკეთესო გახლდათ.

როლანდ ლაბუჩიძე



სტუ — თსუ. გუშინ სტუ-ს ვერც გამოცდილი რეზო ჩხეიძის (ბურთით) ოსტატურმა თამაშმა უშველა

EUROBASKET 99 FRANCE — დღე პირველი: სენსაცია, კიდევ სენსაცია

AP ანტიბიდან

ხორვატია — იტალია. ხორვატთა გამარჯვების სულისჩამდგმელი ტონი კუკოჩი (№7) გრეგორ ფუჩკას ებრძვის

ტულუზი

A ჯგუფი

ისრაელი 61:81 იუგოსლავია

(I ტაიმი 23:38)

ისრაელი: ამსალემი (5), დანიელი (2), გუდესი (11), ჰენფელდი (6), კატაში (11), საფარი, შეფერი (18), შელეფი (2), შტეინჰაუერი (4), ტაპირო, თორჯემანი (2)

იუგოსლავია: ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (9), დივაცი (6), გურროვიჩი, ლონჩარი (7), ლუკოვსკი (4), ობრადოვიჩი (9), შჩეპანოვიჩი, ტარლაკი (9), ტომაშევიჩი (24)

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა მხოლოდ გუშინ დილით გამოაცხადა გუნდის საბოლოო შემადგენლობა და ერთობ სარისკო გადაწყვეტილებაც მიიღო: ჯანმრთელ დრობნიაკსა და ბერიჩს ტრავმირებული სტოიაკოვიჩი და სურდოშეყრილი გუროვიჩი ამჯობინა. სტოიაკოვიჩი მხოლოდ მეორე ეტაპიდან თუ დაეხმარება გუნდს, გუროვიჩმა კი გუშინ ორი წუთი დაჰყო მოედანზე. თანაც, მწვრთნელმა დაიჩივლა, ნაკრები შეუთამაშებელია, მოთამაშეები კი გადაღლილები არიანო.

დაიწყო ჩემპიონატი და იუგოსლავიამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის საკადრისად ითამაშა — ისე მოსრა მეტოქე. მისთვის არათუ მოგების, თავის გამოჩენის შანსიც კი არ მიუცია.

ისრაელის ბედი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ოდედ კატაშის თამაშზე. იუგოსლავიელებმა ამ პრობლემის მოგვარება საშა ობრადოვიჩს მიანდეს. მანაც საიმედოდ ამოკეტა ებრაელთა ლიდერი და 13 სროლიდან მხოლოდ ორი ჩაგდებინა. საერთოდ, ისრაელის ნაკრებში ყველამ ცუდად ითამაშა, მხოლოდ დორონ შეფერი იყო გამონაკლისი. იუგოსლავიელებში კი პირიქით — საუკეთესოს დასახელება ჭირს.

ჩემპიონებმა თავიდანვე ძალისმიერი და გუნდური თამაში მოახვიეს თავს ებრაელებს და ამათაც დანებების გარდა გზა აღარ დარჩათ. დივაცმა და ტომაშევიჩმა ჯამში 24 მოხსნა გააკეთეს (შესაბამისად, 11 და 13), იმდენივე, რამდენიც ყველა ებრაელმა ერთად. ფარი, ცხადია, იუგოსლავიისა იყო — 39:24.

ვლადე დივაცმა 21 წუთი ითამაშა და თავი აშკარად დაზოგა. საკითხავი კი ისღაა, რატომ ჩიოდა ჟელკო ობრადოვიჩი?

მაკედონია 67:71 საფრანგეთი

(I ტაიმი 40:42)

მაკედონია: ნაუმოსკი (27), ბოჩევსკი (11), იოვანოვსკი (9), ბლაჟევსკი (5), გეჩევსკი (5), სტეფანოვი (5), კურტოვიკი (3), სტანკოვიკი (2)

საფრანგეთი: აბდულ-ვაჰადი (24), რიგოდო (18), სონჯო (8), დიგბო (7), ბილბა (5), ჟულიენი (4), სმიტი (3), ფუარე (2)

კლერმონ-ფერანი

B ჯგუფი

სლოვენია 47:68 რუსეთი

(I ტაიმი 22:30)

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (3), დანეუ (5), დრაგშიჩი, იაგოდნიკი, იეკლინი, იურკოვიჩი (2), კრალევიჩი (2), ნესტეროვიჩი (6), მილიჩი, სმოდისი (19), ტოვორნიკი, ზდოვეი (10)

რუსეთი: ავლეევი (1), ბაბკოვი (1), კარასიოვი (11), კისურინი (8), კუდელინი (13), კურაშოვი (6), ნოსოვი (5), ზ. პაშუტინი (2), ე. პაშუტინი, პანოვი (14), პეტრენკო (3), ტახონენკო (4)

მატჩის დაწყებისთანავე რუსეთმა ნოკდაუნი აწვნია მეტოქეს — საწყისი ხუთი წუთი 11:0 მოუგო. სლოვენიელი ვარსკვლავები — მილიჩი, ზდოვეი და ნესტეროვიჩი ვერაფერს ახერხებდნენ და ყველაფერი 19 წლის მატიას სმოდისის გასაკეთებელი გახდა. ამ ბიჭმა შესვენებამდე 10 ქულა გაახერხა და რუსებს მხოლოდ რვა ქულით მოაგებინა ტაიმი.

სმოდისი მეორე ტაიმის დასაწყისშიც გამორჩეოდა, რუსები კი თითქოს მოდუნდნენო და ანგარიშში სხვაობამ შემცირება იწყო. 26-ე წუთზე სლოვენიელები ერთი ქულითღა ჩამორჩებოდნენ მეტოქეს (33:34), ორ წუთში ანგარიში გაათანაბრეს (36:36), კიდევ ორი წუთის მერე კი სმოდისის სროლის შემდეგ დაწინაურდნენ — 40:38. ამ მონაკვეთში ნორჩმა სლოვენიელმა 9 ქულა გააკეთა, ხოლო ზდოვეცმა და დანეუმ სამქულიანები ჩააგდეს.

რუსთაგან პირველად პანოვი გამოერკვა და სამქულიანი ჩააგდო. დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში მეტოქეები შედეგიან შეტევებს ცვლიდნენ, მერე კი სლოვენიელთა დაცვამ რღვევა იწყო. რუსებმა მალე აუღეს ალღო მეტოქის 1-3-1 სისტემით დაყენებულ ზონურ დაცვას და სწრაფი პასებით თავისუფლად მიმოდიოდნენ. სმოდისმა ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა, რითაც პანოვს, კარასიოვს და კუდელინს მთლად გაეხსნათ ხელ-ფეხი. რუსებმა სწრაფ გარღვევებს უხშირეს, სლოვენიელებმა ტემპს ვერ გაუძლეს და ბოლო რვა წუთში მხოლოდ ორი ქულა იკმარეს. რუსებმა კი, მეტოქე დაძაბუნებული რომ დაინახეს, ბოლომდე მიაჭირეს წიხლი.

უნგრეთი 75:84 ესპანეთი

(I ტაიმი 36:27)

უნგრეთი: შიტკუ (5), ბენცე (3), კალმანი (9), ჰალმი (10), დავიდი (8), ბოროში (6), გულიაში (23), მესაროში (5), ციგლერი (6)

ესპანეთი: ანგულო (2), კორალესი (6), როდრიგესი (5), დე ლა ფუენტე (14), ერეროსი (25), ესტელერი (3), დე მიგელი (17), რეიესი (8), დუენიასი (4)

ანტიბი

C ჯგუფი

ბოსნია 42:57 თურქეთი

(I ტაიმი 21:24)

ბოსნია: ალიჰოჯიჩი (10), ბეჩირაგიჩი (1), ფირიჩი (5), ჰუკიჩი (2), კაპრომანოვიჩი (3), ლერიჩი (11), მარკოვიჩი (4), მირკოვიჩი (1), მუეძინოვიჩი (5), ოვჩინა

თურქეთი: ბეშოქი (11), ერდენი, ქონუქი, ქუთლუაი (8), ოქური (2), ფარსი (4), სარიჯა (4), თუნჩერი (6), თურქჯანი (6), თურქოღლუ (14), ილდირიმი (2)

ევროპელ მუსლიმთა მატჩი იმით გამოირჩა, რომ მეტოქეებმა უჩვეულოდ ბევრი ააცილეს. თურქთა სროლების 36 პროცენტმა უწია მიზანს, ბოსნიელები 30-ს დასჯერდნენ. თავიდან მეტოქენი მჭიდროდ თამაშობდნენ დაცვაში და პირველი ტაიმიც ამიტომ გამოდგა ასე ქულანაკლული. თურქებმა ხერხს მიმართეს: ერთთავად მეტოქის ცენტრზე, ჯევად ალიჰოჯიჩზე ჯარიმდებოდნენ. თურქული „ულქერის“ ბოსნიელი მოთამაშე კი საჯარიმოებს შეუდარებლად ცუდად ისროდა — 11-დან 3 ჩააგდო (პირველ ტაიმში — ექვსიდან ვერც ერთი). ვერ გაიბრწყინეს უკანახაზელებმაც — მათი ნასროლი უფრო ხშირად ფარიდან უკან ვარდებოდა. ფარი კი პირწმინდად თურქებისა იყო, მარტო ჰუსეინ ბუშოქმა 15 ბურთი მოხსნა, ხოლო მისმა გუნდმა ფარი 44:26 მოიგო.

ბოსნიელები დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ ერთმორწმუნე მეტოქეს, მაგრამ მერე გატყდნენ და ამით იქნებ ჯგუფიდან გასვლა სათუო გაიხადეს.

ხორვატია 70:68 იტალია

(I ტაიმი 29:48)

ხორვატია: კუკოჩი (16), გირიჩეკი (15), მრშიჩი (13), ვუიჩიჩი (13), მულაომეროვიჩი (12), პრკაჩინი (1), კრსტიჩი, ზადრავეეცი, რუჟიჩი

იტალია: გალანდა (15), ფუჩკა (13), ბაზილე (12), მენეგინი (9), მაიერსი (8), დე პოლი (7), აბიო (2), კიაჩიგი (2), მარკონატო

დიჟონი

D ჯგუფი

ჩეხეთი 78:62 ლიტვა

(I ტაიმი 43:34)

ვინ იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ლიტვა პირველსავე მატჩში ასე სასტიკად დამარცხდებოდა? ალბათ, არავინ, გარდა ჩეხეთის ნაკრებისა. ამ გუნდმა არად ჩაგდო ის, რომ ლიტვა ტიტულოვანია, ჰყავს საბონისი, კარნიშოვასი და ევროლიგის მომგები „ჟალგირისის“ ექვსი მოთამაშე; ის, რომ თავად ჩეხეთი ძლივს გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ერთ-ერთ შესარჩევ მატჩში 10 ქულას აგებდა საქართველოსნაირ სუსტ გუნდთან. იმასაც არ მიაქციეს ჩეხებმა ყურადღება, რომ უძლიერესი მოთამაშე ირჟი ზიდეკი არ ჰყავდათ. გავიდნენ მოედანზე და ლიტვას სულ კუდით ქვა ასროლინეს.

ვის გაეგო აქამდე ლუბოშ ბარტონის შესახებ? ეს 19 წლის ფრთა ამერიკაში, ვალპარაისოს უნივერსიტეტში თამაშობს. ლიტვასთან მატჩში ექვსიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო, მისმა თანაგუნდელმა ნოვაკმა კი ხუთიდან — სამი. საერთოდ, ჩეხები ძალიან ზუსტად ესროდნენ, ლიტველები — პირიქით. მათ სროლათა 38 პროცენტი ჩააგდეს.

სად იყო საბონისი? მან 21 წუთი ითამაშა, რვიდან სამი ბურთი ჩააგდო და 7 მოხსნაც მიითვალა. კარნიშოვასმა 10 ქულა და 6 მოხსნა გააკეთა, შტომბერგასმა — 17 ქულა, თუმცა ჩეხებს ეს არ ანაღვლებდათ. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ და ერთხანს 18 ქულასაც უგებდნენ ფავორიტს.

გერმანია 59:58 საბერძნეთი

(I ტაიმი 26:23)

გერმანია: ბოგოევიჩი (9), ფემერლინგი (2), ლუტკე (3), ნეესი (3), ნოვიცკი (21), ნიურნბერგერი, ოკულაჯა (10), როდლი (10), ტერდენგე (11), ტომიჩი

საბერძნეთი: ბალოიანისი, ბუდურისი (8), იანულისი (4), კალაიცისი, კარაგუტისი (2), კორონიოსი (10), პაპანიკოლაუ (5), სიგალასი (17), ცაკალიდისი (12)

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIH

FIH CHAMPIONS TROPHY

QUEENSLAND-AUSTRALIA JUNE 10-20

ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი

ქალები. 19 ივნისი.
ფინალი
ავსტრალია 3:2 ჰოლანდია
მესამე ადგილისთვის
გერმანია 1:0 არგენტინა
მეხუთე ადგილისთვის
ზელანდია 3:1 კორეა

კაცები. 20 ივნისი.
ფინალი
ავსტრალია 3:1 კორეა
მესამე ადგილისთვის
ჰოლანდია 5:2 ესპანეთი
მეხუთე ადგილისთვის
ინგლისი 4:3 პაკისტანი



REUTERS ბრისბენიდან

ავსტრალიელებმა, ქალებმაც და კაცებმაც ჩემპიონთა თასი არავის გაატანეს

REUTERS ლონდონიდან

პაკისტანო, დაშოშმინდი!

ეს პაკისტანელები ნაღდად ინგლისის აღებას აპირებენ. „ლორდსის“ საკრიკეტო მინდორი ხომ სულ თავისად დაიჩემეს და თუკი რაიმე არ მოეწონათ მოედანზე მიიწევენ. თუმცა გიჟმაჟ ყარაჩთა წუხილიც გასაგებია: მსოფლიოს თასის ფინალურ შეყრაში ავსტრალიელებმა შეინ ვორნის ბრწყინვალე გარჯილობით დაამარცხეს პაკისტანელები და თასიც ასწიეს. ცხადია, შავტუხა ქომაგთ ეწყინებოდათ, თუმცა, გამარჯვებულთა ზეიმი ამ შემთხვევაში უფრო ღირსეული გამოდგა, ვიდრე დამარცხებულთა წუხილი.

REUTERS ლონდონიდან

ჟუს გადაფრენა

ეს ჩინელ ვაჟკაცს, ჟუ ჩაუჰუი ჰქვია და თავის მთავარ საქმედ მოტოციკლით მდინარეებზე გადაფრენა დაუსახავს. სიჩაუქე და უტეხობა ამ კაცისა მართლაც მისაბაძია. ჩრდილო ჩინეთში, ყვითელ მდინარის თავზე მამაცმა ჟუმ ბარე ორმოცი მეტრი იფრინა. ჩინეთის ამ დედა მდინარის გარშემო ხუთი ათასი წლის წინათ პირველი ჩინური სახელმწიფო ჩამოიქნა, მფრინავმა ჟუმ კი თავისი ღონისძიება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს მიუძღვნა.

REUTERS ჰონკონგიდან



REUTERS ლორიანიდან

იურის დალოცვა

იური ჯორკაევი შვებულებაშია და ათასგვარ საზოგადო საქმეში გახიდულა. ასე მაგალითად, „ინტერისა“ და ფრანგთა ნაკრების ფეხბურთელებმა ბურთის დარტყმით დალოცა 24,5-მეტრიანი იახტა „მეექვსე გრძნობა“, რომელიც ამერიკის თასის რეგატაში ჩასართველადაა გახაზირებული.

ეთამაშეთ გარის

მსოფლიო ჭადრაკის ხელმწიფე გარი კასპაროვი ნიუ იორკშია და თავის სასტუმროს ნომერში კომპიუტერს მიჯდომია და ვარჯიშობს. სუპერკომპიუტერთან მატჩის წამგები კასპაროვი ახლა ახალი კომპიუტერული წამოწყებისთვის ემზადება — ინტერნეტის მეშვეობით დიდი საჭადრაკო ტურნირი უნდა გახურდეს და ***www.msn.com*** *მისამართზე ყოველ მსურველს შეუძლია, ეთამაშოს გარის. ასე რომ, სცადეთ.*

REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორელიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, შამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29